ლიტერატურული გაზეთი

№19 (347) 13 - 26 ოქტომბერი 2023 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ანა კორძაია-სამადაშვილი

შენ — მკვდარი და მე — ცოცხალი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ერთხელაც იყო და იყო ქალაქი თბილისი, ზაფხული, ცხელი ღამე, და ამინმა ჩამოიარა. ჩამოიარა და ღია ფანჯრის წინ ცაცხვის ტოტზე ჩამოჯდა, იმიტომ, რომ დაღლილი იყო და დასიცხული.

ცაზე ყვითელი მთვარე ეკიდა. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ.

„კარგია“ — გაიფიქრა ამინმა, ტოტზე გემრიელად მოეწყო, და მერე ფანჯარაში შეიხედა და საუბარსაც ყური დაუგდო. დიდი თვალთვალი და მიყურადებაც არ დასჭირვებია, ფარდები გადაწეული იყო, ოთახი — გაბრდღვიალებული და მრგვალ მაგიდასთან მსხდომი გოგოებიც ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ზუსტად ისე, როგორც ცხელ ზაფხულში ღია ფანჯარასთან ჩამომსხდარი გოგოების წესი და რიგია.

გოგოები იყვნენ სამნი, სწორედ იმ ხნისა, ამინს რომ ყველაზე მეტად უყვარდა. ამ ხნის გოგოები ყოველთვის ლამაზები არიან — თვალს ასვენებენო, — ამინი იტყოდა, — და ყოველთვის ძალიან სასაცილო რაღაცებს ლაპარაკობენ, რაც ამინს ძალიან ახარებდა, იმიტომ, რომ გადაღლილი იყო ზრდასრული და ნერვებდაწყვეტილი ადამიანების წუწუნის მოსმენით და მათი უმსგავსო სურვილების შესრულებით.

ხოლო და თუ აქამდე არ იცოდით, ჩემგან დაიმახსოვრეთ: არაფერია ამქვეყნად უფრო გემრიელი, ვიდრე ჭვავის პური, დედამ ლიტვიდან რომ ჩამოიტანა, და შიგ რომ ქინძია, თუ ზირა, თუ სხვა რაღაც საოცრება, და არაფერი სჯობს ნამდვილ აფხაზურ აჯიკას, დეიდა მანიჟამ სოხუმიდან რომ გამოგზავნა, და კი, ეს დეიდა არანაირად არაა დეიდა და არც ტკბილი ზნით გამოირჩევა, მაგრამ აჯიკას ისეთს აკეთებს, რომ გადაირევა კაცი. და კი, მაგრად ცხელა და, წესით, ამ შუაღამისას უზღვავ კარაქიან პურს და აჯიკას არ უნდა იდგამდეს წესიერი ქალი, მაგრამ გოგო როცა ხარ, ყველაფერი შეიძლება. საერთოდ, ყველაფერი.

წესიერი ქალი არც მამისთვის ძღვენად მირთმეულ კონიაკს უნდა ურტყამდეს დაქალებთან ერთად — აშკარად მირთმეულს, ასეთ ძვირფას კონიაკს საკუთარი თავისთვის არავინ ყიდულობს — მაგრამ მერე, რა? ვინ რას გაიგებს, ყველაფერი მაინც უფროს ძმას შეეტენება, რომელსაც ისედაც უამრავი ცოდვა აწევს კისერზე და ამ ერთსაც შეიტენის, არაფერი ეტკინოს.

გოგო როცა ხარ, ორი რამ გადარდებს მხოლოდ: ბიჭები და მომავალი, და სწორია, ასეც უნდა იყოს. საუბარი იწყება ბიჭებით და გრძელდება მომავლის გეგმებით, ხოლო თუ ამ მომავლის გეგმებში კონკრეტული ბიჭიც კიაფობს, ეს ხომ მთლად გადასარევი ამბავია.

როგორც ჩანს, ამინმა დაიგვიანა: ბიჭების თემა მეტ-ნაკლებად ამოწურულიყო.

— ...რომ ვუთხარი, სუბტროპიკულში მინდა-მეთქი, და თან მეგონა, აი, ახლა კი გამიშლის-მეთქი, და თუ გინდა, მამა მოკლა, წადი და ჩააბარეო, მითხრა, — ჰყვებოდა ერთი, აშკარად მასპინძელი, მიკი მაუსით დამშვენებული, გახუნებული, უზარმაზარი მაისური რომ ეცვა, — წუნიანი შენი ძმაც გვეყოფაო, ასე მითხრა, ჯერ ჩააბარე, ისწავლე, დაამთავრე და მერე გინდა, სოხუმში წადი და გინდა, სადაც გინდაო.

— და რო არ მინდა ეს ისკუსტვავრედობა-თქო, ვერ უთხარი?

ამინს გაეცინა: გაწრიპულ, ჭორფლიან, უხუჭუჭეს გოგოს სამოცს გადაცილებული მწეველი დედაკაცის ბოხი ხმა ჰქონდა.

მიკი მაუსმა ბუტერბროდი კრიტიკულად შეათვალიერა, ზედ აჯიკა დაუმატა, გადაუსვა, ჩაკბიჩა — არხეინად და პირგამოტენილმა დაუკრა თავი:

— ვუთხარი. ჰოდა, პრაქტიკები და ერმიტაჟი და რაღაც ეგეთები რომ ჩამომითვალა, მოვკეტე.

— რა მოხდა, — ჩაერია მესამე, — იქნება ცუდი სტუდენტი, რა მოხდა? იგულავებს ლენინგრადში, და მერე გათხოვდება და სულ არ იქნება ხელოვნებათმცოდნე. არც აგრონომი იქნება და არც ბალერინა. მე რა, პიანისტი ვიქნები თუ რა? — ეს მესამე ბრძენი ქალი ჩანდა, — ვაკაკუნებ ჩემთვის ერთი-ორი წელი, თელავში ვივლი ფესტივალებზე, მოსასმენად, იასნა, ტრაკის საქნევად, და ვამეცადინებ მერე ჩემნაირ დებილებს...

— როგორ ტეხავს, — იდარდა ბოხმა, — ისედაც დებილი რომ ხარ და მასწავლებელიც რომ დებილი გყავს...

ასე ისხდნენ, უბრალოდ, ლაპარაკობდნენ, ცეცხლისმფრქვეველ აჯიკას ათასვარსკვლავიან კონიაკს აყოლებდნენ. და იყო თბილისის ზაფხულის მთვარიანი ღამე, და ცხელოდა, ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ, და ის-ის იყო, დაღლილ ამინს ცაცხვის ტოტზე ჩამოეძინა...

Are you ready Steve?
Uh-huh
Andy?
Yeah
Mick?
Okay
Alright fellas, let’s go!

— ...და ჩვენ ვიქნებით სულ ერთად!

— და ყველაფერი შეგვრჩება!

— და სულ სიცილში, სულ მაგრად, და სულ ერთად ვიქნებით!

— ამინ! — დასძახა ბოხმა ბოხად, და ბრძენქალა და მიკი მაუსიც წამოხტნენ და უზარმაზარი ბროლის ჭიქები მიუჭახუნეს.

— ამინ!

— ამინ! — თქვა ამინმა, — გამისკდა გული... ამინ, გოგოებო!

II-III

ნიკა ჯორჯანელი

* * *

ზამთარზე უფრო ზაფხულს შეეფერება
წლის ბოლო იყოს შენნაირისთვის.
ალბათ, იმიტომ, რომ ასე მეთქვა:
ყოველ წლის ბოლოს,
ყოველი ძილში გამგზავრების წინ
ღამის გიშრის მძივთა ჩათვლაში
მკაფიოდ გესმის,
ზღვა, სიბნელეს მოფარებული,
როგორ გეძახის.

ზღვა, რომელიც ბავშვებს აჭყუმპალავებს.
ზღვა, რომლის ძირზეც ხომალდები განისვენებენ.

შენ რომ არა,
ბოლო-ბოლო — ჩემთვის შეუმჩნევლადაც —
წყალქვეშეთის აღწერებზე გადავიდოდი.

მარტივადაა ყველაფერი. ეს ჩვენ თვითონვე
ვქმნით ხელოვნურად სირთულეებს,
რადგან სასტიკი სიმარტივე
ამნაირსავე სირთულეზე
შემზარავია...

არ წავა. არც ერთი შენი მელანქოლია,
არც ერთი შენი კაეშანი არსად არ წავა.
განსაკუთრებით — ყველაზე დიდი.
განსაკუთრებით — ამისთანა.
განსაკუთრებით — ჩემთან დაკავშირებით.

და მერე რისღა ნაადრევ გაზაფხულს დაენდობი,
გვიანო მეგობარო?
რომელი ვნება ჩამოგიწევს მხრებზე ბრეტელებს?
რა ყვავილების სუნი გედგება ოთახში,
რომელშიაც აღარ ვიქნები?

IV

დასაწყისი პირველ გვერდზე

* * *

მარიკამ სარკეში ჩაიხედა და ამოიოხრა.

თუ მარტო იყო, მარიკა ხშირად ოხრავდა. სხვა დროს რცხვენოდა ხოლმე, თავს იკავებდა, დაიწყებდნენ, რა გემართებაო, აწი რაღა გაქვს სადარდებელიო, ან ვინმე ბრიყვი შეჰბედავდა, პოზიტიურად იფიქრეო, და აი, ნაღდად მოაკვლევინებდა თავს.

ამჯერად მარიკა მარტო იყო და ოხვრაც თამამად შეეძლო — ვინ რას დაუშლიდა თავის საამაყო მაღაზიაში, რომლის აბრაც, აგერ უკვე ცოტაც და ოცი წელია, თავმომწონედ ქანაობდა ნოი ტიფლისის ციცაბო ქუჩაზე, და არც დაჟანგებულა — საღებავს წელინადში ორჯერ აახლებდნენ, და ერთხელაც არ დაუჭრიალია — მეზობლების უკმაყოფილების და მსგავსი შარის თავიდან ასარიდებლად, ჯაჭვებს ყოველი წვიმის მერე ზეთავდნენ, და არც არასოდეს მორიდებია, რომ უცხოსთვის გაუგებარი მიზეზების გამო და ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ზედ „ბრაჰმანი“ ეწერა.

— აბა, „ორგზისშობილი“ დავარქვა? — შეეპასუხა მარიკა თავის იმჟამინდელ ტრუბადურს, რომელიც ყველაფერს თვინიერად იტანდა, მხოლოდ ეს ერთი რამ უშლიდა ნერვებს: „ბრაჰმანი“, — ნახე: კიდევ სამი ასო ამ თუნუქზე არ დაეტევა, და სხვა რკინა, ჯერაა და, საიდან მოვიტანო, და მერე, უფრო გამოშვერილი იქნება და აქეთ კედელს დაარტყამს და იქით ხეს მიებჯინება, და წვრილად თუ დააწერ, ვინ წაიკითხავს, და ასე, ნახე, რა გადასარევი წარწერა გამოგივიდა!

კაცს, როგორც ჩანს, ამდენი ლაპარაკი დაეზარა, ვერაფერი გაიგო და ხელი ჩაიქნია, საქმეს კი — ვერ დავუკარგავთ — ჩინებულად გაუძღვა, და დარჩა ასე, ლურჯ ფონზე ღვინისფრად: „ბრაჰმანი“.

კაცი აღარავის ახსოვდა, და სავარაუდოდ, კაცსაც აღარ გახსენებია „ბრაჰმანი“ და მარიკა. მას მერე მრავალმა კაცმა და წყალმა ჩაიარა, „ბრაჰმანი“ კი იყო, გადასარევად თუ არა, ასატანად მაინც ყოველთვის მუშაობდა, და მარიკაც კონკრეტული დარდის გამო არ ოხრავდა. უბრალოდ, ასე დასჩემდა მას მერე, რაც ერთ დილას სარკეში ჩაიხედა და აღმოაჩინა, რომ ორმოცდაათწლიან ბრძოლაში დამარცხებულიყო.

— მზიან დღეს სარკეში რამ ჩაგახედა?! — შეწუხდა მაშინ ქეთო, რომელიც მარიკაზე სამი თვით უმცროსი ბრძანდებოდა და თავის უმცროსობას მთელი ცხოვრება აძახებდა, — თან სათვალით, თან ახალგაღვიძებულზე. გონს მოდი!

— ბელმონდოს ვგავარ, — ოხრავდა მარიკა, — ჟან-პოლ დამიძახეთ.

მთლად ასეც არ იყო საქმე, მაგრამ მარიკამ, თუმც უსათვალოდ და ბინდში, ახლაც ამოიოხრა, სარკეს ზურგი შეაქცია და დასაკეტად გამზადებულ მაღაზიას თვალი მოავლო.

მიმოიხედა და, როგორც ყოველთვის, კმაყოფილი დარჩა.

რას არ ნახავდით „ბრაჰმანში“!

ორ უზარმაზარ, სარკეებით დამშვენებულ, თბილისურად წოდებულ ბუფეტში — მბრწყინავი მინა და ბროლი, ოთახის შუაგულში, ლომისფეხებიანი საწერი მაგიდის მწვანე მაუდზე — მოხატული ფაიფური, გამოწეულ უჯრებში — ოდესღაც სამზითვოდ დაქარგული სუფრები, და თითბრის ფიალებში — გულსაკიდები, გულსაბნევები, ბეჭდები, საყურეები, სულო და გულო! დახლის თავზე მძიმე, ოქროსფერ ჩარჩოებში ჩასმული ტილოები ეკიდა, რომლებიც სულ იცვლებოდა, ხან შესანიშნავი იყო, ხან — უიმედოდ ცუდი, ხან მთვარიანი ღამე ეხატა ზედ, ხან — სამოთხის ბაღი, ხან — ბობოქარი მდინარეები და ჩანჩქერები, და ფერწერაზე პასუხისმგებელი ნუცა ყოველი ტილოს გაყიდვას მწარედ განიცდიდა, ოღონდ ვერ ამბობდა, იმიტომ, რომ ყველაზე დიდი ხეირი სწორედ ეს იყო, ყველაზე ძვირად ესენი იყიდებოდა — დავიწყებული მხატვრების მიერ დავიწყებულ დროს დახატული აღარარსებული მიწების პეიზაჟები.

„ბრაჰმანის“ მთელი მარცხენა კედლის გასწვრივ გადებულ თაროებზე ეწყო წიგნები, რომლებსაც არავინ არასოდეს წაიკითხავდა, მკვდარი ბებოების სახლებიდან გამოტანილი, შელახული და მაინც მშვენიერი ვითომ არტ ნუვოს ლითოგრაფიები, ბოჰემური მინის თუ ფსევდოჩინური ფაიფურის ლარნაკები, და თაროებზე ცეკვავდნენ მოხდენილი ბალერინები, ისხდნენ და იწვნენ მწევრები და პუდელები, ხელს იწვდიდნენ ნიკოლოზისდროინდელი მათხოვრები და ვარდისფერლოყება მწყემსი გოგო-ბიჭები აძოვებდნენ თავიანთ ცოტა გაბზარულ, ცოტა დუმაგატეხილ, ცოტა ფერწასულ ცხვრებს, და პატარა და არც ისე პატარა ბრინჯაოს ბიუსტები მათ ამრეზით დასცქეროდნენ ბოლო თაროდან.

ეს უკანასკნელები მარიკას, ცოტა არ იყოს, ეჯავრებოდა.

— იმის ეშმაკი გამხადა, რატომ უნდა მოგინდეს სახლში ნაპოლეონის ნაცუნცულება, ჰა? — ეკითხებოდა ხოლმე ნუცას, რომელსაც თოჯინების ეშინოდა და არც ქანდაკებებზე გიჟდებოდა მაინცდამაინც, — ბეთჰოვენი — კაი, ჯანდაბას, პიანინოზე შემოვდგამ და როცა გავაუბედურებ, თვალს მაინც ჩავუკრავ, მაგრამ ნაპოლეონი, კაცო?

ნუციკო პასუხად მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა და ბიუსტებს თვალს არიდებდა — მაინც; რა აუცილებელია, ამოწყვეტილ კაცებს ბრინჯაოს თვალებში უყურო. ნუციკო მეტწილად ჭერში იყურებოდა, და უცქერდა მწკრივად ჩამოკიდებულ ჭაღებს, რომლებიც ზღაპრულად წკრიალებდნენ, როცა ვინმე „ბრაჰმანის“ კარს შემოაღებდა ხოლმე.

რა მშვენიერია ჩვენი „ბრაჰმანი“!

— ნაგვის ყუთია, — მხრებს იჩეჩავდა ქეთოს კოტე, და მაგრად ცდებოდა, იმიტომ, რომ „ბრაჰმანი“, ნუციკოს ობსესიურ-კომპულსიური აშლილობის წყალობით, გაკრიალებული იყო, და თანაც — მარიკამ ეს ვიღაც სულელთან ამოიკითხა და გაუთავებლად იმეორებდა, — „ნაგავი არის შენი ძველმანები, დედაშენისა ვინტაჟია, ბებიაშენისა კი — ანტიკვარიატი“, „ბრაჰმანში“ კი მხოლოდ გასული საუკუნის ნაგავი იყო თავმოყრილი.

ანუ, ბებიაშენისა.

— ეს არის ალადინის გამოქვაბული, — ნეტარი ღიმილით ჩურჩულებდა ნუცა, და ისიც მაგრად ცდებოდა, იმიტომ, რომ, თავადაც მოგეხსენებათ, ალადინის გამოქვაბულში ტყუილი და გაბითურება არავის ახსოვს, „ბრაჰმანი“ კი ამ საქმისთვის იყო: ყველა იტყუებოდა, ძირითადად — მისი მფლობელები: მარიკა, ქეთო და ნუცა.

უნდა ითქვას, რომ გადასარევად იტყუებოდნენ.

დღეს მორიგე იყო მარიკა, და ამ მშვენიერ ბარბარობა დღეს მარიკამ იმდენი და ისეთი ჩინებული ტყუილი თქვა, და ისე შედეგიანად დაიმძიმა კარმა და სინდისი, რომ, ცოტა არ იყოს, ამაყი დარჩა და, მიუხედავად იმისა, რომ მაინც ოხრავდა, სახეზე თვითკმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა. მარიკა, რომელიც ცხოვრებაში სხვებისთვის ამოუცნობი ნიშნებით და წარმოდგენებით ხელმძღვანელობდა, დარწმუნებული იყო, რომ იმდღევანდელ წარმატებას და გაცხოველებულ ვაჭრობას „ბრაჰმანი“ უმადლოდა ვენეციელ ტომასო ალბინონის, რომლის „ადაჟიოსაც“ მთელი დღე ატრიალებდა გრამოფონზე, ერთადერთ ნივთზე, რომელიც „ბრაჰმანში“ არ იყიდებოდა.

ანა კორძაია-სამადაშვილი

შენ — მკვდარი და მე — ცოცხალი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, „ბრაჰმანის“ გოგოები ერთმანეთსაც გაყიდდნენ, და არც გაყიდულს ეწყინებოდა, ფასს გააჩნია, მაგრამ გრამოფონი არ იყიდებოდა, იმიტომ, რომ მას წარწერა ჰქონდა, და ეს წარწერა იუწყებოდა, რომ ამა და ამ წელს, ამა და ამ სკოლამ ის წარჩინებული სწავლისთვის ჯილდოდ გადასცა მეოთხეკლასელს, რომელსაც ერქვა ბარბარე, და ბარბარე მარიკას, ნუცას და ქეთოს ყველაზე მეტად უყვარდათ, და მისას არასოდეს არაფერს დათმობდნენ, სულ შიმშილითაც რომ ამოხდომოდათ სული.

მარიკამ დადუმებულ გრამოფონს საკეტი კიდევ ერთხელ შეუმოწმა და ხელი ნაზად გადაუსვა: მადლობელი ვარ, ტომასო.

— ბარბარობას გილოცავ!

არ არსებობს.

მარიკას თავზარი დაეცა.

როდის შემოვიდა. რატომ მოვიდა. რა უნდა. ახლა მე რა ვქნა.

თეკლე, თეკლე-მეკვლე, თეკლე ბატონი, მარიკას ერთადერთი შვილი, დედამისზე ლამაზი, მამამისზე მაღალი, თეკლე, დედას თვალისჩინი და დედას სიხარული, და მის შემყურე მარიკას ძალიან მწარედ მოეწურა გული.

არ ჰკითხო. არ შეგეშინდეს. არ ენდო.

მარიკა წელში გასწორდა და თეკლეს თვალი თვალში გაუყარა, სწორედ ისე, თეკლეს მამა რომ ასწავლიდა ოდესღაც — კატებზე ამეცადინებდა, და მარიკა ახლაც მთელი უბნის ყველა კატას ახრევინებდა თვალებს, თეკლე მასთან რას გახდებოდა. და თეკლემაც თვალები დახარა.

* * *

Lift up your hearts and sing me a song
That was a hit before your mother was born
Though she was born a long long time ago
Your mother should know
Your mother should know

ერთხელ, ოდესღაც, უხსოვარ დროს, ღრმად ჩაფიქრებული ჰიპების და ატომური ბომბის ხანაში, როცა ყველა ყველგან ეწეოდა, ბიჭები გოგოების გამო ჩხუბობდნენ, „თამაში ჭვავის ყანაში“ თუ წაკითხული არ გქონდა, სალამს არ გეტყოდა წესიერი კაცი, და, მე თუ სწორად მახსოვს, სულ გაზაფხული, ჰა და ჰა, ზაფხული იდგა, მარიკა ექვსი — დიახ! — მთელი ექვსი წლის განმავლობაში უზომოდ, გაუგონრად, დაუჯერებლად ბედნიერი იყო, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამას მერე კი არ მიხვდა, როცა ყველაფერი დამთავრდა, როგორც დაუნახავ ან უჭკუო ხალხს სჩვევია, არამედ იქვე, მაშინათვე, ყოველწამს გრძნობდა, ნამდვილად იცოდა თავის დაუმსახურებელი, უმიზეზო და უზარმაზარი ბედნიერების ამბავი.

ამასობაში ქვეყანა გადატრიალდა, რუსთაველი გადაიწვა, ჯერ ერთი და მერე მეორე ომი დაიწყო, მარიკა კი ყოველ დილას გაღიმებული იღვიძებდა — ვეეხ! — და ყოველ ღამეს გაღიმებული იძინებდა, სულ რაღაცას ღიღინებდა და ცეკვა-ცეკვით დადიოდა აღმა-დაღმა, როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით, და ვინმეს რომ ეკითხა — უაღრესად სულელს ან შურიანს — რა გიხარია, გოგოო, უმალვე შეეძლო პასუხის გაცემა: მიშკა! მიშკა მიხარია, აბა, რა?!

რა სიხარულია, რომ ქარი უბერავს და შენს ცივ მხრებს ვეხვევი! შენ ნაზი ალერსი გგონია, მე კი ვიცი, რომ ამბოხია, და აღტაცებული ვარ.

მიშკა, წმინდა მიქაელის დღეს დაბადებული, მიშკა, სამყაროს ღიმილი, ოქროსფერი თვალებით, თვითკმარი და მხიარული, მიშკა, რომელიც ყველაზე ღონიერია, ყველაზე მაგარ ზღაპრებს ჰყვება, მიშკა, რომელმაც ასი მთა და ასი ზღვა გადაიარა, რომ სწორედ იმ დღეს, იმ საღამოს, იმ გადასარევ გაზაფხულის საღამოს აღმოჩენილიყო ლაღიძის წყლებთან, ასახვევში, სადაც მარიკა ნუცას უნდა შეხვედროდა და, რასაკვირველია, დაიგვიანა, და როცა დარწმუნდა, წავიდა არამზადა ნუციკოო, და გაიფიქრა, რა იაზვობაა ახლა ესო, მოიხედა და დაინახა მიშკა, და მიშკამაც აღმოაჩინა, რომ თურმე აი, სწორედ ასეთი, „გაშალაშინებული და უღმერთოდ დამწვარი“ გოგოები მოსწონს. უფრო სწორად, ეს ერთი გოგო.

— თავთუხისფერი თმა აქვს, — უყვებოდა მარიკა ბარბარეს, და თუმც ბარბარეს კონსტანტინე გამსახურდია მაგრად არ უყვარდა, არ უთქვამს, ნეტა ერთი შენ არ აფრენდე, ქალბატონო მარიამო, — თვალები მართლა ყვითელი აქვს, როგორც ქარვა. ულამაზესი.

მიშკა. ეს რა იყო.

მიშკას სულ არ ედარდებოდა, რომ მარიკამ ვერასოდეს ვერსად ჩააბარა და, საერთოდ, ცუდი პიანისტი იყო. მიშკას მარიკას საარაკო უწიგნურობის გამო მხოლოდ ეცინებოდა. მიშკა უძლებდა მარიკას დედას, რომელმაც ყოველთვის ყველაფერი ყველაზე კარგად იცოდა და თვითონ იყო არაფრისმაქნისი და არაფრისმცოდნე ქალი, რის გამოც მიშკამ, უბრალოდ, ცოდნა დაარქვა და მერე სულ ეშინოდა, ამ სახელით არ მივმართო და ცოდნამ მიწაში არ ჩამდოსო.

— ეს ჩემი სიცოცხლე ძვირფასი სახსოვარია, ქალბატონო. თავს უნდა გავუფრთხილდე, ცოდნამ როგორ უნდა მომკლას...

— შენ ხარ სამყაროს ღიმილი, თავადო მიშკინ.

მარიკას „იდიოტი“ წაკითხული არ ჰქონდა.

— მარიკა, შე ბრიყვო, პინგვინო, ნეკნო.

ღამეში თვალები ღვივის და ხარბად ვუსმენ: საშიში ზღაპარი შეირხა და ვარსკვლავების ყანა სუნთქავს.

მიშკამ მარიკას უამბო, რომ საკმაოდ გვიან, ბარემ თექვსმეტი წლისამ წაიკითხა „სპარტაკი“.

— ...და აღვმართე დროშა, ზედ დავახატე კატა, ყიჟინა დავეცი და გადავედი გაღმა ნაპირზე, მარაზმით ტანჯული პაპაჩემის დანატოვარ სარდაფში საცხოვრებლად და საფოფიღაღნოდ.

მარიკას „სპარტაკი“ წაკითხული არ ჰქონდა, მაგრამ სიყვარულით ფრთაშესხმულმა იმავე დღეს სთხოვა ძალიან გაკვირვებულ ცოდნას, წიგნი მიშოვეო, და იმან რომ იქვე გადმოუღო თაროდან და „აჰაო“, იმავე ღამით დაიწყო კითხვა, ოცდამეორე გვერდზე დაიძინა და დილით ნუცას დაურეკა, გასაოცარი და ბრიყვული თხოვნით:

— ნუცმენ, მე ამის წამკითხავი არა ვარ, მაგრამ ტილო რომ მოგიტანო, მულინე ავაგდო და მაგრად გთხოვო, ერთ კუდაპრეხილ კატას არ მომიქარგავ?

ნუცას შედევრი დიდხანს ეკიდა გაღმა ნაპირზე, ნოი ტიფლისის ერთი ციცაბო აღმართის მიწისპირა ფანჯარაზე. ის, დროშად ჩაფიქრებული კატიანი ფარდა, სამყაროს აუწყებდა, რომ მარიკა შეეშვა გამებს, არპეჯიოებს და გენიოსების სულების წვალებას, მოიხსნა ხუნდები სახელწოდებით ცოდნა, თავს უშველა და, საკვირველი მიქაელ მთავარანგელოზის წყალობით, ყველაზე კარგ საქმეს მიჰყო ხელი: შეყვარებული ქალი გახდა.

ეჰეჰეჰეი, მიაუ!

— იცი, ბარბარ, აღმართს რომ მივადგები ხოლმე, გული მიწყნარდება. პირიქით არ უნდა იყოს?! აღმართში გული ამომივარდა და რაღაც ეგეთები? მე კიდე მიწყნარდება, იმიტომ, რომ ავალ და სახლში მიშკა დამხვდება, ან რომ ავალ, მერე მიშკა მოვა, და მე ამ ჩვენ აღმართზე ვგიჟდები!

— მართლა არ გაგიჟდეს ეს ჩემანგალა, — ჩაიბუტბუტა ქეთომ, რომელიც უკვე მეორედ იყო ორსულად, თავს მსუქან და გადასაგდებ ქალად თვლიდა და, მისივე თქმით, დაწყვილებისა და გამრავლების

ჟინის დაკმაყოფილების მერე მხოლოდ კამო ტერ-პეტროსიანთან გრძნობდა სულიერ სიახლოვეს, — სამი წელია, ბოდვაშია, აზრზე ხარ?

ჰოი, ამ მბრწყინავ საღამოს რა მშვენიერი იქნები, ბნელი სამოთხის ერთგული, ჩემი ნათელი ვარსკვლავი.

მიშკამ მარიკას უთხრა, რომ ორსულობა ავადმყოფობა არაა და არც ბავშვის გაჩენაა დიდი ბედენა, ყველა ვიღაცის მშობიარობის გამო დაიბადა, და თეკლა ისე გაჩნდა, რომ მარიკას არც ახსოვდა, რამე თუ მოხდა, გარდა იმისა, რომ მიშკა გაუთავებლად აქებდა და ყველას უყვებოდა, რომ მარიკამ — არა, უბრალოდ, წარმოიდგინეთ! — მარიკამ გოგო გააჩინა და თეკლე დაარქვა! თეკლესაც ქარვისფერი თვალები ჰქონდა და იყო ჯანმრთელი ბავშვი, რომელსაც, რასაკვირველია, ბნელ სარდაფში არაფერი ესაქმებოდა და ნათელ სტალინურ სახლში უნდა გაზრდილიყო, და იზრდებოდა ცოდნასთან, რომელსაც, რასაკვირველია, ბავშვის გაზრდა არ ესწავლებოდა, და თეკლე ისე მოიყარა ორი წლისა, რომ მშობლების სახლი და კატიანი ფარდა არც დაენახა, საერთოდ.

— სწორია, — უხსნიდა ბარბარე სასოწარკვეთის ზღვარს მიმდგარ ცოდნას. ამ უკანასკნელს ბარბარესი ცოტა ეშინოდა, თუმც არ ტყდებოდა და ხანდახან საპროტესტო წაწრიპინებას მაინც გაბედავდა ხოლმე, — სხვას რას მიკეთებ? გადასარევი ბავშვია, უკეთესს რას იზამ? შენ გაზრდი, მე მოვნათლავ და საქმეც გამოვა, თორემ აი, ვერ ხედავ, მარიკას გაზრდილი ალოეც არ ვარგა, მიშკას კიდე ბავშვი როგორ უნდა ჩააბარო, ნაიყვანს სადმე, შუა აზიაში, თრიაქს მოაწევინებს და გაადებილებს.

და გადებილებული ცოდნა ბავშვსაც ზრდიდა და მიშკას სახლიდან სარეაბილიტაციოდ წამოღებულ ალოესაც უვლიდა, საწყალს ისეთი დამართა, რომ ყოველწლიურად ყვაოდა, და ცოდნაც კი ბედნიერი იყო, იმიტომ, რომ — ეს ყველამ იცის — ბედნიერება გადამდებია.

ვიცი, რომ ცივი ქარი ქრის, ვიცი, რომ შემოდგომას გული არა აქვს, მაგრამ შავი ლაბადები გვეცმევა და ვერავინ გაიგებს, რომ მე და შენ ნადიმი გვაქვს გამართული.

— მე რომ დავიბადე, ცოდნას უნდოდა, მამაჩემის დედის სახელი დაერქმია, მაშინ ჯერ კიდე ეტენებოდა კოლხებს, ფიქრობდა, რომ ყველაფერი დალაგდება, მამაჩემი რუსეთიდან ჩამოვა და რუსეთიდან ფული ისე მოვა, თვითონ, თავისით, ციური მანანასავით, თუ რაღაც ეგეთი. ბარბარემ გადამარჩინა, ასე უთხრა, რა თქმა უნდა, მარიამი უნდა დავარქვათ, აბა, რაო, და ცოდნამ, რა მარიამი, ბებიამისს მადონა ჰქვიაო, და ბარბარემ, ჰო, მადონას ხომ მარიამი ერქვაო, და გაბრიყვდა ცოდნა.

— Lady Madonna! — მღეროდა მიშკა, — მიდი, მადონა! შენ ხარ რინგო სტარი! მე ვარ დანარჩენები! წავიდა!

წავიდა! და მიშკამ და მარიამმა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის იმდენი ტაძარი მოიარეს, მარიკას სათვალავი ერეოდა. ის კი არ დავიწყებია, რომ ბეთანიაში თეკლეც ჰყავდათ, და თეკლეს ერთხელაც არ უტირია, იმიტომ, რომ — ეს ყველამ იცის — ბედნიერება გადამდებია.

და ჩვენ გავქროლდებით შორეულ შორეთში და ყურს დავუგდებთ შორეულ საყვირებს და ღამის გზებს გავთელავთ, ბნელ ზეგანებზე ვივლით...

— ბოლო აღარ თქვა, მიშ, — სთხოვა მარიკამ, — გული მეწურება.

— ლექსია, ჩემო მადონა, ლექსის როგორ უნდა გეშინოდეს ამხელა სპეციალისტ ქალს?

და იალნოს ქედის თავზე, კამკამა ცაზე, უზარმაზარი ვარსკვლავი ჩამოვარდა, და მიშკა აყვირდა: „ჩაიფიქრე!“ და მარიკას სანატრელი აღარაფერი ჰქონდა და ისიც აყვირდა: „ღმერთო, მიშველე!“

ეჰეჰეჰეი, მიაუ!

თეკლე დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში მონათლეს, იმის მერე, რაც მიშკა ექვსი წლის თავზე პირველად წავიდა სოხუმში მარიკას გარეშე და აღარასოდეს დაბრუნდა. თეკლეს ნათლია ბარბარე იყო, და პატარა გოგო, რომელსაც მანამდე არ მიჰკარებია, მარტომ წაიყვანა დიდუბეში.

ბარბარე ყოველ ორშაბათს ამ ტაძარში დადიოდა, თუმცა რატომ — ორშაბათობით და რატომ — დიდუბეში, არავინ იცის.

— როგორ ფიქრობ, ნაღდად მონათლა? — ჰკითხა ქეთოს ნუცამ.

— რა მოსატყუებელი ეგაა? — გაუკვირდა ქეთოს.

— რა ვიცი...

ნუცას აღარაფერი უთქვამს, ქეთო კი დაფიქრდა, და ან ერთი რას ფიქრობდა, ან მეორე, არავინ იცის.

ნადიმის დრო გავიდა, და ჩემი დამთვრალი ტუჩები სიკვდილის შიშით კოცნის შენს ცივ ტუჩებს, ჩემო სიცოცხლე.

მიშკა წავიდა, მარიკა დარჩა.

— მე აღარ ვიცი, მკვდარი რომელია, — თქვა ქეთომ.

— რა ვიცი, — მიუგო ბარბარემ, — ვინ რა იცის.

როცა გადაწყდება, რომ დროა — წავიდა! — იქ, შორეულ შორეთში, მიშკა დამხვდება. ვიღაც საყვირს ჩაბერავს, შავ ლაბადებს მოვისხამთ, მიშკა ცხენზე შემსვამს და ბნელ ზეგანზე გავჭენდებით, ვარსკვლავების ქვეშ, ფოფიღაღნეთში, სადაც არ არის ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

ვეეხ, ჩემო მადონა, ვეხ.

ზურაბ ღუდუშაური

გარდერობი

— ბრავოოო... ვუუუუუ... უუუუუ, — ახმაურდა ხალხი კონცერტის დასრულებისთანავე.

— ვუუუ-უუუუ-უუუუუ, — ინდიელების ყიჟინით შეუერთდა სალომე დანარჩენებს.

მე და ვაკო მსუბუქი ტაშით შემოვიფარგლეთ. დიდად არ მოგვწონებია მუსიკა. ეგ კი არა, შეიძლება ითქვას, რომ შეგვეშინდა კიდეც. მხოლოდ ჰიჩკოკის ფილმებში მქონდა მოსმენილი მსგავსი რამ. შუა კონცერტის მსვლელობისას ენტონი პერკინსის სურათი დავგუგლე, თვითკმაყოფილი რომ იყურებოდა ჩემკენ, თითქოს რაღაცას მიპირებდა და რომ ვუცქერდი, დააკვდა კიდეც იმ კომპოზიციას. ვაკოსთვის აღარ მინახებია. რომ გავხედე, თვალებდახუჭული უსმენდა მუსიკას და ჰიჩკოკების გამო აღარ შევაწუხე. არადა მინდოდა, ვინმესთვის გამეზიარებინა ჩემი აღმოჩენა. მარჯვნივ არავინ მეჯდა. მთელი რიგი ცარიელი იყო. მარცხნივ ვაკო ნებივრობდა. წინ ოთხი უკმაყოფილო ქალი ჩამწკრივებულიყო — ტაშს არაფერზე უკრავდნენ და მიწასთან ასწორებდნენ ყოველ გამომსვლელს. უკან კი კამერებს ქვეშ ორი ახალგაზრდა ჟურნალისტი იჯდა. ერთი კარგი გოგო იყო, მომეწონა. კონცერტის დაწყებამდე ვაკოს ადგილას იჯდა. ჩვენი დიალოგი გაიგონა თუ არა, იმწამსვე ადგა — თქვენს ადგილს მე ვიკავებო და ბოდიში მოგვიხადა. ცოტა შეგვეხათრა, ვაკომ დაჯდომა შესთავაზა, მაგრამ არაფრით დაჯდა — უკან მირჩევნიაო. უკან რატომ ერჩივნა, არ ვიცი, მაგრამ ჩემ გვერდზე რომ მოსკუპებულიყო, კი ვაჩვენებდი პერკინსის სურათს. უკან რომ მობილური შემებრუნებინა და მენიშნებინა, სურათს შეხედე-მეთქი, მეც ამ შავ-თეთრი ფილმის პერსონაჟივით ფსიქოპათი ვეგონებოდი და გადავწყვიტე, ისევ ვაკოს გამოღვიძებასა და სალომეს მოსვლას დავლოდებოდი, რომ მხოლოდ ჩემთვის არ დამეტოვებინა პატარა აღმოჩენა. სალომემ ერთი ნომერიც დაუკრა და შესვენებამდე შემოგვიერთდა. დარბაზში რომ შემოირბინა, თვალი მოვკარით. თვითონ ვერ დაგვინახა და სამი რიგით წინ, კიდეში, დაჯდა. კამერებთან ვართ-მეთქი, მივწერე. ყველგან კამერებიაო — მომწერა და ორი სიცილის სმაილიც მოაყოლა. ვაკვირდებოდი და ეს ის შემთხვევა იყო, როცა სიცილის სმაილების მოწერისას მართლა გაიცინა სალომემ. მე ძირითადად არ ვიცინი, როცა სიცილის სმაილებს ვაგზავნი. თუ მეცინება, ვწერ, რომ ხმით ვიცინი, ვხოხავ ან სხვა მსგავს რამეს. ვაპირებდი, სალომესთვის მიმეწერა — აი, იმ კამერის წინ საყვარელი ჟურნალისტი ზის, უკან გამოიხედე-მეთქი, მაგრამ ვერ მიხვდებოდა და უბრალოდ უკან გამოვახედე. სალომე ტაშისას გადმოჯდა. მე ერთი ადგილით მარჯვნივ გადავჯექი, ვაკოსთან დავსვი.

ვაკო და სალომე ცოლ-ქმარნი არიან. ყველასგან გამორჩეული — ვარსკვლავური წყვილი. შეიძლება თავად ვერ ხვდებიან, შეიძლება ვერც მე ვიაზრებ, მაგრამ ისინი მართლაც ვარსკვლავები არიან, ცალ-ცალკეც და ერთადაც. ერთმანეთს მუსიკამ შეახვედრა. ვაკოს ქართულ-ხალხური სიმღერების ჭაპანი შემოუხვევია მხრებზედ და ახალგაზრდული ჯან-ღონითა და ენერგიულობით ექაჩება. ჩვენ თაობაში იშვიათად მოინახებიან მსგავსი ახალგაზრდები, წინაპრების დანატოვარი კულტურითა და ტრადიციებით რომ ინტერესდებიან. ყველას რაღაც ახალი სურს, ძველს აინუნშიც არ აგდებს. ვაკო კი პირიქით, იმ ძველის სიღრმეებში ჩადის, რათა როგორც ძველს შეუნარჩუნოს სიცოცხლე, ისე ახალი წარმოქმნას რაიმე. აი, სიტყვა „ქართველობას“ რომ ახსენებენ ხოლმე, სწორედ ასეთ ახალგაზრდასთან უნდა ასოცირდებოდეს ეს წოდება.

სალომეც ვაკოს მსგავს ამბავშია. ერთერთი წამყვანი ორკესტრის ვოკალისტია და ამავდროულად უკრავს საკრავზე, რომლის არსებობაც მთელმა სამეგობრომ სალომეს გამოჩენის შემდეგ გავიგეთ. და საერთოდ, ვაკოს ბავშვობის მეგობრების კლასიკური მუსიკით დაინტერესება სწორედ სალომეს დამსახურებაა. თუმცა, სულ მთლად არიფები არც ჩვენ ვყოფილვართ. მაგალითად, მე, ბავშვობაში ძველი კოლხეთის დიდებული მეფის მოსახელე ტელევიზია — „აიეტი“ — რომ მქონდა, „Mezzo“-ს ვუყურებდი ხოლმე. „Mezzo“-ზე კლასიკური მუსიკის კონცერტები გადიოდა, მაგრამ მშობლები სხვა არხებზე მირთავდნენ — პანაშვიდის მუსიკას ნუ უსმენო და რა მექნა?! გადავედი „თუფაქებსა“ და „ფიფთი ცენტებზე“. ამასაც კი მიშლიდნენ, კლიპში შიშველ ქალებს ნუ უყურებო, მაგრამ პანაშვიდის მელოდიებს ისევ ეგ ერჩივნათ, ყოველ შემთხვევაში, მამას მაინც, და გამქონდა ჩემი. მშობლები ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდნენ, შუა აღმაშენებელზე, კახიძის მუსიკალურ ცენტრში, თანამედროვე ქართულ კლასიკურ მუსიკას თუ წამოვუდგებოდი ფეხზე და ტაშს დავუკრავდი.

— მე კურტკებზე ჩავირბენ, მერე რიგი დადგება, — დაიძახა ვაკომ. გავხედე და გაქრა.

დასასრული მე-12 გვერდზე

ნიკა ჯორჯანელი

* * *

ამინდებია — ვერ გაიგებ, ცივა თუ ცხელა.
დილით აჭერდა. შუადღისას უცებ აგრილდა.
რაც მთავარია, ჩემ წინაშე მორიგი დღეა,
რომლის გრეხასაც ვაკვირდები გინდა არ გინდა,
მოუბეზრებელს, რამდენადაც მოსაბეზრებელს.
ხორხი გრძნობს დიდი უთქმელობის მოხდენილ ხრიწინს.
და პეიზაჟი კაბინეტის თვისებებს იძენს,
სადაც დაჯდები და ვერ დაწერ ვეღარაფერზე.

ხეების მწკრივი უაღრესად მწყობრად ირხევა.
ნიავი თითქოს ფოთლეულში ცდილობს მიმალვას —
და ვერ ახერხებს. და ქუხილი ისმის იმხელა,
რომ დაბომბვაზე გაიფიქრებ. იცის წვიმამაც
კაცისნაირად უცაბედად ძალადობრივი,
ახირებული და ხანგრძლივი ამოჩემება.
და ავხორცობით შიშხინებენ გაუჩერებლად
მოსალოდნელი ნიაღვრების კალაპოტები.

რაღაც ჩუქურთმა სულ აკლია გარემოს დეკორს.
უძლური გული, პატრონისთვის შხამის მოსატან
ჭურჭლად ქცეული, აყურადებს საკუთარ ექოს
და, რა თქმა უნდა, ვერ იყენებს უგულობასთან
კონფრონტაციის ხელოვნებას, უგვანად ნასწავლს.
და სიყვარული ყოველდღიურ საქმეს აკეთებს:
იხვევს ჩანგალზე შენს სისხლძარღვებს,
როგორც სპაგეტის,
და წყნარად გაგლეჯს,
და პირისკენ მიაქვს, და სანსლავს.

უფრო და უფრო მოშორებით ფანცქალებს გული.
თითქოს ადგილზე კი არ არის — სადღაც მიდისო
და იქ დადგომას ამჯობინებს, გაყინვას, დუმილს.
ვერაგი გული ასე ცივად და უსინდისოდ
ნეტა სად მიდის, სად გაურბის ვალდებულებებს?
სად გარბის გული, ვერაგი და უბერებელი?
იქნებ არსებობს ქვეყანაზე სამკვიდრებელი
თავადებივით გახიზნული ჩვენი გულების?

გზები სველდება ვეშაპების ზურგების მსგავსად.
არყევს, აზვირთებს ატმოსფეროს ზაფხულის წვიმა.
გარეთ მლტოლვარეს, რას მოგიტანს წვიმაში გასვლა,
გალუმპვის გარდა. უშენოდაც მშვიდობით მივა
თითოეული წვიმის წვეთი დანიშნულების
მშრალ ადგილამდე, მოწყურებულ ადრესატამდე.
დრო თითქოს კრთოდეს უდროობის მატრიცასავით
და ქორწილამდე ვერ აღწევდნენ დანიშნულები.

რა მყიფე არის ყველაფერი. როგორ კიდია
უხილავ ბეწვზე, არამდგრადზე წვიმის წვეთივით.
ყოველი ხიდი ბოლო-ბოლო ბეწვის ხიდია.
ყოველი დარდი — ბოლო-ბოლო განუწყვეტელი
ელიტარული განათლება, რომელსაც გაძლევს
ატესტატების არგამცემი, მოწაფის ძრწოლას
დახარბებული, იდუმალი საღამოს სკოლა,
სადაც სწავლება იქამდეა, სადამდეც გაძლებ.

ერთხელ ყველანი საბოლოოდ გავიყურსებით;
და ეს ყოველთვის სიახლეა, რა ბანალურიც
არ უნდა ჩანდეს. აწერია წვრილი კურსივით
ბუშტებს, მაშხალებს, სამკაულებს, რომ სიხარული
დაწყებიდანვე ქრონიკულად ჩემოდნებზეა,
რომ სიხარულის თვისებაა — თვალი კარისკენ
ეჭიროს მუდამ, რომ ის, თუნდაც სანდო ხარისხის,
არის უბრალოდ სიმწუხარის დემოვერსია.

თავს თითქოს ღრუბლის გაწეწილი
ქულა ბურავდეს.
ბედი ხელს ნელა, მომხიბლავად ჯიბეში იყოფს,
რომ ცარიელი ამოიღოს ძველებურადვე.
სტკივა საერთოდ ნებისმიერს, ვინც გინდა იყოს,
ოდესღაც ტკბილი, და დღეს უკვე მწარე ოცნება,
რომელიც, თავი ოღონდ ტკბილად
დაგამახსოვროს,
მზადაა მოკვდეს. სარქველები სტკივა საქსოფონს
და მცირეოდენ ჩაბერვაზეც სისხლს იტყორცნება.

ვიცი, მკითხველო, დაიღალე. რამდენი კითხვა
და საყვედური შეგიძლია წამომიყენო.
ვიცი, ტკივილზე უჩემოდაც ქვეყნისა ითქვა.
მაგრამ არ მყოფნის, უკანასკნელ აბორიგენად
როდესაც თავს ვგრძნობ იარების მხარის...
იმედო,
ნულარ მატყუებ შენი ფრთებით, შენი თეთრებით,
შენი სილაღით... შენ კი, წამო, ნუ შეჩერდები,
არ დაეყუდო, არ გაშეშდე, არ გამიმეტო.

* * *

ეფინება შენს უხინჯო პროფილს
ყოფნის მტვერი. და მე მესმის მტვრის.
ქაღალდისფრად ვუფერადებ ჭორფლებს
სინამდვილის გაბრტყელებულ ცხვირს.

ასე სწრაფად, უმოწყალოდ მზარდ
სიბნელეშიც, ვარსკვლავებს რომ თენთავს,
სულ იქნება ჩემი მზერა მზად
შენდა მიმართ სანათივით ენთოს.

მომიწონა ანგელოზთა საბჭომ
და გაფრინდა; თვალს ვაყოლებ გუნდს,
როგორ მიფრენს წუთისოფლის გამჭოლ
შინისაკენ, ჩემ გამჭოლად თუნდ.

ვამცნო ჩემი მისამართი დიდ
თუ პატარა სახლებს, მთას თუ ორმოს
მხოლოდ იმის ვცდილობ ხოლმე თქმით,
რომ ჩემ ზევით სიყვარული ცხოვრობს.

ის ძილის წინ საწრუპავი კვერთხით
ჩემს სისხლს იღებს რამდენიმე კოვზს.
ვინც ეს ლექსი წაიკითხა ერთხელ,
კიდევ ერთხელ წაიკითხოს, ვთხოვ.

* * *

თვალყურს ადევნებ გამრუდებას, ისევ სწორებას,
ნაკლოვანებას შესანიშნავს, ნაკლულ დიდებას,
უპატიებლის პატიებას, დასაშორებლად
გამეტებულთა ერთმანეთის გამოკიდებას,
დღისა და ღამის თავბრუდამხვევ დამალობანას,
ზედაპირებზე სასიცოცხლო ფერების მოსხმას...
თუ წარმავლობა ჭეშმარიტად წარმავლობაა,
ეს წარუვალი სილამაზე როგორღა მოსდგამს —
მისი ერთგული ერთადერთი მემატიანე,
რომ არ ჰბეზრდება განსაზღვრულის ჟამთააღწერა
განუსაზღვრელი ილეთების ორომტრიალით.
რითაც აღწერილს რა ხანია გადააღწია.

მას არც თავისი წვა აბრუებს, არც ანარეკლი.
არ მიუგდიხარ არც წარსულში, არც სამომავლოდ.
ის შენ ყველაფერს დაგიჯერებს, რასაც არ ეტყვი,
და ყველაფერში ეჭვს შეიტანს, რასაც უამბობ.

* * *

არსებობენ რაღაცები,
რაზეც ლექსადაც კი საძნელოა ილაპარაკო.

მაგრამ როგორ არ უნდა გამჟღავნდეს,
რომ იმათზე დგას ეს ქვეყანა,
ვინც ნამდვილად საშინლადაა,
ვინც არის ყოვლად გაუსაძლისად.

ეს ზედმიწევნით უნდა ვიცოდეთ.
ჩვენი სახელის მართლწერასავით.
სუნივით ჩვენი საძინებლების.
ძვირფასი სახის ნაკვთებივით.
ეს მუდმივად უნდა გვახსოვდეს.
თორემ კარგი დღე
არ დაგვადგება.

ვინ უნდა გვყავდეს
საერთოდაც მხედველობაში,
თუ არ ისინი, ვისაც მოხვდა ჩვენი გულისთვის,
ვისაც ჩვენ გამო ხვდება.

წყობა ქვეყნისა ისეთია, რომ ვინმეები
გაუსაძლისად უნდა იყვნენ ბოლომდე ყოვლად.
სხვებს ხვდათ წილად ყოფნა ამ ვინმეებად,
რათა წილად
ჩვენ არ გვხვდომოდა.

მადლი შევწიროთ მათ!
მადლი შევწიროთ სულით და გულით!
ვუმადლოდეთ ყოველწამიერ!

ბევრნი არიან.
ყველას ვერ ჩამოთვლი.
ვერც გაიგებ ყველას შესახებ.

დიდი მადლობა, შებღალულო პატარა ბავშვო,
ნაგვის ტომარაში გახვეულო
და ჩამარხულო მიწაში ცოცხლად
შენს პლუშის დელფინთან ერთად.

რამდენი განუკურნავი უსინათლოა.
რამდენი გაუცოცხლებელი მკვდარი.
რამდენი დაუწერელი სახარება.

* * *

მომიხდა ჩავლა ამჯერადაც, და შენ გარეშე
უკვე მეორედ შემოვედი მე ამ კაფეში.
როგორც შედიან მარტოხელა მიუსაფარნი
ნაგებობებში, ასეთსავე მიუსაფრებში.

გაბმულად ცქერა ერთ წერტილში. სამოქმედოდან
რაც დაკრისტალდა. და მიმტანმა სანახევროდაც
ისე საერთოდ არ გიკითხა, თითქოს ადრევე
დანამდვილებით იცოდაო, რაც მოხდებოდა.

ჯოჯოხეთური რაღაცაა ეს უშენობა.
ხან შუაგულში დგომა მოსწონს, ხანაც შემოვლა.
ზოგჯერ კარიდან ერთიანად გაიკრიბება
და ფანჯრებიდან ნაწილ-ნაწილ ისევ შემოვა.

საგრძნობელ შვებას არ იძლევა მისი ურქობა,
კუდის არქონა, უჩლიქობა; მაინც უქრობლად
მოდებულია ყოველივეს, როგორც ხანძრები,
გამოსხივება, შიმშილობა, დიდი თურქობა.

მახსოვრობაში ამოხეთქილს, სულ უფრო ვერ გცნობ,
ამ ცეცხლიანი ნანგრევების მფლობელი კერძო,
გაკრული შენზე, ჯვრისგან იმით განსხვავებულზე,
რომ ეს ლურსმნები, ეს ტკივილი შენც უნდა გეგრძნო.

მურად მთვარელიძე

ტკივილის სახარება

მეოთხე დღეა,
ტკივილები ალაპარაკდნენ,
მეოთხე დღეა,
ცადჩაძირულმა ქარმა სამყაროს
გადაუქროლა და არ გაჩერდა...
მეოთხე დღეა, ვარსკვლავების ჭუჭრუტანებში
სილამაზის დანახვას ვცდილობ,
მაგრამ ამაოდ, ამას ვერაფრით ვერ ვახერხებ,
სულ უბრალო მიზეზის გამო,
ცაზე ყველა ვარსკვლავი ჩაქრა...

1
ოთხი თავია სახარება:
მახარებლებიც ოთხნი არიან:
მათე, მარკოზი, იოანე და ლუკა.
და ამ ოთხივეს გაუმართლა, როცა ეუწყათ,
რომ იქნებოდნენ შემოქმედნი
დაუწერელი სინამდვილის,
რომელიც მერე კაცობრიობას გაჰყვებოდა
არა მხოლოდ როგორც ნუგეში,
როგორც რწმენა, როგორც ფარი
სულისა და ხორცის ჭიდილში,
უპირველესად — როგორც იმედი
მომავლის გზებზე ხეტიალისას.

2
ოთხი მხარე აქვს სამყაროს, სადაც
ჩვენ ჩვენს ფიქრებს, ფიქრებს და ვნებებს ვამზეურებთ...
— აღმოსავლეთით არ წახვიდე,
იქ მზის ცეცხლია და დაიწვები,
მათე, ხომ გესმის?
და ნურც დასავლეთს მიაშურებ,
იქ ხომ მზე ჩადის... შენც მეწამულში გახვეულ ცას
ვერ გადაურჩები...
ჩრდილოეთისკენ ყინულია,
გაიყინები, ვაიმე, არა, არ მემეტები,
არ წახვიდე ჩრდილოეთისკენ...
იქ ყინულია და უგულობა...
რაც შეეხება სამხრეთს, ო, სამხრეთს —
ავსა და ცბიერს,
მტარვალს, მუხანათს,
არ დაუჯერო, არ მიენდო, არ უერთგულო,
მან არ იცის ერთგულების დანახვა, არა!!!
სამხრეთისკენ ნუ წახვალ ოღონდ,
მათე, ხომ გესმის?
არც ჩრდილოეთის გზას გაუყვე,
არც აღმოსავლეთს არ მიენდო და არც დასავლეთს.
სამხრეთი? — ჰო, სამხრეთი, უკვე გითხარი,
უფრო მეტად არის მტარვალი...
ჯვარი გეწეროს ოთხივ კუთხივ, ჯვარი გეწეროს!..

3
თეთრად ღვიოდნენ წუხელ ღრუბლები
ცაზე, რომელიც ვერ დავინახე
და სურვილები — ჯერ ხელუხლები —
შენთვის, ჰო, შენთვის შემოვინახე.
მარკოზ, ჩვენ ოთხი სტიქია ვართ:
მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი.
და ისე უნდა აცხოვრო შენში ყველა ესენი,
არც ერთს არ ენდო, თორემ... თორემ...
ახლა ვერ ვიტყვი სიტყვას,
რომელსაც მომავალი აღარ ექნება...

მიწა — მარადჟამს გაუმაძღარი,
ჩვენი ხორცით მუდამ მკვებავი,
არ შეიყვარო, არ შეიყვარო,
თორემ როგორც კი შეგიყვარდება,
უკვე მისი მსხვერპლი გახდები...

წყალი, ო, ამას ლუკას ვეტყვი,
ის თუ გაიგებს,
წყალს მოერიდე, — ახლა მხოლოდ ამას დაგიწერ,
ის ვერაგია, არავის ინდობს,
არვის იბრალებს,
არავინ იცის, შენს ძარღვებში
როდის და რატომ აბობოქრდება
და სანაცვლოდ იმ ერთგულების,
ვითომ რომ ასე გაარსებებს,
ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს
ერთგულებაში ყველა ნატვრას გამოგიბარავს...

ცეცხლი? ო, მარკოზ,
ცეცხლს არ ენდო, დაიმახსოვრე,
სახიფათოა ცეცხლთან თამაში,
მისი ენების ლაქუცს ვერვინ გადაურჩება.
შენ კი არადა — ქალაქები, სოფლები, მთები,
ყველაფერი უძლური ხდება
იმ ენების ვითომ ციმციმთან,
რომელიც ასე ლამაზია თითქოს შორიდან.
ცეცხლს არ მიენდო, — გევედრები ანუ გაფრთხილებ,
არ შეიყვარო იმ ოთხიდან განსაკუთრებით ცეცხლი,
რომელსაც შეუძლია, უცებ დაბუგოს
ყველაფერი შენში და შენთან,
არვის შერჩება ცეცხლთან თამაში...

ჰაერი... თითქოს ისე ნაზია,
ისე მსუბუქი, გამჭვირვალე და სანატრელი,
მაგრამ, გაფრთხილებ, მაგ მაცდურსაც ნუ მიენდობი —
მომწამვლელია,
ფილტვებში ისე შეგეპარება,
რომ ვერც მიხვდები, თუ რარიგად გაგანადგურებს,
რომ ვერც მიხვდები, რომ ვერც იგრძნობ,
როგორ წარგტაცებს
ყოველივეს — წმინდას და ლამაზს,
ლამაზს და სათნოს, სათნოს და ფერადს,
ნუ მიენდობი, ნუ, ეს მხოლოდ გაუტოლდება
თვითმკვლელობის უსიტყვო განცდას.

4
წუხელ კი არა, ალბათ დღეს იყო,
უფრო კი — დილით, გამთენიისას,
ატმის ტოტებზე ენთო აპრილი
და მე კი ჩემს მტრად ჩავთვალე ისიც,
რადგან მომესმა ჩუმი კვნესა ატმის ყვავილის
ქარისაგან გათელილისა.
ეს წელიწადის ოთხი დრო რომ
შენს მეგობრად მიგაჩნდა დღემდე,
— ო, იოანე, ძვირფასო ბავშვო,
ნეტავ ამგვარად რა დრომ აგრია,
ან ეს დროები, წელიწადის,
შენი როგორი მეგობარია?

გაზაფხულს თეთრად მოაქვს სიცოცხლე,
ვითომ ხალისი, ვითომ მზე და ვითომ მთოვარე, —
შეყვარებულთა მესაიდუმლე, ფარისეველი,
მაგრამ გახსოვდეს, იოანე, ეს ყველაფერი;
ატმის რტოები თუ იების თვალის პაჭუნი
მიტყუებაა იმ მარადი ცბიერებისკენ,
რასაც დროთა ცვალება ჰქვია...
სულ მალე შენი აპრილიც წავა,
სულ მალე შენი ვარდობაც წავა
და შეგრჩება ხელში მხოლოდ ნაყვავილარი
დედამიწა, როგორც მუდამ ბალღამით სავსე,
ღვარძლს რომ ადუღებს და ათუხთუხებს
თავის განიერ მთათა და ბართა
ბილწ მენჯებში გამომწყვდეულებს.
— ო, იოანე, არ შეიყვარო გაზაფხული,
ო, იოანე, არ შეიყვარო გაზაფხულები,
ისინი მალე მთავრდებიან და პირისპირ შეგატოვებენ
გახრუკულ ველებს,
რომელთა ხილვა კიდევ უფრო მეტად დაგზაფრავს.

და ამას ჰქვია სწორედ ზაფხული —
გადამწვარი და ოფლის სუნით აყროლებული,
ამომშრალი გუბეებიდან
შმორის სუნს რომ უხვად აფრქვევენ
და ეს ზაფხულიც სწორედაც ის გუბეებია,
ერთ დროს, ვითომდა გაზაფხულზე,
კამკამა წყლებით რომ ლივლივებდნენ და
თვალს გიტკბობდნენ
მხოლოდ იმიტომ, რომ ზაფხულის ხვატის წინაშე
შენი ვაებით დამდგარიყავი.
დაიმახსოვრე, იოანე, არ ენდო ზაფხულს.
დაიმახსოვრე იოანე, არც შემოდგომას არ მიენდო,
რადგან ვითომდა ასე გულუხვი,
დატვირთული ათასნაირად, ვაშლის ტოტებად,
მითუმეტეს ვაშლის ტოტებად
(ბიბლიიდან გემახსოვრება იმ ვაშლმა რა ჰქნა),
მსხლის ტოტებად, ვაზის მტევნებად,
გათქმევინებს:
— ღმერთო ჩემო, ბედნიერი ვარ!
და თურმე როგორც კი ამას იტყვი,
სწორედ მაშინ დაიწყება უბედურება.
მარტო დადგები დეკემბრის მწუხრთან,
მარტო დადგები
და მატყუარა თებერვალიც ვეღარ გიშველის,
რადგან ხეებში ჩამდგარ წყლებსაც
ვერ გაუმართლებთ მოლოდინი,
თებერვლის ამინდს რა გაუძლებს,
გაეყინებათ ხეებს წყალი ტანში ჩამდგარი
და იმედებიც გადეწურებათ.
ნუ მიენდობი, იოანე, ზამთარს, ხომ გესმის,
დაუნდობელი და უგულო არის ზამთარი.

5
ოთხ ბურჯზე უნდა იდგეს ტაძარი,
რომ გუმბათმა ცისკენ იმზიროს
და ამ ოთხივე ბურჯის ტვირთი ისე მძიმეა,
თუ რომელიმე განზე გადგა,
ვაიმე, როგორ უნდა ვთქვა, მაგრამ
ჩამოიშლება გუმბათი და დაემხობა,
რაც კი მანამდე ასე ატარეს წლიდან წლამდე და
საუკუნიდან საუკუნემდე.
გესმის, ლუკა? საუკუნიდან საუკუნემდე!!!
ამიტომაც, ყური დამიგდე,
იმ ოთხივე ბურჯს უერთგულე, ოთხივე გულში ჩაიჭედე,
ქარს არ მიენდო, დროს არ მიენდო, არავინ იცის,
საით წავა და სად გაგიყოლებს,
შენ კი მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ
იმ გუმბათთა დასაყრდენი ოთხი სვეტიდან
შენ ხარ ერთ-ერთი.
რომელიო? ამას ნუ მკითხავ.
ალბათ, ხან — ერთი, ხან — მეორე და ხან — მესამე.
ამიტომაც ქარს არ მიენდო, და
არც იმ დროთა სრბოლას მიენდო,
ორივე მზაკვრობს, ორივეს სურს, გაგიყოლიოს.
წყალს არ მიენდო, ზღვას ახლოსაც არ გაეკარო,
აბა, რომელი მოსე შენ ხარ, შემოკრა კვერთხი
და განაპო ზღვა მეწამული?
ანდა წყალზე გავლა რომ შეძლო...
ეს მხოლოდ ქრისტეს შეუძლია,
ნუ შეედრები უფალს, ლუკა, ის უფალია
და ყველაფერს ყველას პატიებს,
შენ კი, შენ კი, ჩემო სევდისავ,
წყალზე ციმციმს არ გაპატიებს.
ოთხი სვეტიდან ერთ-ერთი ხარ მორიგეობით,
დაიმახსოვრე, გესმის, ლუკა?
ჩემი მწუხარე ოთხთავის შვილო, ნაბოლარავ,
დაიმახსოვრე,
იმ განწირული ამქრის წევრი ხარ,
ზოგი რომ ზამთარს დაემგზავრა, ზოგი — გაზაფხულს,
ზოგი — ზაფხულის გადამწვარ ველებს
და ზოგსაც ერგო შემოდგომის
ნარინჯისფერი ზიარება უცხო ზეცასთან.
შენ კი გახსოვდეს, მათე და მარკოზ,
იოანე და ლუკა, მარადჟამს,
რომ იმ ტაძრის ოთხი სვეტიდან მუდამ ერთი ხარ
და თუ იმ სამს ზურგს შეაქცევ და გამოიქცევი,
დაენარცხება გუმბათი მიწას,
რომელიც ასე დაუნდობლად ხრავს ჩვენს სხეულებს.
შენ იმ ტაძრის ოთხი სვეტიდან ერთ-ერთი ხარ,
გუმბათი რომ მხრებზე ახურავთ,
დაიმახსოვრე.

...
რამდენ სადარდელს ინახავენ ეს გუმბათები,
რამდენ ცრემლს, მასთან აღმაფრენას,
მეტს კი გოდებას,
ცასა და მიწას აერთებენ, სულს ანათებენ,
რადგანაც სული მათ გარეშე
მხოლოდ ობდება.
და მინდა, მინდა, რომ ოთხივემ კარგად იცოდეთ,
მათე, მარკოზ, იოანე და ლუკა,
რომ თუ ერთ-ერთი რომელიმე გამოეცალეთ,
ის არა მხოლოდ დაობლდება,
ჩამოიქცევა ერთიანად
აღსარებებად, იმედებად, ცრემლის ზოდებად.
მტკიცედ იდექით, ჩემი ჭმუნვის მახარებლებო,
არ ჩამომექცეს ეს გუმბათი
და ტაძარი არ დაიშალოს ოდენ ლოდებად.
იქ — მეწამული ზღვის მეორე ნავსაყუდელთან —
მოსესთან ერთად თვით უფალი დაგელოდებათ.

შეპყროβილი

გიორგი სოსიაშვილი

— დავკარგე და, მგონი, რო...

— რა დაკარგე?! — მეკითხება ჩემი მეზობელი ავთო, რომელიც ორი-სამი თვეა, რაც სოფელში დაბრუნდა. აიმ სახლს თუ რამე ეშველებოდა კიდე, რავი, ჩამოქცევას იყო სახურავი, კედლები — დახეთქილი და რო შეგებერა, მთვრალი კაცივით გადაწვებოდა.

„ქაჩალი თავს არ მოიფხანსო, თუ მოიფხანს და მოიგლეჯავსო“ — რამდენჯერ გამახსენდა ეს ანდაზა, ავთო რო ჩამოვიდა. ბოლოს მიცვალებული დედა ჩამოასვენა, ადრე გაზაფხული იყო, დახუფული საკაცე დაასვენეს ეზოში, კარისძირა მეზობლებმა, სამადლოდ, უცბად მოასუფთავეს ეზო-კარი. კოვიდმა მოკლა ის საწყალი ქალი, რომლის ჯაჯღანი გვაღვიძებდა ხოლმე დილაადრიან.

— ამოწყდნენ ესენი, ეს უნამუსოები. კაცები ვართო, რო ჰკითხო, აქედან წასულ ადამიანს რო დაჩაგრავ და დაიბრიყვებ. თქვე დამპლებო, თქვენა. თქვე უნამუსოებო. სულ გაუზიდიათ ყველაფერი, სულ წაუღიათ. ოხრად დაგირჩეთ, ოხრადა, — მერე მთავრობას თუ ადგილობრივ გამგებელს ამოიღებდა სათაქავში, — მე რაღა ვიყა, მე რატო არაფერი მომცეს, ამ დამპლებმა, ამათა, ამ ჩანჩურამ, კაცს მაინცა ჰგავდეს, ყველას დაუფარეს, ყველას გადაუხურეს, ათასი დახმარება, ათასი ისა... მე, ალბათ, ადამიანი არ ვიყა, ამოგვშალეს აქედანა. თქვენ ამოწყდით და ამოიშალეთ...

ჯაჯღანა ქალი იყო, ცხონებული, მაგრამ ოქროს გული ჰქონდა. მეზობელზე ხო ესე ჩხუბობდა, მეორე წუთში ყველაფერი ავიწყდებოდა და, რაზეც გინდა მისულიყავი, თუ ჰქონდა, ხელს გაგიმართავდა.

ეგრე დაუტირებელი წავიდა. კანტიკუნტად გაჰყვნენ მეზობლები. ლანდებივით დადიოდნენ პირაკრული ადამიანები. საიდან შემოგიძვრება ეს ოხერი სიკვდილი, რა უნდა გაიგო კაცმა. ამ ხმაურიან ქალს ეს მდუმარება არ უხდებოდა. სიჩუმეში ესვენა კოვიდიანების ტომარაში მოთავსებული და მერე დახუფული საკაცით, სამიწედ გამზადებული. ის კი არა, სულ ორი-სამი საათი დაასვენეს ეზოში, მერე ვიღაცები მოვიდნენ, ისინიც პირაკრულები და რაღაც უცნაურ ტანსაცმელში გამოკვანთულები, კიდევ ერთხელ გააფრთხილეს ავთო, რო საკაცისთვის არ აეხადათ.

რაღაცნაირად გამახსენდა ეს საწყალი ქალი, ავთოზე კი ვამბობდი... მომაკვდავი რო მოაკეთო და წამოაყენო, ეგრე იყო ავთოს სახლი. ჩამოვიდა, ფული ჰქონდა, მოიყვანა ხელოსნები, მუშები და... არ ვიცი რაა, ეს სახლი თუ რამეს დაემსგავსებოდა... სახურავი შეუცვალა, კედლებიც გაამაგრა, გალესა, ეზოც გააპიწკინა.

რას მოვიფიქრებდი, რო მე და ავთო ესეთი ტკბილი მეზობლები გავხდებოდით. საღამოთი ჩამომივლიდა, ჭანჭურის არაყს ჩავურტყამდით და რავი ათას რამეზე ვბოდიალობდით, ჩვენი ბავშვობის ამბების გახსენებით დაწყებული და მსოფლიოში არსებული არეულობებით დამთავრებული. ოთახში რო იასამნის თაიგულს დადგამდა ხოლმე ჩემი ცოლი და გაგაბრუებდა იმ დალოცვილი ყვავილების სურნელი, ეგრე გახდა ავთო ჩემთვის, ბაბუაწვერასთვის რო შეგიბერავს სული, ეგრეა ჩვენი ბავშვობა. აუცილებლად გაჩნდება შენს ცხოვრებაში ვინმე, ვინც იასამნის სურნელივით შემოგიტანს მივიწყებულ წლებს. სადღაც გელოდება შენი მარტოობა, შენი გაძარცვული ცხოვრება, შენი წლებჩამობერტყილი ბოლო ჟამი. დგახარ მერე და სიკვდილის ძალმორეული ხარივით იცოხნი ცხოვრების წლებს, შენს ბავშვობას, გაგიქროლებენ და გამოგიქროლებენ ლანდები, გარდაცვლილთა აჩრდილები, თუ შეცვლილი ადამიანების სილუეტები. მარტო იმიტომ ღირს სიკვდილი, რო ამ ყველაფრის პასუხი გექნება, ბოლო-ბოლო გაიგებ, ვინ ხარ, ბოლო-ბოლო დედამიწაზე შენი ხეტიალის მიზეზს შეიტყობ, ბოლო-ბოლო ამოხსნი შენივე თავის განტოლებას. და აჰა, ორი უცოლო კაცი შევხვდით სიმარტოვეში ერთმანეთს, უფრო სწორად, ცოლგანაშვები, თუ როგორ ვთქვა, ცოლგაქცეულები.

არაყს ხო იცი, როგორც სჩვევია, სიტყვის საგუბრის აშვება.

მე და ავთო სიმარტოვეში ერთმანეთის ჭიქის მიმჭახუნებლებად ვიქეცით. ზოგჯერ ვისაც გაურბიხარ, ვისაც სათოფეზე არ ეკარები, ის იქცევა შენს მესაიდუმლედ.

— მე... მე... — გეგონებოდა ყელში უჭერდა ვინმე. ერთი-ორი შეხვედრის და დათრობის მერე გამეხსნა და ამოღერღა, როგორც იქნა, — მოკვლას ვაპირებდი შენი, — თქვა და მომაჩერდა უცნაური მზერით, უცნაურით რა, თვალებს თითქოს ძველი სიძულვილი დაუბრუნდა. თან დააყოლა, — მართლა გეუბნები. ჩემს სიძეს, გელას გამოვართვი იარაღი, ღამით ამოვედი სოფელში, ჯერ სახლში ავედი, ვიბორიალე, ვიბორიალე.

მეცინებოდა, მეგონა, რო ბოდავდა, ჩვენი მეზობლის — ნაზოს ჭანჭურის ორნახადი ალაპარაკებდა.

— სუნთქვა მიჭირდა, ხუმრობა ხო არ იყო, კაცი უნდა მომეკლა. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ესე, თავდაყირა თუ დამიდგებოდა ცხოვრება, თან... — არაყს ჩააშტერდა, — შენ იყავი ამ ყველაფრის მიზეზი.

უფრო მაგრა გამეცინა.

— ესე იგი, რა გამოდის? ვახ, ცხოვრობ შენთვის. გგონია, რო სპაკოინათა ხარ, ამ დროს კი ვიღაც ფიქრობს, რო მისი უბედურების წყარო ხარ. იარაღს აისხამს და მოდის შენ მოსაკლავად. ვაუ, ძაან მაგარია, — ჩავიქირქილე.

ავთოს ჩემს სიცილზე ოდნავადაც არ შეცვლია სახე, ისევ გააგრძელა.

— ერთი სიტყვით, ცას შევცქეროდი და ღრმად ვსუნთქავდი. მერე, შუაღამე რო გადავიდა, შენი სახლისკენ დავიძარი. ეგრე მქონდა ჩაფიქრებული, რო საძინებელში უნდა შემოვსულიყა და ლოგინში, მძინარე ჩამეცხრილე. ხმის ამოღებას და გონებაზე მოსვლას ვერ მოასწრებდი.

— მერე? — სიცილის ნამუსრევი ისევ მქონდა ხმაში.

— იმ ღამეს გარდაიცვალა დედაშენი. წივილ-კივილით გამორბოდნენ მეზობლები. მივხვდი, რო შემთხვევით არაფერი ხდება. უფალმა დამასწრო, სიკვდილმა სიკვდილს ხელი შეუშალა. ეგრე ხახამშრალი და კუდამოძუებული წამოვედი. შენი ღრიალი მესმოდა გზადაგზა. დედაჩემიც ორიოდე თვის წინ დავკრძალე და, ასე მეგონა, ჩემივე ბღავილი ჩამესმოდა ყურში.

დედაჩემის გარდაცვალების ღამის გახსენებაზე საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ყველაფრის ტკივილი, ყველაფრის ტკივილი მხოლოდ დედის სიმწარეს შეუძლია გაგრძნობინოს.

— რატო მიპირებდი მოკვლას? — უთქმელად გადავკარი არაყი და ისეთი თვალებით შევხედე, როგორც თვითონ მიყურებდა ათიოდე წუთის წინ.

— გეტყვი, — თქვა და თვითონაც უთქმელად გადაჰკრა, კიტრის მწნილი აიღო, მაგრამ ისევ უკან დადო, — ჩემი ცოლი... — ენა დაება, თითქოს აღსარებას იწყებდა, ისე წაბორძიკდა, — ვიღაცისგან იყო ფეხმძიმედ... მაგიტო გავუშვი. უფრო სწორად, კი არ გავუშვი, თვითონ გაიპარა. აეგრე ერთ დღითაც დავხედე საწოლს და გაუჩინარდა. მე უშვილო ვარ, სად აღარ ვიყავი, სად აღარ ვიმკურნალე. აღარ მინდა ამაზე... მითხრეს, რო ჩემი ბრალი იყო და შვილი არ გაგვიჩნდებოდა. ეს კიდე, ერთ დღესაც... — თავი გააქნია ავთომ, — მზე და მთვარე იმაზე ამომდიოდა, როგორ გითხრა, ზედმეტი და ზღვარგადასული არაფერი ვარგა, არც სიყვარული, მაგრამ როგორ გინდა, სიყვარულს ზომა-წონა და ზღვარი დაუწესო. როცა შეყვარებული ხარ, ნორმალურ ადამიანად არ ითვლები, თრობაა სიყვარული, ოღონდ ისეთი თრობაა, რო ვეღარ ფხიზლდები. მთვრალ კაცს კიდე რა ჭკუა მოეთხოვება. აი, მაგალითად ჩვენ, რამდენი დღეა გადაბმულად ვუბერავთ და რა ჭკუა მოგვეთხოვება.

დაეწყო გულისრევები და გავიგე მერე, რო ფეხმძიმედ იყო. ერთმა ჩვენებურმა ჩამაწვეთა... — არყის ბოთლი აიღო და ჯერ ჩემი ჭიქა შეავსო, მერე — თავისი, — არ დამიწყო ახლა, ვინც იყო, იყო... გზამართალს არი და მაინც არ გეტყვი, სულ რო გამაგდო. შენ ცოლთან დაძვრებაო.

— ვერ გავიგე?! — ყბა ლამის ჩამომივარდა.

— რა ვერ გაიგე, — ჩაეღიმა ავთოს, — შენზე მითხრა. ზაფხულში რამდენჯერმე ვიყათ, ქეთი და ჩემი დები დავტოვე, მე საქმეზე გამოვბრუნდი. დეტალებში მიყვებოდა, როგორ დასდევდი.

არაფერი მითქვამს, თავი გავაქნიე და ავთოს თვალებში შევაცქერდი.

— ვისთვის რა უნდა მეთქვა, ეგრე გულგასიებული დავდიოდი. ამას, ამ შობელძაღლს მუცელი წამოეზარდა. დაფრინავდნენ ჩემები სიხარულით. ვიდექი და ვმსახიობობდი, დავკანკალებდი ამ ჩემს ფეხმძიმე ცოლს, — თავი გააქნია ავთომ, — რამდენნაირი სასჯელი აქვს გამჩენს... აი, ყველაფერს მოვიფიქრებდი, მაგრამ...

— ის კაცი ჩვენი უბნელი იყო? — ვეღარ მოვითმინე და ვკითხე.

— ხო გითხარი, არ გეტყვი-მეთქი. მირჩევნია, წავიდე, — თქვა და წამოდგომა დააპირა, უფრო სწორად, გაითამაშა, რო წასვლას აპირებდა.

— ჰო, კაი, კაი... — ძაან ხვეწნა რო გამომსვლოდა, ისეთი თვალებით შევხედე, მერე კი ვკითხე, — მე რატომ ამომიჩემე, ჩემზე რატო ეჭვიანობდი?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა, — ერთი ავიჩემე და მორჩა, მერე ერთმანეთს მიება რაღაცები, იმ კაცის... — აღარ გააგრძელა, — ჩემი ქალბატონის ფეხმძიმობა. იცი, რა ვქენი? — თქვა და ტკივილნარევი ღიმილით მომაჩერდა, — შევიფერე, არაფერიც არ მიგრძნობინებია, სულ ვეფერებოდი და ვაკვირდებოდი, რას იზამდა. ვიცოდი, როგორ იტანჯებოდა, თან ვებრალებოდი, რო ესეთ სიყალბეში ვიყა, თან... ვატყობდი, რო არ ვუყვარდი და ერთი სული ჰქონდა, რამე უთანხმოება მომხდარიყო ჩვენ შორის, მაშინვე წავიდოდა. მის წიაღში თვლემდა ვიღაცის შვილი, ჩვენს დიდ ტყუილში ჩასახული. მალ-მალე, თითქოს ვიღაც წამომცხებდა ხოლმე, კაცი კი არა, ჩანჩურა ხარ, ვიღაცის დაორსულებულ ცოლს უწევხარ გვერდით, ღამეებს ტეხავ და მის სუნთქვას უსმენ, ამოარტყი წიხლი და გააგდე, ან წაუჭირე ყელში და კატასავით მიახრჩვე.

რამდენჯერმე წამოვდექი, მძინარეს თავზე დავადექი, თითქოს მის დასახრჩობად ვემზადებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, რო ამის გამკეთებელი არ ვიყავი. ასე მეგონა, ვიღაც უცხო კაცი ხვრინავდა ჩემს საწოლში. სიკვდილი ზოგჯერ აუცილებელია სიყვარულის გადასარჩენად. რა იქნებოდა, დამეძინა და აღარ გამღვიძებოდა ან ის დამხვედროდა დილით ლოგინში გაყინული და გაშეშებული. უხმობ ზოგჯერ და სად არის სიკვდილი, სიკვდილის გარეშეც კვდები ადამიანი და ის სულაც აღარ არის საჭირო.

ერთ დილითაც გამეღვიძა და ჩემ გვერდით აღარ იწვა. ბალიშის ქვეშ ხელებს ვაფათურებდი, სიზმარში ვნახე, რო წერილი დამიტოვა, მაგრამ არაფერი, სველი ბალიში შემრჩა ხელში, მისი ცრემლებით დასველებული ბალიში.

არ მიძებნია, მივყუჩდი, ცხოვრება გრძელდებოდა და მეც ვაცდიდი ცხოვრებას, მაგრამ ვგრძნობდი, როგორი ცარიელი იყო სახლი უიმისოდ. ოთხი თუ ხუთი თვე გავიდა, თითქოს შევეჩვიე უქალობას, მაგრამ სახლში ყველაფერს მისი სუნი ასდიოდა, ყველაფერს მისი ნათითურები აჩნდა და ამ რამდენიმე თვის მერე კიდევ უფრო გამიმძაფრდა მისი სიყვარული. ვგრძნობდი, ვხედავდი, რო სადღაც ატირდებოდა ბავშვი, სხვა მამისგან გამოკვირტული არსება და ის, დედად ქცეული, სიხარულით იტირებდა. მე ვერ შევძელი მისთვის დედობის სიხარულის მინიჭება. როგორია, თავდავიწყებით გიყვარდეს ქალი და დედობის ბედნიერებას სხვა ანიჭებდეს.

გავლოთდი და ღამღამობით ქუჩა-ქუჩა დავბორიალობდი. არადა, — ჩაეღიმა ავთოს და ჯაჭვიან არაყს ჩააცქერდა, — მეზიზღებოდა სასმელი და ერთმა მკითხავმა ძალისძალად რო გამიშალა კარტი და ფული ამახია, მითხრა, გალოთდებიო. მაშინ სიცილით მოვკვდი. მე და ლოთობა, ნამდვილად ვერ წარმომედგინა, უფრო სწორად, ვერ კი არა, საერთოდ არ წარმომედგინა. ხან მატარებლების სადგურზე მეძინა, ხან სკვერში, ხან... — ხელი ჩაიქნია, — მერე... — შემომხედა, — ერთ დღესაც დავრწმუნდი, რო ტყუილად გკლავდი. ის დავინახე... ეგრე გაბანძებული ვიჯექი სკამზე, ქმართან ერთად დავინახე და მეგონა, რო მეჩვენებოდა. ბავშვი, ალბათ, ორი-სამი თვის, ქმარს ჰყავდა მიხუტებული მკერდზე. გული ისედაც სწრაფად მიცემდა, გულს სულ ბაგაბუგი გაუდიოდა, მაგრამ ახლა ისეთი რამე დაემართა, მეგონა, ამოვარდა საგულედან და ქვაფენილზე დახტოდა. ეგრე ჩამიარეს, შეჟღურტულებდნენ ერთმანეთს. ქუდი ჩამოვიფხატე. არ ციოდა, შემოდგომის თბილი დღე იყო. იღბალზე, ნაქსოვი ქუდი მეხურა. მეგონა, რო ჩემი გული გოშიასავით ხტუნვა-ხტუნვით უკან გაჰყვა. ვერაფრით ვერ ვიცანი ის კაცი. ვიღაც უცხო იყო, ან სად გაიცნო, როდის შეიყვარა.

ძნელია სიყვარულის დაკარგვა, ძნელი. თან, რო იცი, აღარასოდეს განმეორდება.

— და ჩემზე რატო იეჭვიანე, — უცებ ვკითხე.

ჯერ დუმდა, მერე თვალებში შემომხედა.

— რა ვიცი, ამოჩემება ვიცი... ხო მოგწონდა ჩემი ცოლი, — ჩაეღიმა, — ხო იცი, ქალი რო გაგიჟებით გიყვარს, არაფერი გამოგეპარება. გამჩნევდი, რო მოგწონდა, მერე... მოკლედ... — თვალი ჩამიკრა, — წარსულია რა!

— შენც ხო გიყვარდა ჩემი ცოლი! — ამის თქმა იყო და ყბა ჩამოუვარდა. დაბნევაც არი და დაბნევაც, თითქოს ახალი გამოღვიძებული იყო, შეშლილივით მიყურებდა — არა თქვა, არ მიყვარდაო.

— რა უცნაური დღეა, კაცო! — ჩაილაპარაკა და ჭიქას დასწვდა, — შეგვეწიოს...

— მოიცა, მოიცა!.. — გამეცინა, — ნუ გაურბიხარ კითხვას.

— რა გინდა ახლა, — აიმღვრა ავთო, — შემარგე ორი ჭიქა, თავი გამანებე.

— ხო გიყვარდა, თქვი, ნუ გერიდება. მეც სიმართლეს გეტყვი, რაც იყო მე და შენს ცოლს შორის.

ამის თქმა იყო და ყურები ცქვიტა.

— რა იყო? — ჩურჩულით მკითხა, თითქოს, ვინმე გვისმენდა.

განგებ გავაჭიანურე... პაპიროსის კოლოფში ორი თითით ვიქექებოდი. აწითლდა, აწითლდა, ატლასივით გახდა.

— მითხარი! — მოუთმენლად მთხოვა, შეიშმუშნა, ვეღარ ისვენებდა, — რა მოხდა თქვენ შორის.

— რა მოხდა და არაფერიც არ მოხდა. შენმა ცოლმა და შენმა დამ ღამე სახლამდე მთხოვეს აცილება. ბიჭებმა ტაროები

შეწვეს უბანში. ეგ იყო და ეგა. მოწონებით რაღა დაგიმალო და მომწონდა, ეშხიანი გოგო იყო. მონონება დანაშაული არ არის. სხვა არაფერი ყოფილა, თორემ გეტყოდი, მაინც წარსული ამბავია.

ამღვრეული სახე ჩამოეწმინდა. თვალებში სხივი ჩაუდგა. შევატყვე, რო გაუხარდა.

— შენ კი ჩემ მოსაკლავად ყოფილხარ ამოსული და იმ გოთვერანი მეზობლის ვინაობაც არ მითხარი.

აიღო და გადაუშვა არაყი, მაჯას დაყნოსა, მერე ქლიავის ჩირი გაღეჭა.

— შენც ხო გიყვარდა ჩემი ცოლი, — გამომტეხი ქირქილით ჩავაცივდი, — ჰაა, თქვი ეხლა, გამოტყდი. ისიც წავიდა, ისიც წარსულს ჩაბარდა. მართლა რა უცნაური დღეა, ცოდვების გამხელის დღეა, — ავხარხარდი, — რაღად გვინდა მღვდლები, ისედაც შეიძლება ერთმანეთს ცოდვები მოვუყვეთ. ჰაა, თქვი-მეთქი, თქვი.

შემომხედა და, ჩემს ცხოვრებაში ისეთი გულწრფელი თვალები არ მინახავს, დარწმუნებული ვარ, ამას უფრო ძალიან უყვარდა ის ქალი, ვისთან ერთადაც ბარე ათი წელი გავატარე, ვიდრე — მე.

— მიყვარდა, — წეღანდელი ჩურჩულით მითხრა, — ძაან მეწყინა თქვენი ამბავი, — თან თავის ნათქვამის გასანეიტრალებლად მიაყოლა, — როგორი კარგი ოჯახი გქონდა. ცუდია, ცუდი... — ბოთლს დასწვდა და რაც იყო, ჩამოწურა. არაყმა შეაკოტავა, — სულ ვნატრობ... — თქვა და წაბორძიკდა.

— რას ნატრობ, ავთო.

— რას ვნატრობ? — თქვა და გაეღიმა, — რას ვნატრობ და ნეტავ ვინმე გამოჩნდეს ისეთი, რომელიც მოვა, აი, ასე, დაგვიჯდება და მოგვიყვება ჩვენი ცხოვრების შესახებ. ვინ ვართ, რა გვინდა, რატომ ვართ, ვის რა როლი გვაქვს დიდ სცენაზე. ისე ვატყობ, რო წარმოდგენა აირია და რას ვაკეთებთ, აღარ ვიცით, ან ეს რა არის სინამდვილეში, რასაც ჩვენ სიყვარულს ვეძახით, არის კი სიყვარული, იქნებ ძალით ვიუბედურებთ თავს და ტყუილი შეყვარებულობანა გამოგვდის. მოკლედ, ბევრი კითხვა მაქვს და, ხომ შეიძლება, ვინმემ პასუხი გამცეს.

ცარიელ ბოთლს სინანულით უყურებდა ავთო.

— რატო გაუშვი ის გოგო, ანგელოზივით არსება იყო. მე სულ სხვა ამბავი დამემართა. ეეჰ... არაყი აღარა მაქვს, ესე იგი...

* * *

— დავკარგე და, მგონი, რო...

— რა დაკარგე? — მეკითხება ჩემი მეზობელი ავთო.

ასე დავიწყე. სინამდვილეში, არავითარი ავთო არ ყოფილა. მოთხრობის დაწერა ვცადე, ვეწვალე, ხან ფანქარი ავიღე, ხან კალამი, ხან კომპიუტერი ავაციმციმე — ვერაფერი. არაფერი გამომდის და მორჩა. აი, ავთო საიდანღა მოვიგონე, ვითომ ჩემი მოკვლა რო უნდოდა და რაღაცები ვაბოდიალებინე, ვითომ ცოლი რო გაექცა და მერე დალევას მიჰყო ხელი და რაღაც ეგეთი სისულელე... მერე იმ გოგოს რო ბავშვი გაუჩნდა, მერე ამან რო შემთხვევით დაინახა. დავიწყე და გავანებე თავი ავთოს, მატარებლიდან სადღაც, შუა ტრამალში რო კაცს ჩამოაგდებ, ეგრე მოვექეცი. რა მინდოდა, რას ვერჩოდი.

არადა, მართლა დავკარგე ყველაზე მთავარი. ვიღაცას შეიძლება, გულიც კი წაუვიდეს ამაზე და ჩაილაპარაკოს, დაკარგე შენც ახლა... მაგრამ მე ხო ვგრძნობ, რო არ შემიძლია ამის გარეშე და მატყობს ჩემი ცოლი, რო არეული ვარ და ასტროლოგთან ინტერვიუს უკვე მეორედ, ხმამაღლა კითხულობს.

— 13-დან 27-მდე კირჩხიბების ენერგოტონუსი კლებულობს, არაფერი ახლის წამოწყება, არანაირი ფინანსური გარიგება, არანაირი სარისკო გადაწყვეტილება.

— რა ფინანსური, რა სარისკო... — შევბღვირე და პაპიროსს მოვუკიდე.

— კარგი რაა, ყარს აქაურობა, გადი და აივანზე მოწიე, — ძალით ჩაახველა, წამოდგა და ფანჯარა გამოაღო.

ვიღაცის ყვირილი უფრო ძლიერად შემოიჭრა ბინაში. ჩვენი კორპუსის წინ ძველი გარაჟები იყო და იქ ღრიალებდა ვიღაც მთვრალი.

— წავიდეს მაგისი, ნაბიჭვარი ეგა. აქ აღარ დავინახო, ცოლზე როა ტრუსიკის რეზინით გამობმული... ჰოო, ჰო, პირში ვეტყვი, თუ გინდა, არმთქმელის დედას შე....

წეღანაც ისმოდა ფანჯრის გაღებამდე, მაგრამ ახლა უფრო მკაფიოდ ჩამესმა, გეგონება, ბინაში ყვიროდა ვინმე. რამდენიმე წამი იყო ფანჯარა ღია, ისევ მიხურა.

— აღარ გამაგონო ეგ ასტროლოგიური რაღაცები... — შევღრინე ჩემ ცოლს.

— ეეე, — შემომხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, ესღა თქვა, — რა ხასიათი გაქვს, რა.

— რა ხასიათი! — წამოვენთე, მართლა შარზე ვიყა.

— რა ვიცი, შენს თავს ჰკითხე, წამში ესე ხარ, წამში — ისე.

— შენ ხო, რას ამბობ...

არაფერი უთქვამს, მეორე ოთახში გავიდა. მაგიდაზე გაღავებულ ფურცლებს მივაშტერდი.

— მართლა რო ვეღარაფერი დავწერო, — ვთქვი ჩემთვის და ისევ ჩემმა თავმა გამცა პასუხი, — ამით არავის არაფერი დააკლდება, უშენოდაც კარგად არის ხალხი, შენამდეც იყო და შენ მერეც იქნება.

და უცებ გამახსენდა ჩემი გარდაცვლილი მეგობრის მიერ სიკვდილის წინ ფეისბუქზე დადებული უცნაური პოსტი, სადაც ნახსენები იყო „უჩვენო დრო“ და ძაან დამზაფრა ამ სიტყვებმა. გარდაუვალია ეს უჩვენო დრო და ამიტომაც არიან აგრესიულები ადამიანები, სიყვარულს ითხოვენ დაჟინებით, ერთმანეთის შეყვარებას, ამ დროს საკუთარ თავშიც ვერ გარკვეულან, რისთვის მოვიდნენ, რა უნდათ, სად მიდიან. სულ გაურკვევლობა, სულ დაბნეულობა, აქაც და იქაც. ამიტომაც მესმის ღამღამობით ეს ყვირილი და აყალმაყალი, და სულ მეჩვენება, რო სიყვარულსაც ვთამაშობთ, ვთამაშობთ, ვთამაშობთ, როლში ვართ. არადა, გვტანჯავს და გვკლავს ეს გაურკვევლობა, მოსწრებაზე ვართ და წკაპ, უცებ გვახსენდება ტალახიანი მესაფლავეები, რომლებიც შეიძლება, შენ გვერდითაც დააბიჯებენ, ხედავ და, რა იცი, რო შენი მესაფლავეები იქნებიან.

— სიყვარულის თამაში... — გიჟივით მომიარა, ავიღე ფურცელი, კალამი... — არა, კალამი არ მინდა, ფანქარი, ფანქარი, — გეგონება გული მისდიოდა, გამოვარდა ის საცოდავი გოგო, ჩემი ცოლი, რომელსაც არ გაუმართლა, ოჯახის შექმნა მოინდომა თავის ჭკუაში და ერთ დამთხვეულ კაცს კი გადაეყარა, რომელსაც სულ ვიღაც უყვარს, თავის ცოლი ხო უყვარს, მაგრამ სხვებიც უყვარს.

— სიყვარულის თამაში... — წამოვიძახე და თითები ავათამაშე მაგიდაზე, — ფანქარი მოიტა რა.

— რა ფანქარი.

— კომპიუტერის მაგიდის მეორე უჯრაშია.

უჩუმრისპირად გაბრუნდა, გულში, ალბათ, ამომთაქა. რამდენიმე წამში გაჩნდა ჩემს მაგიდაზე წვერმოტეხილი ფანქარი. დანა ავიღე და უხეშად წავუთალე. მერე დავჯექი და წერა დავიწყე, მაგრამ ხელმოცარულ ნეფესავით წამოვდექი, სახეალეწილი, გაწბილებული.

— ვერა ვწერ... ვერა... — ეგრე ღრიალ-ღრიალით დავდიოდი, — დავკარგე, ყველაფერი დავკარგე.

მოვიდა ჩემი ცოლი და საოცარი სიმშვიდით მითხრა:

— დაურეკე ან მისწერე და შეძლებ...

ვერაფერს მივხვდი, ეგრე შეშლილივით ხან ფურცლებს დავცქეროდი, ხან ფარდაჩამოფხატულ სარკმელს შევხედავდი, ხანაც ჩემს ცოლს.

— დაურეკე-მეთქი... ან მისწერე.

— ვის დავურეკო?! — სასოწარკვეთილი ხმით ვკითხე.

ჩემს ტელეფონს დასწვდა, ეკრანი განათდა, მაგრამ ჩემი თითის შეხებას ითხოვდა.

— ბლოკი მოხსენი! — ცივი ხმით მითხრა.

შევხედე და, თითქოს, ახლაღა შევამჩნიე ჩემი ცოლის სილამაზე, მისი საოცარი ნაკვთები. რაღაცნაირად სევდიანი მზერა უფრო ეშხიანს ხდიდა. კარგა ხანს ვაკვირდებოდი.

— რას მიყურებ?! — უკმეხად მითხრა, მერე ნომერი აკრიფა და გამომინოდა ჩემი ტელეფონი.

დავხედე და, ღმერთო! მუხლები მომეკვეთა. ვიგრძენი, როგორ დაგორავდა საფეთქლებზე ყინულივით ცივი წვეთები.

— ხო არ მეშლება ნომერი? — გესლიანი ღიმილი გამოუძვრა თვალებიდან.

— ვისი ნომერია? — ენა დამება.

— ვისი და შენი ქალღმერთის, — თქვა და ჩაიკისკისა ისე, თითქოს კიდევ ვიღაც იყო ოთახში და ისიც გაითვალისწინა.

— რა ქალღმერთი?!

— შე საცოდავო, — თქვა და წამიერად ღიმილგამქრალი მზერით მომაჩერდა, — დაურეკე და, როგორც კი მის ხმას გაიგებ, მაშინვე მოხვალ ხასიათზე.

— ეს ნომერი... — ხელები მიცახცახებდა.

— ჰო, ეგ ნომერი, — უფრო ცივი ხმით მითხრა.

— არ ვიცი, — ვთქვი და ტელეფონი დივანზე მივაგდე.

— რა არ იცი? ეგ არის შენი სიყვარული და აღმაფრენა, ეგ არის შენი შთაგონების წყარო და ყველაფერი.

— ვერ ვხვდები, რაზე მელაპარაკები.

თავი გააქნია.

— სავსეა შენი უჯრები ლექსებით და ყველაფერი იმას...

— რა ლექსები, — თავი გამოვისულელე, — საერთოდ არ ვწერ ლექსებს.

— ჰო, მხოლოდ იმისთვის წერ. დაურეკე, დაურეკე და მაშინვე სხვანაირად გახდები. უძირო მზერა, ღვთიური თვალები, ანგელოზის სახე... — თან ჩაეცინა, თუმცა წეღანდელი გესლი აღარ ჰქონდა, — როგორ გაგასულელა, როგორ გამოგათაყვანა, როგორ...

— კარგი! — დავუღრიალე.

— და მე ვილოცე, რო ვეღარასოდეს ვეღარაფერი დაგეწერა. ასე ჯერ არაფერი შეუსმენია ჩემი ღმერთს. ასე არც ერთი ნატვრა არ ამსრულებია. აი, ეგრე! მინდოდა, რაღაცით გამემწარებინე, რაღაცით მეყარა ჯავრი. ავდექი და ვილოცე, მგონი, ასეთი ლოცვა-ვედრება არც მოუსმენია უფალს, მფარველი ანგელოზის სიცილიც კი ჩამესმოდა. ღმერთო, შენ გაუფანტე მუზები ჩემს გამოჩერჩეტებულ ქმარს, შენ დაუშრე შთაგონების წყარო, რო გონზე მოვიდეს. ვთქვი და ფაფუ! რომც დაურეკო, რომც დაელაპარაკო, მაინც აღარაფერი გამოვა. დასრულდა შენი მაიმუნობა. მე სათამაშოდ არ გავთხოვილვარ, შვილები მინდა, ოჯახი მინდა...

დარეტიანებული ვიდექი და... ყველაფერი მიამიტურად დავიჯერე. თითქოს, დავპატარავდი, გასაცოდავებული, უაზროდ ვიყურებოდი. ბოლოს კი ეს ვკითხე:

— მართლა ილოცე?

თავი დამიქნია.

— სხვა გზა აღარ დამიტოვე, რა მექნა. ძალიან მიმძიმდა ამაზე ღმერთის შეწუხება, მაგრამ...

„აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე, თითქოს თვალები ამეხილა. ტყუილა ვწვალობდი, ტყუილა ვტანჯავდი კალამს, ტყუილა მქონდა მოლოდინი, რო შემოქმედებითი კრიზისი... ცოლის ლოცვა. ღმერთო ჩემო“, — თავზე შემოვიწყე ხელები და ისტერიკული სიცილი და ტირილი ერთად ამივარდა. სიცილი და ტირილი ერთად ძალიან საინტერესო შეგრძნებაა...

იდგა, უცნაურად მომჩერებოდა და იღიმოდა...

სინამდვილეში, არავითარი ცოლის ლოცვა. ცოლი საერთოდ არ მყოლია და არც მოყვანას ვაპირებ. მე უფრო ფიქრში მიყვარს სიყვარული. ვერ წარმომიდგენია იმ ქალის სიშიშვლე და ვნებიანი კვნესა, ვინც ჩემი ცხოვრების ანი და ჰოეა. საკმარისია, მისი შიშველი სხეული დავინახო ან შევეხო და დასრულებული ვარ. რაღაც უუცნაურესი დაავადებით ვარ დასნეულებული და ამას ხმამაღლა ვერც ვამბობ, წარმოსახვითი სურნელი, წარმოსახვითი მოფერება, წარმოსახვითი თავდავიწყება... მოკლედ, არ ვიცი.

ისე, არ აწყენთ მწერლებს, თუკი დაფიქრდებიან იმაზე, რო ცოლის ლოცვამ შეიძლება ცოცხალ-მკვდრად აქციოს კაცი. ღმერთი ვის ლოცვას შეისმენს, რას გაიგებ. ასე რომ, ყველაფერი შეიძლება.

* * *

საოცარი სიზმარი ვნახე, ცუდი სიზმარი, მაგრამ რახან სიზმრები დამიბრუნდა, მაინც ბედნიერი ვარ და ცუდი სიზმარიც ვერ გავიმეტე ცეცხლში დასაწვავად (დედაჩემი მასწავლიდა ხოლმე), ბევრჯერ კი წამიკითხავს ცეცხლისთვის და მესმოდა, რა ტკაცატკუცი გაუდიოდა სიზმრის მოჩვენებებს. სიზმრის ტრუსის სუნიც კი მიგრძნია. რას შევადარო, როგორ აგიხსნათ, აი, წამწამი რო აგტრუსვია, დაახლოებით ასეთი, წარბში არ აგერიოთ. აი, ეგრე ვნახე სიზმარი ჩემს თავზე: სადღაც, ტაძარში ვიყა, უი, სანამ სიზმარს ვიტყვი, იმის თქმა დამავიწყდა, რო სიზმრებმა დამტოვეს კარგა ხანი, ამაზეც ხომ არ ილოცა ვინმემ, რო სიზმრები აღარ მქონოდა. შეიძლება, იმ ჩემი გამოგონილი ცოლის მსგავსად, ვინმემ გამჩენი შეაწუხა და ჩემი სიზმრების გაქრობა სთხოვა. მიტოვებულ სახლს ჰგავს უსიზმრო კაცი, სიზმრებს მოაქვს სიყვარული და მონატრება, სიხარული და სიცოცხლის წყურვილი, ხომ გინახავს ეზოგაღნიოშებული, კიბეებზე ბალახამოსული და ალაგ-ალაგ მერცხლის ბუდეების ნარჩენებშერჩენილი სახლი, შემზარავი სიცარიელე და სიცივე დაგირბენს სულში, როგორც კი ასეთ სახლს დაინახავ. ეგეთია უსიზმრო, უსიყვარულო, გამოცარიელებული, უდაბნოდ ქცეული კაცი და, ვგრძნობ, როგორ ვივსებოდი უდაბნოს ცხელი ქვიშით და ერთ ღამესაც რაღაც სიზმრის ნაგლეჯი ვნახე, დილით ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. სიზმრის ნაგლეჯი რო გაგაბედნიერებს. ვერაფრით გავიხსენე, რა ვნახე, ვინ ვნახე, მაგრამ ეგ სულ არ მანაღვლებდა, მთავარი ის იყო, რო სიზმარი დაბრუნდა.

ერთი სიტყვით, შევედი ტაძარში (სიზმარს ვყვები) და უცნობი მოძღვარი დამხვდა. შორიახლო ვიღაც ქალი იდგა, ახალგაზრდა ქალი, საკურთხევლის წინ, დავაკვირდი და ის ქალი იყო, რომელიც მე წარმოვიდგინე როგორც ჩემი ცოლი, აი, ზემოთ რო გიყვებოდით, ანუ, რა გამოდის, ჩემი წარმოსახვით გამოგონილი ქალი, თუ ჩემი ცოლი მესიზმრა, ზუსტად ასეთი სახით იდგა, როგორც ზემოთ აღვწერე. ცივი, პირქუში, უცებ ჩემკენ გამოიშვირა ხელი და მოძღვარს მიმართა:

— მამაო, ეს კაცი შეპყრობილია, — თქვა და რაღაცნაირად დაკრიჭა კბილები.

მოძღვარი შეკრთა, უკან დაიხია, მაკვირდებოდა, მერე ფსიქიატრიულის პაციენტს რო დასაჭერად წამოეპარებიან, ისე მომიახლოვდა, შეუმჩნევლად და თავზე რაღაც გადამაფარა. ეგ იყო და ელვამ დამკრა, დავეცი მეხდაცემულივით, როგორც წმინდა გიორგის შუბით განგმირული გველეშაპი, ისე ვიკლაკნებოდი. ჩემ შიგნით ვიღაც დახტოდა, ბასრი კბილებით, თუ ბრჭყალებით, ყველაფერს მიფატრავდა. ვბღაოდი, ვწიოდი, სადღაც მინდოდა შევმძვრალიყავი. მოძღვარი ლოცვას უმატებდა და მეგონა, რო მოვკვდებოდი.

— შეპყრობილია, მამაო, შეპყრობილი, — ისევ უმეორებდა ჩემი გამოგონილი ქალი.

მამაომ თვალებზე ხელები აიფარა და უცნაურად დაიზმუვლა. ისე დაიზმუვლა, რო შემეშინდა, შეპყრობილს რო რამის შეეშინდება. დაიჩოქა, თვალებზე ხელებაფარებული მამაო, ისევ წამოდგა, თან ბუტბუტებდა. რამდენჯერმე გააკეთა ასე. მე დავხტოდი, ხან მიწაზე გავწვებოდი და ვიკლაკნებოდი. მამაო კიდევ ბუქნებს, თუ მეტანიებს აკეთებდა, თან ლოცულობდა პირჯვრის წერით. რაღაც უცნაურ სახელებს ვყვიროდი, შიგადაშიგ ნაცნობ სახელებსაც გამოვურევდი ხოლმე.

— აი, ხომ გითხარით, რო შეპყრობილია და ეშმაკი უზის, — გამარჯვებულის სახე ჰქონდა ქალს, — მე მინახავს შეპყრობილები. ზუსტად ასე იქცევიან, სანამ დემონები არ გამოვლენ.

თვალები გამოვახილე და მამაოს შევხედე, ლოცულობდა და ცახცახებდა. მე ისევ წამოვიძახებდი ხოლმე, ამ უცნაურ წამოყვირებაზე ეს საწყალი, ანაფორიანი კაცი უარესად ხდებოდა.

— კვეთებული, კვეთებული, — ყვიროდა ის ჩემი გამოგონილი ქალი.

— ბენიამინ, ნათანაელ, ელიაზარ, იოველ, ანაბელ... — ისევ ვაგრძელებდი. ვგრძნობდი, რო ყოველი სახელის წამოძახებისას, ვიღაცები ფართხალებდნენ ჩემში. სამრეკლოზე ეულად ჩამოკონწიალებულ ზარს რო ბაწრის ნაგლეჯზე ძლივს სწვდება მნათე ბალღი, ისე ყელყელაობდნენ, რო სულისთვის ჩაეჭიდათ ხელი და ჩამოერეკათ. სხეული სულის სამრეკლოა, სული კი ის პაწია ზარია, მდუმარე სოფელს რო ხმას გააწვდენს.

ოფლი გადაუვიდა მამაოს კვეთებულის კითხვით, თან მალ-მალე მომაცქერდებოდა.

— აბიათარ, ანთიმოზ, ხათუთა...

დასასრული მე-13 გვერდზე

გიორგი არჩემაშვილი

* * *

სადაც სულს ელიან სასულენი,
მერე დავიწყებას ბარდებიან,
ზღაპრის გმირებივით ასულელებს
ფიქრებს ვარსკვლავების პანდემია,
სადაც ზეცა არის სასურველი
და მზე წარმოსახვით ნანთებია,
ზღაპრის გმირებივით ასულელებს
ფიქრებს ვარსკვლავების პანდემია...

* * *

ლოცვას ვწერ, მომაქვს ელვა მეხიდან
და სიტყვებს ვტოვებ ხსოვნად სამას წელს
და ვლოცავ მკვდრებში, ვინც შემეხიდა
და მკვდრებს, რომლებმაც წასვლა დამასწრეს...

მათ არ იციან, როდის მივუვალ,
ჩემს არყოფნაზეც ბევრი იდავეს...
ვლოცავ ჯოჯოხეთს, მბრუნავს წრიულად
და ანგელოზებს დარდის მზიდავებს...

და როცა სული ცოდვით მოდნება,
მე თქვენგან წავალ მოულოდნელად...

* * *

როგორ ვნატრობდით, ღმერთს ჩაახედა,
ვიდრე სუფთაა ჩვენი ნამუსი,
იქ, სადაც იღბალს მაცდურ მახეთა
ძალით აქვს ყველა დღე შენამუსრი,

რადგან გარშემო ბეწვის ხიდების
მწკრივს წყევლა სდევდა იმდენმაგვარი,
რომ ჯოჯოხეთის ცეცხლნაკიდებნი
ველარ ვამბობდით: „ღმერთი აქ არის!“

და შენი სიტყვა ჩვენში გაწყალდა...
გადამწვარ ლოცვებს გვერდს ვერ აუვლი,
რადგან არ რწყავდი ბედით სანყალთა
დამშრალ სურვილებს წყლის სანყაულით...

ჩვენ ქარვის შხამმაც ვერ გაგვაქვავა
და მაინც გვჯერა შობის იგავის...
ყველა აქა ვართ, ყველა აქა ვართ,
ვინც აქ არ უნდა ვყოფილიყავით...

* * *

მოვლენ... და ჩვენი გულების მპოვნელ
სხივებში ისე ჩავინავლებით,
ზღაპარზე მეტი სიცხადით მოვლენ
ფესვებადგმული თეთრი ალვები.

ვმართოთ... და სულებს დავურჩეთ მარტო,
თუ ჩვენი სისხლი მაინც მოსწყურდათ,
იქნებ იღბალი მანამდე ვმართოთ,
ვიდრე დავკარგავთ ცოდვითმორწყულთა.

გვეყოს... კაცთა და ღმერთების ექო
ერთად შეარხევს სივრცეს ჰერცოდენს...
გვეყოს სიცოცხლე, სიკვდილიც გვეყოს,
გვეყოს, რაც ღმერთის გამო შევცოდეთ...

* * *

მხოლოდ ჩემია უმოძრაო დუმილი ხეთა,
თვითგვემის მიღმა რომ დავაცხრო ხვედრი ნეტარის,
რადგან ფაქტივით გარდაუვალ მოვლენებს ვხედავ,
სადაც აზრს კარგავს მცდელობაც და
ყველა დეტალიც...

ლოცვას მოწყვეტილ ბგერებივით მე ჩავახვიე
ყველა ოხვრა და სინანული ცოდვით მლოცველთა,
ვიდრე ჩრდილების წარმოსახვით მრავალსახიერ
მათ პატრონებსაც დავიწყების სხივი მოცელდა...

თითქოს მომიგდეს შვებისათვის შეუსაბამო
გზები, რომლებიც არჩევანის გმობენ უფლებას,
ამიტომ მინდა, მეც მოვუყვე, ჩემო ამბავო,
ღმერთს ის ამბავი, რასაც ღმერთი მე მეუბნება,

რომ აქ გზებია მკრეხელთათვის მიმოფანტული —
და განკითხვისთვის ველარ მიტევს
ღმერთის ფარდული...

* * *

ფიქრი ბგერების ზღვრული სიღრმეა
და ეს სიწმინდე თუ აიმღვრევა —
დაწერე შენი სულის სიმღერა...

* * *

დამღალეს ფიქრთა ციცაბოებმა,
მათზე ასვლის და ვარდნის განცდებმა
და ის, რაც სულში იწარმოება,
ჩემში ღმერთივით ვერ განკაცდება,

რადგან სისხლსა და ხორცს ვერ ელევა,
მათი მეაბჯრე, მათი მეხმლეა,
იცის, არყოფნა სისულელეა
და არც ყოფნა ღირს ნერვის შერხევად...

ჩამქრალ ვარსკვლავთა წუხილი იცის,
იცის, რად დაწვეს ღამე ლანდებმა
და რომ პოეტის შინაგან სიცილს
არ შეუძლია სევდის განდევნა...

* * *

ვისაც აღარ გყავთ აკვნის დამრწევი,
არც მონა გქვიათ, არც დამყოლი და
ვინც ეშმაკს უზღვავ ტვირთად აწვებით,
ვინც იდევნებით იმ სამყაროდან,

სადაც ცეცხლს ანთებთ და მოალევე
ნაპერწკლებს სუნთქვას აღარ უზღუდავთ,
რომ თუ გულები თქვენს სისხლს დალევენ,
ზღვარი გაავლოთ ზღვართან უზღვრულთან...

იცოდეთ, მწარე ლოცვის მაცნეა
ყველა, ვინც წამლავს სივრცეს მიჯნიანს,
რომ არ შეიტყოს თვალმა მარცხენამ,
მარჯვენა თვალი რა მახინჯია...

და ფიქრს, ჩვენში რომ უნდა გაევლო
(ფიქრი ჩვენში რომ შვებად მოფრინდა),
აელვებამდე წვავენ საელვოს,
რომ არ გავექცეთ მზეს არყოფნიდან...

* * *

საკუთარ ცოდვებს ყველგან ვეყოფი,
არ ველი ზეცის დასალბუნებას,
სულს ვზრდი ბედის და იღბლის ტყვედყოფილს
თავისუფლების დასაბრუნებლად...

* * *

ჩვენი აქ ყოფნა პირობითია
და ვინც გვისაზღვრავს სივრცეს გადამკვეთს,
ისე ჟღერს, თითქოს ღამე გვითია
ღმერთმა და სიზმარს უნდა გადავყვეთ...

უბრალოდ წაიკითხეთ

...
სამშობლო ისე უყვართ,
ყველა მეწილეა,
გოჯს არ დაუთმობენ თავისიანს,
სამშობლო მაშინ უყვართ,
სხვა რომ ეწირება,
მათთვის კი მუდამ აისია.
...
პოეტებიც წერენ ერთსადაიმავეს,
ყალბს, მყვირალასა და მჭექარეს.
ტკივილსაც ვერსად დაიამებ
ნამდვილი სიყვარულის მექარე.
...
ბრბო გძულდა,
გაგიხდა სანატრელი,
ისე დაემსგავსა ნახირს
და შენ ეკითხები,
გულ-სულანათრევი:
ნახირო, სამშობლო რა ღირს?

* * *

კდემამოსილი სახეები,
ნაკვთებიც შესაბამისი —
თვალების მიღმა გახევებულ
მხეცებს რომ ზრდიან გვამისთვის...

მარხვად გადაგებულთ ხორციელთა
სულს რომ აუტანლად ამძაღებენ,
შიგან რომ წურბელი მოძლიერდა —
ვამსგავსებ სიკვდილის გამსაღებელთ...

მცდელობით ნეტარ ვერ არიან...
თვალნი დაუხუჭავთ ზეციერებს,
რამეთუ მათ შორის ზენარია
და შორის „უბრალოთ“ ეძიებენ...

იქ, სადაც სამყაროს არტახეთსაც
ჭინკა და ცერბერი აუშვია —
ვინც არის ერთხელ თუ არ დახედავს
მიწა მზის რარიგ ხმაურშია,

ისე ხომ ვერ გვეტყვის, გამიგეთო...
ასმაგს შემოვისხამთ ასსარკმეთელს!
როგორ მიგვიღოს ან განგვიკვეთოს,
თუ ვერ შეიმეცნებს განსაკვეთელს?

ზურაბ
ლობჟანიძე

* * *

ზოგი სწრაფად მივდივართ,
ზოგი კიდევ ნელა...
ვისთვის მხოლოდ ბინდია,
ვისთვის უკვე ბნელა...
ჩემთვის კარგა ხანია
დრო სუდარას კერავს...
აღარ ესმის, ჩემი ხმა
ვეღარ სწვდება, ვერა...

* * *

დრომ იარა, იარა...
და მეც შემომიარა...
მატირა და მაცინა —
მასვა ცრემლის ფიალა...
ფიქრთა დაფა აქცია
ერთ დიდ მემორიალად...
თვითონ არის უკვდავი,
არც კი ხმარობს იარაღს...
გარს არტყია სამყაროს
მარად მწვანე ხვიარად...

* * *

რა მოვიფიქრო,
რა გავაკეთო,
გული ასე რად მიცემს...
სული და გონი
რით დავაფეთო —
შევერწყა დროს და სივრცეს...
არადა მზად ვარ
ამ აღმაფრენას
მთელი სიცოცხლე მივცე...
იქნებ მანიშნო
შენ, თავად ღმერთო —
შენს სუნთქვად როგორ ვიქცე.

* * *

აღარ მახსოვს ვინა ვარ...
ბოლო ვარ თუ წინა ვარ...
გამიგრძელდა სტუმრობა
თუ სახლში ვარ — შინა ვარ?..
არ მიიღოთ ხუმრობად —
იქნებ მითხრათ — ვინა ვარ?!.

მე და დრო

მე ვერ შეგქმენი,
შენ რას გერჩი,
შენ რას გემდური...
როგორც შემფერის,
ზუსტად ისე ვარ უბედური...
ერთგულებისთვის,
გაძლებისთვის
ვარ მადლობელი...
შენა ხარ ჩემთვის
მოშუღლარიც და ახლობელიც...
თუ გამწყრალს ხოლმე
წამომცდება
შენს მიმართ წყენა...
ეს ისე, თორემ
გონი სხვას და სხვას ამბობს ენა...

* * *

თუ არ წერ, არ დარდობ...
მაშ, ღამეს რატომ ტეხ...
ისეთს რას აკეთებ?..
ვჩხრეკ ფიქრთა საბადოს...
ვამოწმებ სამოთხის
ჩაჟანგულ საკეტებს...

* * *

რა დაგკარგვია, რას ეძებ,
რად ჩამოყარე ყურები...
რაო, რას ხედავ ამ ჯერზე
დღედაღამ ცისკენ ყურებით?..
საინტერესოს არაფერს...
(რაც იყო ისიც აღარ ჩანს)...
საცაა მტრედებს გავაფრენ...
ამ ბედს აქ ვინმე გადარჩა?..

* * *

გადაწყვიტე...
ბოლომდე თქვი სათქმელი...
(თუ ნელ-ნელა ფიქრობ აზრის დახატვას)...
თუმცა, იცი —
სად ზეცა და სად ხმელი...
ან ვინ გინდა სასოებად და ხატად...
კი, იესო, ცოდო-ბრალის გამრიგე...
შენი გზა და ზეცის წმინდა თავანი...
მაინც ვერა, ცად კიბე ვერ აიგე...
ვერ ჩაიდგი სულში რწმენის სავანე...

* * *

ოხ! რა გიჟი იყავი,
დღეს რა, ვითომ ბრძენი ხარ?..
ვერ მოირგე ნიღაბი...
ვერ შეძელი შენიღბვა...
ასე მარტო, გულღია
კითხვებით და აზრებით...
უძლებ ყოფას შუღლიანს
ვიდრე დაენარცხები...
რაც იყავი, ის დარჩი,
ასე მიხვალ იმ სოფლად...
გაიფანტვის მირაჟი
და დაგხვდება შვილს მშობლად?..

* * *

ევროპა თუ აზია?!
ლაპარაკი რაზეა —
საქართველოს წინსვლაზე
და მის მომავალზეა...
თუ
უძღები შვილების
კუჭზე — ჭამა-სმაზეა?!.

* * *

არაფერიც არ ვიცი...
(ან კი ცოდნა რას მარგებს)!
სიკვდილი, რა — დაიცდის,
დროს, რა — ის არ განაგებს?!.
თუ ჩვენს ტკივილს განიცდის
და არ გაგვაჩანაგებს?!.

* * *

სულ დავიბენი ამ გზაზე...
ფეხი რამდენჯერ დამიცდა...
ყოფნა-არყოფნის საზღვარზე
ერთი გამკრთალი წამიც და —
უსასრულობის კაშკაში...
ვარსკვლავთ ჟრიამულ-ჟღურტული...
ფრენა-ნავარდი კვლავ ცაში...
სულზე ახსნილი ურდული...

* * *

დღე ისევე დაღამდა, როგორც ღამდებოდა...
წინათ სული რაღაცით მაინც ამდებოდა...
ახლა ყოვლად უმიზნოდ
„მკვდარ“ ვარსკვლავებს უმზერს...
მხოლოდ ფიქრობს (თუ ნატრობს)!
მარადიულ რულზე...
...
დღე ისევე დაღამდა, როგორც ღამდებოდა...

* * *

თოვლიანი მარტი და
ჭიტა-ჭიტა აპრილი...
ჩიტი ხეზე დაფრინდა
მობუზული, დაღლილი...
სად ვიჩქარით, რა გვინდა,
ვისგან გვესმის ძახილი...
მზერა სევდამ დაბინდა —
რის ბაღი და რა ხილი...

* * *

განგება განგებ შვრება,
იქაურ გზას რომ ფარავს?..
აქ ვერ ვპოულობთ შვებას,
რადგან სიკვდილით გვზარავს...
ან რა მოხდება ვითომ,
თუ გავხსნით ფარულ მხარეს...
შეუძლებელს რას ვითხოვთ,
ავუტალახებთ კარებს?..

* * *

ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს,
ყოველ წამს და მზერას...
ვერ აღრიცხავ და ვერ განსჯი...
ვერ დაიჭერ, ვერა...
შენც მიჰყევი, როგორც სხვები
ბაზრის შფოთს და ყაყანს...
ბოლოს ერთგან მიდის გზები,
შენ წყალს რატომ ნაყავ?..

* * *

ფიქრები, ფიქრები
(და არა ფიფქები)!..
ათოვს და აბარდნის
გულს და გონს ჭვარტლისფრად...
ვეღარც ძველ წიგნებში
(ვერც არყის ჭიქებში)!..
ვეღარსად ვპოულობ
დაკარგულ ნატვრის თვალს...

აშექალი

დაქვრივებულაო ამღას აშექალი,
ცალად შარჩენია სოფელს.
ცოდვა იქნებაო მარტო მთაში ქალი
ნისლისა და ღამის სწორფერ.
შავში დამალავსო ცეცხლისფერ ნაწნავებს,
მზისა, შეიშნობსო შავსაც.
ბარე გადაივლის ზვავად ბევრი წელი,
მინამ გაუხუნებს თავშალს.
ამაყი არისო ხევსურის დიაცი,
ამაყად დაუხვდა სიკვდილს:
უმძრახ უმასპინძლა, უმძრახად იცდიდა,
მემრე გადაცილა ბილიკს...
ქალ მაინც ჰყოლოდა, ბედშავს იცოდებენ,
გულს გადუყრიდაო სევდას.
არცა ვაჟი ჰყავსო, ღმერთს ვერ მოუცლია,
გამოღმას ჭორები სერავს.
აფსუს, აქეთობას რარიგად ჰყვარობდნენ
ბეკიას დანიშნულ ქალწულს,
როგორც საჩეჩელზე მატყლს, ისე აჩეჩენ
ხევებში ჩაწოლილ წარსულს.
დაქვრივებულაო ამღას აშექალი,
ქარი ხმებს ბექობებს მოჰფენს.
თითქოს გუშინ იყო დაწინდული ქალი,
მალვით რომ გასტაცეს სწორფერს...

ბეკიამ იკითხოს...
ქალშავამ იკითხოს...
ეჰ, რა ენაღვლება სოფელს?

ჩემნაირ გოგონებს

ჩემნაირ გოგონებს
ხმამაღლა ტირილი არ უყვართ.
მოვარდნილ ცრემლებს,
როგორც ქსოვილიდან ამოვარდნილ თვლებს,
ჯიუტად ჩააბრუნებენ და გუბდებიან.
ჯიუტად აგრძელებენ დუმილის ქსოვასაც.
ლოგინში წოლას,
ბებიის ნაქსოვ ხალიჩაზე ურჩევნიათ
ზურგით განერთხონ,
ფართოდ გახელილი თვალებით განაგრძობენ
გრძელი ღამეების ძაფივით გორგალზე დახვევას...
ჩემნაირ გოგონებს
ათიათასი იარლიყით მკაცრად ფუთავენ
და მომავალში ყველა მცდელობა გაფრენისა
კრახით მთავრდება,
აღმოაჩენენ,
წინდაწინვე, ძირში წაჭრილ ფრთებს,
ამიტომ ხშირად ურჩევნიათ ხის ძველ სახლებში
ხის ჭიებივით ღამ-ღამობით ფქვან ყველა სევდა,
ხოლო სისხამზე,
სულის შებერვით გადაფანტონ,
უბრალოდ აღდგნენ...
ჩემნაირ გოგონებს
გაქცევა არ უყვართ, რატომღაც,
არც საკუთარი ჩრდილი აშინებთ სავსე მთვარისას,
არც წვიმა ქარში მოვარდნილი, —
სახეს უშვერენ.
ხოლო როდესაც ივსებიან,
თავის უშობელ ცრემლებში მტკნარდებიან,
არსად გარბიან.
თვალს უსწორებენ სარკეში მეს და
ასე დროდადრო
უჟმურ ლექსებად გადმოდიან,
დაგუბებამდე.

ჩამოჯექ, ქალო

ჩამოჯექ ქალო,
აიკეცე თმების ფთილები,
მაგ გაცრეცილი მაქმანიდან დრო დაიფერთხე,
მერე მუხლებზე დაილაგე ხელის მტევნები
და თვალებში ცა ჩაიტოვე...

ჩამოდგი თუნგი,
წყაროს წყალი შესვი პეშვებით,
ოქტომბრის ნამი მიიბნიე ნისლისფერ მკერდზე,
დაღლილმა — წამით ჩამოუშვი მიწისკენ მხრები,
თორემ ხომ ხედავ, შენი ტერფები —
ღრუბლებზე თხელი და უფრო თეთრი —
წვიმისგან დამბალ მიწაში რომ მზესავით ჩადის...

სანამ ჩამოთოვს,
თავშავებით აივსე უბე,
ფესვს მოგლეჯილი გამოაშრე, მერე გაახმე
და ზამთრის ორთქლზე
დიდხანს ხარშე ის სიმარტოვე,
ჩამოწოლილი ზვავებივით სულში რომ გაჩნდა...
ჩამოჯექ, ქალო,
და კოჭებიდან ალაგებულ კაბის კალთებში
ჩაჰკიდე ფიქრი!

მა, გახსოვს?

მა, გახსოვს?
მითხარი კლდე ვარო,
მთა ვარო,
დაგჭირდე? დაგიცდი!
სულ მუდამ მზადა ვარ გეწამლო,
ოღონდაც ნურაფერს განიცდი
ნურასდროს....
მერე კი წახვედი,
დამტოვე პირობის ამარა,
ბედია ასეთი თავხედი,
ღმერთი კი ან არის, ან არა...
მა, გახსოვს?
ახლა მე გიყვები,
რომ მდინარე ვარ და კალაპოტს
დროდადრო საერთოდ ვცილდები,
გავრბივარ, ვბრუნდები და ვნანობ...
ბოლოს კი,
საფლავთან ვიგონებ,
რომ მთა ვარ შენსავით, არ მიჭირს...
ჰო, ვცრუობ, ასე სხვებს ჰგონიათ,
მოვედი,
რადგანაც დამჭირდი!

შეუნდობარი

რამ გაგახევაო?
ერთხელ მკითხა ბებიაჩემმა, ბანზე ჩამომჯდარს.

თავდაღმართისკენ, კისრისტეხით გაქცეულ არაგვს
მივჩერებოდი,
გზადაგზა, თავისივე ზურგით მოთრეულ ლოდებზე
რომ მკერდს ილეწავდა,
ზედ მუხლის კვერებს იმტვრევდა და მაინც მოჰქონდა
ყოველ ჯერზე სათავიდან ლოდები დაღმა...

ვუყურებდი,
ხრამში ჩაწოლილ ზვავის კუდებს
ნაშემოდგომევს გვირილები რომ დაიყოლა,
გაზაფხულზე კი მიწამ მაინც დასძლია წყენა
და სწორედ აიმ თოვლიანში დაილანდა
კესანების პირველი წყება...

დაზამთრებამდე
პაპამ ჩვენს ტირიფს ცული დაჰკრა
სარებისთვის,
იმ ცულდაკრულზე გამოიბა ახალი ყლორტი,
ხელებდაჭრილმა.
განა როდისღა გაიშლება მხრებში? —
ვიფიქრე,
განა როდისღა?!

წინა ზაფხულზე,
მაკრატელაზე დეკეულმა რომ მოიგო ფური
და ფერდობიდან ის ფური რომ გადაიჩეხა,
ამ ზაფხულს ისევ იქითობას მიუწევთ გული,
იმ საძოვრებზე,
ან უფრო ზევით...

აქვე, ქოხის წინ,
წვიმამ ჩიტებს ბუდეები ჩამოუშალა,
ახლადშობილი ბარტყები კი
შხეფით დაბანა,
განა სულ პირველ ჭექა-ქუხილს
არ მოჰყვებოდნენ?
პირველ წვიმას და პირველ დანამას...

„იცი, ბუნება ღმერთისტოლა რატომ არისო?“ —
ბებიაჩემმა,
როცა ვიკითხე:
ასე მარტივად როგორ უნდა შეუნდო-მეთქი?
„ბუნებას მეტი მიტევება შეუძლიაო...“
ალბათ, ამიტომ იცვლის ფერსაც,
ზნესაც და
ბედსაც...
ჩვენ კი, მარტივად ვინც ვერ ვპატიობთ,
ღმერთის ტოლებიც ვერაფრით ვხდებით!

უბრალოდ, ვდგებით და ვხევდებით...

* * *
ფრენის
უფლება გვაქვს,
მაგრამ ისეთი,
ქარის დროს ფოთლებს
რომ ებოძებათ,
ხის ტოტებიდან
მოწყვეტილთ.

* * *
ერთი მოყვასი ბერად შედგა,
ტაძრად დაეყუდა,
უარყო სიკეთენი მიწიერი
სასუფევლისათვის.
ჰკითხეს, რას იკლებო ამისთანას
შენი დაყუდებით,
თუკი სანაცვლოდ სამოთხეს
ითხოვ;
ნუთუ ხანმოკლე წუთისოფლის
უარყოფა
მარადიული ნეტარების არის
სანაცვლო?
მე ღმერთთან შესახვედრად
უარვყავი ყველა და ყველაფერი,
მასთან ერთი წამით ზიარება
იქნება ჩემი მარადისობაო, —
იყო პასუხი.
კითხვა შეუბრუნეს, —
იმ ადამიანთა
სახით რომ შეგხვდესო,
შენ რომ უარყავი ამ წუთისოფელში
და ახლა პასუხზე
ფიქრობს სენაკში
დაყუდებული
ერთი მოყვასი.

* * *
არ გეძინება
ხანდახან, რადგან
გრძნობები დაგრჩა
შტეფსელში ჩართული.

* * *
ყველაზე დიდი
ტკივილიც კი,
რომელსაც თითქოს
ვერ გადაიტან,
ეტევა ცრემლის
პატარა წვეთში.

* * *
გახვედი ოთახიდან,
დერეფანს გაუყევი,
დიდხანს ისმოდა კიბეებიდან
შენი ფეხის ხმა;
მერე ფანჯრიდან
ქუჩაში, ტროტუარზე
გიცქერდი
ჩემგან მიმავალს,

თითქოს მიგყვებოდა
სურნელი სხეულის
ნათევი ღამიდან
და ის სურნელება
რჩებოდა მხოლოდ
ცარიელ დერეფანს,
როცა შენს ნაკვალევს
ფოთლებთან ერთად
ქარი ფანტავდა
ტროტუარიდან.

ალბათ საბოლოოდ
ყველანი მიდიან,

კომახიძე

მიაქვთ სხეულები
თავიანთი,
მიდიან — ცელქობით
დაღლილები,
როგორც წარმართი
ქალღმერთები.

წასვლის მეტაფორებს
აფრქვევდი, მშორდებოდი,
მე კი გიცქერდი და
არ ვიცოდი,
სად უნდა დამეტია
შეგრძნებები
შენი ერთხელ უკან
შემოხედვის

* * *

როდესაც ყველა
თავზე რაღაცა —
წამოფხატებული
გაექცა წვიმას,
ქალაქის ქუჩებში
შენზე ფიქრი
მისველდებოდა.

* * *

ვიღაც განაჩენს ადგენს
მართლმსაჯულების ჟანრის
და უსასრულო ვადით
აღესრულება მსჯავრი...
ამოუცნობელ აზრთა
უცნობი პარადიგმა,
შეუცნობლობის ზღვარზე
ცნობიერების მიღმა...
მიზანსცენაზე მუდამ
ერთია ჩანაფიქრი,
დაუსრულებლად ეძებ
ყოფიერების მიზეზს,
არარსებობა გსურს და
არსებობისთვის იბრძვი...
იბრძვი, ვერ აღწევ შედეგს,
ბრძოლას არ უჩანს ბოლო!
გადარჩენისთვის გრძნობ, რომ
არის ძალიან გვიან
და განწირულად ვინმეს
თავისუფლება თუ სურს,
თავისუფლება თუ გსურს,
თავისუფლებას რყვნიან!
ვიღაც განაჩენს ადგენს,
იქვე სრულდება მსჯავრი
და შენ უზადოდ გებრძვის
უსასტიკესი ჟანრი
შეუპოვრობის პირად.

* * *

ვეძებ იმ ტაძარს,
სადაც არ არის წესების წყება
ხმის მისაწვდენად ღმერთთან,
საიდანაც ყველა ხმა მისდის
მამაზეციერს;
სადაც ადამიანთა ცხოვრებაა
ხატება ტაძრის,
მათ შთაგონებებს,
გულისწადილს ანთებენ სანთლად;
იმ ტაძარს ვეძებ,
საიდანაც გამოჩნდება სამყაროს სიღრმე
და არ იქნება დაფარული
არც სიყვარული, არც საიდუმლო
ხელთა მოსათბობი ფარისეველთა;
იმ ტაძარს ვეძებ,
სადაც წყალობას არ სჭირდება
ჩოქვით ვედრება,
თავისუფლებას არ იშურებენ
და სადაც ღმერთსაც ექნებოდა
ერთი ადგილი.

დეგიუტი

* * *

შენი ნაჩუქარი ყელსაბამი, გაიცრიცა
და დაიბურა,
კაშკაშა ქვები აღარ კაშკაშებს.
არ ვიცი, როგორ დავუბრუნო ის ბრწყინვალება,
რომელიც მაშინ ჰქონდა, როცა იგი მაჩუქე.
ყოველდღიურად ვცდილობ,
ნელა, ნაზად გავწმინდო,
სათუთად ვუსვამ ბამბის ნაფლეთებს,
მაგრამ სიკეთე არ ეტყობა ხავსიან ბროლებს.
ვიხსნი ყელსაბამს და გიბრუნებ — ახლა შენ სცადე!

* * *

დავდივარ ყინვაში იმედით,
რომ შემომხვდები და მიშველი.
მასზე უკვე ხელი ჩავიქნიე.
ახლა შენ გახდი ჩემი ხავსი,
მაგრამ არც შენ ხარ.
შენ ფანტაზიის ნაყოფი ხარ,
ძვირფასი ნაყოფი ცოდვისთვის,
რომელიც გამრყვნის და უარესად გამანადგურებს.

ყრუ ტკივილით მაწუხებს საკვერცხეები,
ალბათ ნიშანი იმისა, რომ შევცოდავთ
და შემდეგ სხეულით მომიწევს პასუხისგება,
რაც იქნება მწარე და პირისაგან მიწისა აღმგველი.
მაპატიეთ მოღალატე მეს,
ალერსსა და ზრუნვას დახარბებულს.
მე თქვენ გღალატობთ, გთელავთ,
თქვენს „კაცურ ღირსებას“ ვანადგურებ.
მაგრამ ამასობაში მე ვითელები
და თქვენი შურისძიება ჩანასახშივე ასრულებულია.
იხარეთ!
აღარც ვნებები შემრჩა, არც გარყვნილება,
ნიმფეტური დემონიც გამქრალა ჩემში,
ცარიელი მუმიასავით დავიარები,
ჩრჩილი ვარ.
სხვები კი არა, ისიც ველარ მამჩნევს.
აღარ მეუბნება, რომ ლამაზი ვარ,
ხომ არ მომატყუებს?
მე კი მშურს სხვების ბედნიერების.
ამ კაფეში ყველა სხვა მაგიდასთან წყვილები სხედან.
მე შავი ცხვარი ვარ.
სულელივით ვწერ ლექსებს,
რომელიც დაიწვება ან დაიხევა.
ხო შენ მეტყვი, რომ ვატრაგიკულებ.
ალბათ ასეა...

* * *

როცა მიერთდები, მგონია, რომ
ჩემს სამყაროში იძირები,
აი ისე, თითქოს პორტალს შეეხე
და თავბრუსხვევითა და ელვის სისწრაფით
ქალების კუნძულზე ხვდები,
სადაც თავს გარიყულად და დაუცველად გრძნობ,
ისევე, როგორც მე აქ, სინამდვილეში.
მაგრამ როცა უკან ბრუნდები —
ისევ ისეთი ხარ, როგორიც წასვლამდე.
ვერაფერსაც ვერ გასწავლის კუნძულზე მარტოობა.
ისევ ვერ იგებ, რატომ მაქვს სევდიანი თვალები,
ისევ ვერ ხვდები, რა დამაკელი.
და ისევ „შეშლილ“ ვირჯინიას აბრალებ
ამ მელანქოლიას,
რომელიც უფრო მწარეა, ვიდრე შენ ფიქრობ.
მე კი აღარ ვცდილობ, რამე აგიხსნა,
რადგან თუ ჩემში ჩაძირულიც ვერ ხვდები, რა მტკივა,
შეუძლებელია სიტყვებმა რამე გვიშველოს,
შეუძლებელია გადაგვარჩინოს.

* * *

რაც ფიქრი დავიწყე, დედა გამუდმებით მიამბობს,
როგორ დავსრისე მერცხლის კვერცხები,
როცა ვიყავი ძალიან პატარა
და სასტიკი.
და მეც ყოველ ჯერზე ვტირი,
არ ვიცი დედა მერცხალი მებრალება
თუ ჩემი თავი,
რომელსაც მთელი ცხოვრება გამტანჯავს
ამ მერცხლის წყევლა.
როცა მტკივა და უხილავს ვეკითხები რა დავაშავე,
ეს მერცხალი მახსენდება,
მახსენდება რაც დავაშავე,
როცა ვიყავი ძალიან პატარა
და სასტიკი.

* * *

მიყვიროდი, რომ შენი ვარ,
მე გიყვიროდი, რომ — არა
და შენ უფრო ხელდებოდი
და უფრო უხეშად მეხლებოდი,
როგორც ცივი თქეში,
დასიცხული თბილისის ასფალტს.

ნეკა ნათელაშვილი

მაგრამ მაინც არ მისერავდი წელს,
ორ სწორ ზოლად,
რომ შემდეგ სისხლი აგელოკა
და შეგეგრძნო ჩემი სულის სამსარა.
არადა სამართებელი მოგაჩეჩე,
როგორც შენ მაშინ უღელი.
სამართებელი ჯობია,
მძიმე სულაც არ არის...

* * *

ალბათ მშობიარობა მით უფრო მწარეა,
რაც უფრო მძიმე ბედი ელის შენს შვილს.
შვილს, რომელიც არ გინდოდა,
შვილს, რომელიც გაიძულეს.
თავს აჯერებ, რომ გეყვარება,
მაგრამ გულის სიღრმეში ნატრობ —
მშობიარობისას მოკვდე,
რათა ისიც დაიტანჯოს და მამამისიც,
სხვაგვარად არ გესახება შურისძიება.
რა სასაცილოა, ერთადერთი შურისძიება გაბადია
და იმითაც თავს აზიანებ, აქრობ.
ეჰ, დაიწვას შენი დაბადება,
რომელიც ალბათ ყველა დედაზე მეტად
სტკიოდა დედაშენს.

* * *

მარცხენა ხელში შოთი მეჭირა,
მარჯვენაში პოლიეთილენის პარკში ჩაწყობილი
ხუთი ხახვი და ნახევარი კილო სიძულვილი,
ჩემი თეთრი კაბა კი სულაც არ ნიშნავდა უბიწოებას,
უბრალოდ ფრიალებდა ან შრიალებდა,
როგორც ფოთლები ნაბიჯების ქვეშ
შემოდგომის ბოლოს.
ეს შოთი ხელს მიწვავდა,
მაგრამ კარაქი ისე ჩაადნო, ვაპატიე.
ხახვმა კლასიკურად ამატირა, მაგრამ მასაც ეპატია,
რადგან შემწვარ ზიზღს საამო გემო მისცა,
ნაკლებად გამეჩხირა ყელში,
აღარ დამჭირდა წყლის მიყოლება.
ახლა მხოლოდ ტაფაზე ვბრაზობ,
ვერ მოვაშორე ნარჩენები და ცხიმი.
ორი საათი წყალში ჩავალბე,
ათი წუთი სინი ვუხახუნე,
მაგრამ ისევ შავია.
დედას უნდა დავურეკო.
მაგრამ სჯობს, მაღაზიაში წავიდე —
ახალი ტაფა ვიყიდო.



ზურაბ ღუდუშაური

გარდერობი

დასასრული

სალომე ისევ მხურვალედ უკრავდა ტაშს. როგორც მერე გავარკვიე, არც თვითონ მოსწონებია ეს ნაწარმოებები. ალბათ კოლეგიალური ემპათიის ალმური უფრო დაკრავდა მის გამალებულ ტაშისცემას, ვიდრე აღტაცებისა ან განცვიფრების. კურტკა მეც დაბლა მქონდა, მაგრამ სალომეს მარტო დატოვების შემეხათრა. თან ის საყვარელი ჟურნალისტიც მაფიქრებდა. შესაფერის მომენტს ველოდებოდი. იმედი მქონდა, განმარტოებულები შევხვდებოდით ერთმანეთს. კურტკაზე მოგვიანებით მარტო ჩასვლა მაწყობდა. იქნებ შემფეთებოდა სადმე — ინტერვიუ ეთხოვა, გასასვლელი მეკითხა ან რამე მსგავსი... უკან მოვიხედე და, ვაკოსი არ იყოს, ეს ჟურნალისტიც უცაბედად გამქრალა. სალომემ მანიშნა, გავიდეთო და მარჯვნივ რომ უამრავი ხალხი მიაწყდა კარს, მარცხენა გასასვლელისკენ დავიძარით. არადა, მარჯვნიდან კამერები ანათებდნენ და ჩემი ჟურნალისტიც იქ უნდა ყოფილიყო. მძიმედ გავემართე გასასვლელისკენ. სამი ელეგანტურად გამოწყობილი მანდილოსნის უკან აღმოვჩნდი, ნება-ნება, ზანტად რომ მიიზლაზნებოდნენ ქუსლებზე. გეზი ალბათ მათაც გარდერობისკენ ჰქონდათ, მელიის, შინშილისა თუ კარაკულის ქურქები რომ გამოეთხოვათ. დროდადრო უკან აპარებდნენ თვალებს. თითქოს ამოწმებდნენ გასასვლელშიც თუ ექცეოდნენ რომელიმე ახალგაზრდა მამაკაცის ყურადღების ცენტრში. როგორც იქნა, გავიდნენ და გამოვძვერით მე და სალომეც. ვაკოს მოლოდინში იქვე მოაჯირთან ჩამოვდექით.

— კამერებისკენ ხო არ მივიწიოთ? — უცებ მეკითხება სალომე. არ ვიცი, რანაირად ახერხებს ხოლმე, მაგრამ ხანდახან მგონია, სალომეს ჩემი აზრების კითხვა შეუძლია, რადგან ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა უნებურად, თხოვნის გარეშე მიწყობს კარგ ამბავში ხელს.

კი-მეთქი, ვუპასუხე მეგობარს და მივუახლოვდით კამერებს. ჩემი ჟურნალისტიც იქვე იდგა, მარჯვენა მხარეს და წინასწარ გამზადებულ კითხვებს აყრიდა რესპონდენტს. ხელში ისეთი მაუწყებლობის მიკროფონი ეჭირა, არ მესიამოვნა, მაგრამ იქვე ვაპატიე. არაფერი ეტყობოდა კონფორმისტის. აი, კარიერიზმი კი ცოტა-ცოტა გამოსჭვიოდა საყვარელ მზერაში, მაგრამ არც მაგას უშავდა. რაღაც დოზით კარგია კარიერიზმი. ამ გოგოს ალბათ, ნუცა ერქვა. ნუ, მე ნუცა დავარქვი და მაგის მშობლებისა არ ვიცი... ვუმზერდი ნუცას და მაფიქსირებდნენ კამერები, როგორ ვაკვირდებოდი მათთვის ნაცნობ ახალგაზრდას ჩუმ-ჩუმად. ნუცას არცერთხელ გამოუხედავს. მას კი უფრო და უფრო ეწებებოდა ჩემს წარმოდგენაში კარიერისტის იარლიყი.

ამასობაში ვაკოც გამოჩნდა. კურტკის ჩაცმით ამოირბინა საფეხურები.

— ჰა, წავედით? — საათნახევრიან კონცერტზე დაუხარჯავი ენერგიით შეგვაფხიზლა მე და სალომე.

— მე მშია, — შემოგვაპარა მოღუშული სახით სალომემ, რომელიც ვაკოსგან განსხვავებით სცენაზე წარსდგა და სახეზე ეწერა — ენერგიის აღდგენა სურდა.

— კურტკას ავიღებ და წავიდეთ, სადაც გინდათ, — გამოვუცხადე მეგობრებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თვის ბოლო მიყვარს. მიყვარს იმიტომ, რომ ხელფასი მერიცხება. ხელფასი კი იმიტომ მიყვარს, რომ მეგობრები მიყვარს და ცოტა-ცოტა ნუცაც. ნუცა ისევ არ იყურებოდა ჩემკენ. სხვა რესპონდენტი მოუნახავს. ავდექი და დაბლა ჩავირბინე. კიბესთან დიდ სარკეში ორი თეთრ კაბაში გამოწყობილი ქერა უცხოელი დაქალი იღებდა სურათს. მათი სამკაულები სარკიდანაც კი თვალს მჭრიდა. ალბათ, რუსები იყვნენ. მაგათ უყვართ მდიდრულად გამოწყობილებს კიბის ფონზე სურათების გადაღება. სარკეში კიბის გარდა გარდერობიც ირეკლებოდა. გარდერობთან მოფუსფუსე ხალხი გოგონებს სურათს უფუჭებდა. მარცხენა მხარეს, სადაც მე მეკიდა კურტკა, რიგში მხოლოდ სამი ადამიანი იდგა და სიხარულით შევუერთდი მათ მწკრივს. სხვა რიგები თითქმის ხუთჯერ გრძელი იყო. ალბათ ხელოვნურად შექმნა რიგი სამმა უკმაყოფილო ქალბატონმა და მეც მოსარგებლე გავხდი მათი წამოწყების. ჩვენ და ჩვენს გვერდითა რიგს ერთი ქალბატონი გვემსახურებოდა. ალბათ გვერდითა რიგში მომლოდინეები გულში სასტიკად გვლანძღავდნენ აქეთურებს, ამიტომაც ჩემი დრო რომ მოვიდა, ჯერ გვერდითა რიგის ერთ ქალბატონს დავუთმე, გავუღიმე, მოვიმადლიერე და შემდეგ მივაწოდე ჩემი საკიდის ნომერი გარდერობის თანამშრომელ ქალბატონს. ქალბატონმა ჩემი ნომერი გოგონას გადააწოდა უკან. გოგონამ ნომერს დახედა და გაკრეფილი ვენახის ზოლებივით ჩამწკრივებულ ქურთუკებში გაუჩინარდა. უცებ გამოქანდა, იასამნისფერი ჟაკეტი მომაჩეჩა და ახალი ნომრის ასაღებად მიირბინა. ჟაკეტს დავხედე და აშკარად არ იყო ჩემი. სავარაუდოდ ქალბატონის გახლდათ. ან წაქალბატონო ვაჟბატონის... რა მნიშვნელობა აქვს?!. ვუყურებდი და ჩემი არ იყო. ჩემი კი არა, კურტკაც არ იყო...

— უკაცრავად, — აუღელვებლად დავუძახე მოფუსფუსე გოგონას. გოგონამ თავი შეარხია, ჩემკენ მოტრიალდა და გამოიხედა თუ არა, ჟაკეტი ავუწიე, ეს ჩემი არ არის-მეთქი.

— რა ნომერი იყავით? — მეკითხება გოგონა.

— არ დავკვირვებივარ, მგონი 437, — ვუპასუხე დაბნეულმა.

— 437 ნომერი სულ არ გვაქვს, — მიპასუხა და პალტო მიაწოდა მოღიმარ ქალბატონს.

— მაშინ 347 ან 345, რა მნიშვნელობა აქვს, იქ ეკიდა ჩემი კურტკა, — ხელი გავიშვირე სადაც კონცერტის დაწყებამდე გადაფინეს. ზუსტად ვაკოს კურტკის უკან. ვუყურებდი და აღარ ეკიდა. ეძებდა ანერვიულებული გოგონა და ვერ ნახულობდა. უცებ მოირბინა და მეკითხება:

— ნამდვილად არ არის ეს თქვენი? — და მაჩვენებს ბრჭყვიალებიან, იასამნისფერ, ცისფერღილებიან ჟაკეტს. გაოგნებული ვუყურებ. ვცდილობ, გამოვერკვე — დამცინის, მეღადავება, დაბნეულია, ვერ არის თავის მატორზე, თუ რას შვრება. ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან გოგონა ერთ-ერთი — დაბნეული აღმოჩნდა. ისე შევხედე, უცებ გაიაზრა, რომ რაღაც უცნაურს მეკითხებოდა და ჟაკეტის ჩამოსაკიდებლად მოკურცხლა. რამდენიმე წამში ისევ დაბრუნდა და ბოდიშის მოხდით მთხოვა:

— იქნებ შემობრძანდეთ და თქვენ ნახოთ, სადაა.

დავთანხმდი შემოთავაზებას, იმ იმედით, რომ სხვა მწკრივებში შევძლებდი ჩემი ახალი კურტკის მონახვას. 350 ლარი მივეცი ფასდაკლებით. მასტერქარდზე 40%-იანი ქეშბექიაო და ნახევარი ხელფასი მივახარჯე მაგ კურტკას. თუმცა, არ მინანია. წინა დახეული მქონდა. მაგრამ, ისეთი პირი უჩანდა, ვფიქრობდი, რომ ისევ იმის გაკერვა მომიწევდა. უკვე ის ქალი წარმოვიდგინე, მამაჩემს რომ შედარებით იაფად უცოცხლებდა გადასაგდებ ტანსაცმელს. როგორ იჯდა და როგორ აკერებდა უკვე მეოთხე იარლიყს დახეულ მკლავზე. ჩემი ძველი კურტკა ერთდროულად „ნაიკიც“ იყო, „ადიდასიც“, „ლევისიც“ და ალბათ უკვე „აბიდასიც“. არ ჩანდა, მაგრამ მაინც გამალებული ვაცეცებდი ხელებს ტანსაცმელებს შორის. არ მსიამოვნებდა სხვის სამოსზე ხელის შეხება, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი კვლევა-ძიებას — მწკრივიდან-მწკრივში, ქურქიდან-ქურქზე. გარდერობში ტანსაცმელების რაოდენობა იკლებდა. ვაკო და სალომე რიგრიგობით მირეკავდნენ და ვერ ვპასუხობდი, არ მესმოდა. ვეძებდი, ვცოდვილობდი, თითქოს ვერ ვიჯერებდი, რომ კურტკა დამიკარგეს, მაგრამ უცებ ერთი ფეისბუქპოსტი გამახსენდა, გაბრაზებული გოგონა ერთ-ერთი პრესტიჟული კლუბის თანამშრომლებს რომ ლანძღავდა, ჩემი უსაყვარლესი პალტო დამიკარგეთო და იმედი დავკარგე. თავიდან თუ უარვყოფდი, შემდეგ გავიაზრე, რომ კურტკა დამიკარგეს. გავიაზრე და შევეჩვიე. თანაც თავს იმით ვინუგეშებდი, რომ იმ პოსტის ავტორმა უსაყვარლესი პალტო დაკარგა, მე კი ისეთი არაფერი. უბრალო კურტკა, რომელშიც სათვალე და საფულე მქონდა დატოვებული. საფულეზე თავიდან ავნერვიულდი. პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, საბანკო და სამსახურის ბარათები, ოცლარიანი... ყველაფერი იქ მედო. უფრო დამცხა, როდესაც გამახსენდა, რომ საფულეში ორი ცალი დურექს ინტენსი მქონდა შენახული. ვიმედოვნებდი, რომ კურტკას ვინმე უფროსი ქალი არ გახსნიდა და არ აღმომიჩენდა ჯერ კიდევ ჩაუდენელ ცოდვებს. მერე ცოტა ცუღლუტი აზრები შემომეპარა — იქნებ, იმ მშვენიერმა მანდილოსნებმა იპოვონ, სარკის წინ რომ პოზიორობდნენ-მეთქი და ეშმაკურად ჩამეღიმა. თუმცა მივხვდი, რა იდიოტური აზრებიც მესტუმრნენ და სახე იმწამსვე დავალაგე. თან ნუცა გამახსენდა, ორი სართულით ზემოთ ინტერვიუს რომ წერდა. მე კი დაბლა უსირცხვილოდ ვიდექი და ფიქრებში ვღალატობდი. რაღაცნაირად მომერიდა და სევდა მომერია.

— ნუ დარდობ, მოიტანს ალბათ, ვინც წაიღო, — თანამიგრძნო გარდერობის თანამშრომელმა.

— ხოო, მოიტანს. ასეთი რამე, გეფიცები, პირველად ხდება, — გარდერობში ტანსაცმლის შეცოტავებასთან ერთად, მეორე ქალბატონმაც მოიცალა ახსნისთვის, თითქოს რაიმეთი დამეხმარებოდა იმის ცოდნა, რომ აქამდე უშეცდომოდ მუშაობდნენ.

— არა უშავს, — გავუღიმე მანდილოსნებს. მე ის კაცი არ ვარ, აყალ-მაყალი და დრამატული სცენები დამეტეხა მათთვის. ყველას მოსდის შეცდომა და არ მსურდა, ჩემ გამო რაიმე სახით დასჯილიყვნენ. სულ აღარ ვაპირებდი ხმის ამოღებას. ერთადერთი, გარეთ ყინვაში სიარულიღა მაწუხებდა, თორემ კურტკა... უკვე დაკარგული იყო. ჯერ ვერ დავიჯერე, უარვყავი. მერე დავუშვი და ძებნა დავიწყე. მერე გული დამწყდა. მერე შევეჩვიე, მაგრამ როგორც ყველა ადამიანი, მეც იმედით ვცოცხლობ და უცებ ჩემდაუნებურად გამეფიქრა, რა იქნება ნუცას გაჰყოლოდა ჩემი კურტკა-მეთქი. ჯერ მოიცვამდა, გათბებოდა, მერე სადღაც შუა გზაში ჯიბეებში ხელს ჩაყოფდა, საფულეს შეხვდებოდა, ამოიღებდა, პირადობას ნახავდა, ინსტაგრამზე მომძებნიდა, დამამატებდა, მომწერდა — შენი კურტკა გამყვაო, მივწერდი — სადმე კაფეში შევხვდეთ-მეთქი, ვნახავდი, მადლობის ნიშნად ლურჯ ჰორტენზიებს ან ყვითელ შროშანებს ვუძღვნიდი, გავისაუბრებდით, ვიხალისებდით, გავისეირნებდით, მომეწონებოდა, მოვეწონებოდი... მერე წითელ ვარდებს ვაჩუქებდი, ვიჩხუბებდით, შევრიგდებოდით, შევუღლდებოდით, სამ შვილს გავზრდიდით, თორმეტ შვილიშვილს მივაყოლებდით და მერე ჩვენ ვიქცეოდით ლამაზ-ლამაზ ყვავილებად, იებად, და არა ყვითელ ქრიზანთემებად, ჯერ მე და შემდეგ ის...

ოცნებით დაღლილს უცებ რაღაც პრეტენზია შემომესმა:

— უკაცრავად, ეს ჩემი კურტკა არ არის!

ყურებს ვერ დავუჯერე. ეს ჩემი კურტკა არ არისოო... ნუ-ცა!.. ნუცა!.. გაოგნებული შევტრიალდი გარდერობის დახლისკენ. დახლთან ნუცა არა, მაგრამ გარდერობის ემპათიური თანამშრომელი და ორმოცდაათ წლამდე სიცივისგან გალურჯებული ქალბატონი იდგა.

— ესაა თქვენი კურტკა? — მეკითხება ემპათიური თანამშრომელი და გულში მხურვალედ ლოცულობს, რომ ეს იყოს.

დავხედე კურტკას და ღიმილით ვუპასუხე:

— დიახ, ეს არის.

— მადლობა ღმერთს! — აღმოხდა გოგონას, რომელმაც შეცდომით გაატანა ჩემი კურტკა იმ ქალს.

— მადლობა თქვენც, ყველას! — თბილად მივუგე თანამშრომლებს, კურტკა მოვიცვი, მარცხენა მხარეს საფულე და სათვალე ხელით შევამოწმე, მარჯვენა ჯიბეში მობილური ჩავასრიალე და კიბისკენ გავიქეცი.

ჯერ საპირფარეშოში შევვარდი, თავი მოვიწესრიგე, საყელო გავისწორე, წყალი შევისხი, ხელ-პირი ერთჯერადი ქაღალდით გავიმშრალე, დავაგორგოლავე, ურნისკენ ვისროლე, ჩავაგდე და თავდაჯერებული გავემართე კიბისკენ. პირველ საფეხურს რომ მივადექი, მობილურს დავხედე და სამი გამოტოვებული ზარი დამხვდა. ორი — სალომესი, ერთი — ვაკოსი. დიდხანს ვალოდინე... დავურეკე — ახლავე გამოვდივარ-მეთქი. მაგრამ ორი სართულით ზემოთ რომ არ ამეხედა, არ შემეძლო.

გალიიდან გამოქცეული ნადირივით ავირბინე ორი სართული. ნუცა ისევ კამერებთან იდგა, ახალ რესპონდენტს წერდა და სხვები გვერდზე ელოდებოდნენ. ისევ იმ მაუწყებლობის მიკროფონი ეჭირა, მე რომ არ ვუყურებ, მაგრამ მისი სახელი ისე მომწონს... ყოველდღე ამ სასიკეთო რწმენით ვათენებ და ვაღამებ... ორი წუთი ველოდე. ორი იმედის წუთი. თუმცა, სანამ გაყინული მეგობრები დამირეკავდნენ, ავდექი და წამოვედი. ნუცას არც ჩემი მისვლა შეუმჩნევია და, ალბათ, არც წასვლა.

გარეთ ხალხი აღარ იყო, მხოლოდ ჩემი მეგობრებიღა იდგნენ.

— წავედით? — მომეგება ვაკო.

— ხო, წავედით, — სევდიანად მივუგე მეგობრებს და უხმოდ გავუდექი გზას.

წინ ვაკო და სალომე გავუშვი.

მე ფეხს ვითრევდი.

შიგადაშიგ თეთრად განათებული შენობისკენ ვბრუნდებოდი.

იმედით, რომ იქნებ ნუცა გამოჩენილიყო, მარტო.

დარჩენას ვფიქრობდი, მაგრამ ვერ ვჩერდებოდი.

უფრო და უფრო ვუსწრაფებდი ნაბიჯებს.

რო დავრჩენილიყავი, რა?!

დაამთავრებდა ინტერვიუს, გაჰყვებოდა თანამშრომლებს, ერთხელ შეიძლება ჩემკენაც გამოეხედა და გაქრებოდა...

ან დაამთავრებდა ინტერვიუს, ჩაირბენდა კიბეს, შუა საფეხურებზე შევხვდებოდი.

გამოველაპარაკ...

მაგრამ რაღა აზრი აქვს?!

მე წამოვედი...

მეგობრებს დავეწიე. გავუსწორდი.

დიალოგში ჩავერთე და კონცერტზე დაკრული კომპოზიციების განხილვამაც კი დამაინტერესა...

დასასრული

— ვაი, ვაი, ვაი, — თავში წაიშინა იმ ქალმა, — გესმის, მამაო, გესმის? სავსეა დემონებით, სავსე.

მოძღვარს სულ გამოეცალა ძალა, ქასქასი გაუდიოდა. ამ დროს გაიღო ტაძრის კარი და ვიღაც ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, სადღაც მყავდა ნანახი ეს კაცი, ცხადში თუ სიზმარში, ვერაფრით გავიხსენე. მოგვიახლოვდა, ჯერ ტაძრის კედლებს აკვირდებოდა, რამდენჯერმე გადაისახა პირჯვარი, ჩამიარა და თან ხალიჩაზე გართხმულს სიბრალულით დამხედა, მერე მამაოსთან მივიდა და ყურში უჩურჩულა:

— ეს კაცი ეშმაკისეული არ არის, მამაო.

მამაომ ოფლი შეიწმინდა და უცნობ კაცს წყრომით შეხედა.

— კი, როგორ არა, ანგელოზია, — თქვა და პირჯვარი გადაიწერა.

— საქმე ის არის, რომ... — ენა წაუბორძიკდა უცნობს, — საქმე ის არის, რომ მე მისი გმირი ვარ და მოვედი, რათა ამ უხერხულობისგან ვიხსნა. ის თავისი პერსონაჟების გამო იტანჯება და მათ სახელებს ყვირის.

„აი, თურმე, საიდან მეცნობოდა ეს კაცი“ — გავიფიქრე, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე რომელი მოთხრობიდან იყო გადმოსული ან იქნებ მომავალი, ჯერ დაუწერელი მოთხრობის გმირიც იყო.

— კაი, კაცო! — თქვა გაკვირვებით მამაომ და ამოისუნთქა. მერე იმ ქალს დაუწყო ძებნა, წეღან რო რაღაცებს კარნახობდა, მაგრამ ვერაფრით იპოვა, — არადა, მოვკვდი ამ კვეთებულის კითხვით და რა დემონები, რის დემონები, თურმე, თავის სატანჯველშია ეს საცოდავი, — თქვა და ახარხარდა, დაღლამ სწრაფად გაუარა.

* * *

— ეე, — ხელი წამკრა ერთი-ორჯერ, — გაახილე თვალი, ტო.

არც შემიხედავს, უხეშად მოვიშორე. სიზმრის იმ ადგილზე ვიყავი, ხალიჩაზე გაშხლართული მღვდელმა რომ წამომაყენა.

— ამას უყურე, რა დღეში ყოფილა.

— ბიჭო! — ტაიამ შემანჯღრია, — გაახილე თვალი, მე ვარ-მეთქი, — ხან მე დამცქეროდა, ხან ჩემი დივნის გვერდით მოფანტულ არყის ბოთლებს. რამდენჯერმე გაიმეორა, — ამას უყურე, ამას, — თან გაიცინა.

ძლივს გამოვიხედე ქვესკნელიდან. თავიდან ვერაფერს ვხვდებოდი, თითქოს, გადღაბნილი სარკმლიდან ვიყურებოდი. მერე თანდათან გადაიკარეს ჩემმა თვალებმა და ტაია დამყურებდა. წამოვჯექი, უხერხულად ვიგრძენი თავი, საღორეს ჰგავდა აქაურობა, არყის ცარიელი ბოთლებისკენ გამექცა თვალი, სამზარეულოდან დახორავებული დასარეცხი ჭურჭლის სუნი გამოდიოდა. მოკლედ, ბომჟი რო გინახავს...

— რა არის, ბიჭო, ისევ დაიწყე? — შემომხედა, მერე ლოგინზე ჩამომიჯდა, — გაქრი, გაუჩინარდი, არა ტელეფონი, არა ინტერნეტი, მეთქი ვერ არის ამის საქმე ჯანმრთელად და აი, — ბოთლებს დახედა.

სახე ამეწვა, სხეული გამიხურდა, ყველა ცოდვამ ერთიანად შემახსენა თავი.

— რა არის, ბიჭო...

— კარგი, კარგი, — წამოდგომა დავაპირე.

— რა კარგი, გიჟებს ჰგვანან შენი ბავშვები, ნიაზე აღარაფერს ვამბობ.

— ვინ ბავშვები? — ისე ვკითხე, თითქოს, სხვაზე ლაპარაკობდა.

— მგონი, მართლა სხვა სამყაროში გადაბარგდი. შენს შვილებზე ვამბობ, აქ რო დაგადგნენ და გარეკე.

თვალებზე ხელები ავიფარე.

„ესე იგი, შვილები მყოლია, ცოლიც, რა თქმა უნდა, მაგრამ...“ — ვერაფრით გავიხსენე ჩემი შვილები, ვერც ცოლი გავიხსენე.

— ღადაობ, თუ მართლა მეუბნები?!

— ვღადაობ, ხო ვღადაობ. ეგრე იცის ჩაძრომამ, ეგრე. ბელაიები და მთელი ამბები. გადასხმები გინდა და მოხვალ გონებაზე. მე ხომ მიცანი? — თქვა და შემომცინა.

— როგორ არ გიცანი, თამაზ გიორგის ძე ხიდაშელი, მეტსახელად ტაია, ცნობილი პოეტი და ბლოგერი.

— მერე? — უფრო მაგრად გაეცინა.

— რა მერე?!

— შენი ოჯახი და თავი რატომ არ გახსოვს. დეპრესიაში გტაცა ხელი ეშმაკმა და...

უცბად გამახსენდა კვეთებულის ლოცვა სიზმარში და მაგრა გამეცინა.

— რა გაცინებს.

— მამაო მიკითხავდა ლოცვებს.

— ვინ მამაო, ტო?

— სიზმარში მიკითხავდა, მიწაზე დავფორთხავდი, მერე ჩემმა პერსონაჟმა გადამარჩინა.

— სიზმარშიც „ბელაია“ გაქვს, შე ჩემა, ხო ხედავ. კაი, მოვრჩეთ ამ მაიმუნობებს, მაგარი ამბავი გვაქვს, — თქვა და წამოდგა.

პირი მიშრებოდა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, მშიერი ძაღლივით გამექცა თვალი არყის ბოთლისკენ, ერთში დარჩენილიყო ცოტა. ისე მარდად წამოვხტი და გადავყლურწე, ტაია სახტად დარჩა.

— რას აკეთებ?! — თქვა და ბოთლებს დახედა, — სულ დაკარგე ჭკუა, თუ რა ხდება?!

— ნაბახუსევზე სისხლძარღვების შევიწროებამ შეიძლება უეცარი სიკვდილი გამოიწვიოს, — გამეღიმა, თანდათან გამითბა სხეული, გული ჩაწყნარდა. ტაია უფრო კანთიელად დავინახე. კარგა ხანს დუმდა.

— თბილისში უნდა წავიდეთ, — მითხრა ბოლოს და ფეხზე წამოდგა, — კარგი რაღაც უნდა მეთქვა და სულ გამიფუჭე ხასიათი, — თქვა და ფანჯარა გამოაღო, მერე კი სათითაოდ გადაყარა ბოთლები, — რა გემართება, შე ჩემა, ხო თქვი, აღარ დავლევო.

— ხოო, ვთქვი.

— მერე?

— კარგი ახლა... არ გინდა რაა!

— კარგი ახლა, — გაიმეორა ჩემი ნათქვამი. მერე ისევ დუმდა და ბოლოს ამოღერღა სათქმელი, — შენი მოთხრობა რო გადავაგზავნეთ საფრანგეთში, საერთაშორისო ლიტერატურულ კონკურსზე...

— რა მოთხრობა?! — ვერ მივხვდი, თითქოს, ვიღაც სხვაზე ამბობდა, როგორც წეღან.

— რა მოთხრობა და ომზე დაწერილი მოთხრობა, ფრანგულად რო ვათარგმნინეთ.

რაღაც გამახსენდა ბუნდოვნად.

— მერე?

— მერე, დაჯექი და კერე. მესამე ადგილი აიღო და დაჯილდოების ცერემონიალზე გვიწვევენ.

გამეცინა, მაგრამ ეს არ იყო მოულოდნელი სიხარულისგან გამოწვეული ემოცია. ისე გამეცინა, იმ ლიტერატურულ სიხარულთან არაფერ კავშირში არ იყო.

— პარიზში, ტო, — თვალები უბრწყინავდა ტაიას.

ვიჯექი ეგრე ლოგინში და თითებს ვიტკაცუნებდი. ალბათ, ეგონა, რო ამ დიდი წარმატების გამო ავხტებოდი და შემოვპროწიალდებოდი. იმედგაცრუების ღრუბელი წამოადგა.

— ჰა, თქვი რამე. ხო გეუბნებოდი მაგ მოთხრობაზე, თავის სათქმელს იტყვის-მეთქი. აბა, კარგად გაიხსენე, ძმაკაც.

— იცი, რა არი ? — არყით ჩახლეჩილი, სრულიად სხვა ადამიანის ხმა მქონდა, — ჯერ ის მითხარი, ჩემს შვილებს რა ჰქვიათ? — ვკითხე და თვალებში მივაჩერდი.

ტაიამ გადაიხარხარა.

— ღადაობის ხასიათზე კი ხარ. ადე, ადე, ჩაიცვი, მოდი ფორმაში.

— რა ღადაობა, მართლა მაინტერესებს, რა ჰქვიათ ჩემს შვილებს. იცი? გაგიმხელ... — ენა დამება, — დღე და ღამე ამერია, ცხადსა და სიზმარს შორის რეალობა წამეშალა, ბევრი რამ საერთოდ აღარ მახსოვს. მაგალითად, აი, როგორ გითხრა, ჩემს გამოგონილ ცოლთან ვცხოვრობდი გარკვეული პერიოდი, როგორ ავხსნა.

ტაია გაოცებული მიყურებდა, ეგონა, რო ვბოდავდი.

— ეგრე იცის-მეთქი, ხო ვთქვი, „ბელაიები“ დაგეწყო. გამოხვალ, ნუ გეშინია. ხო გახსოვს, რა დღეში ვიყავი, პრინციპში, გახსოვს რა, შენ არ ამომათრიე. გახსენებაც არ მინდა... გაივლის, გაივლის. წინ პარიზი გველოდება. მოსაწვევი გამოვაგზავნინე ელექტრონულად. საკონტაქტო ჩემი ფოსტა იყო, მონაკოს სასახლეში იქნება ლიტერატურული დაჯილდოება. აბაა! პარიზი და რამე. გარეთ თუ არ გაღიარეს, ხო იცი, აქ ყველას ფეხებზე კიდიხარ. ეგეთები ვართ...

— არავითარი პარიზი და ეგეთი რაღაცები, — ვთქვი და ცივი წყალი გადავავლე ტაიას, — შევეშვი მაგ რამეებს. უფრო სწორად, ვეღარ ვწერ, წერის უნარი დავკარგე. რაც დავწერე, დავწერე, ხელი ჩავიქნიე, აღარ არის ეგ რაღაცა საინტერესო. ფეხებზე მკიდია პრემიები. ვეღარ ვწერ და მორჩა.

— ვიცი, ვიცი, გასაგებია, — ბრძენი კაცივით დააქნია თავი, — ყველაფერი კარგად იქნება, როგორც... — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, თვალებზე შევატყვე.

ცოტა ხანში გულმა ისევ დაიწყო ფართხალი.

— ყველაფერი არასოდეს არ იქნება კარგად, ტაია, თავს ნუ ვიბოლებთ, ჩემი მტრისასა იყოს ყველაფერი კარგად, — გამეცინა.

* * *

— სადღაც არსებობს, ანაბელ ვიღაც, ვინც შენს გადასარჩენად მოემართება, იქნებ ბავშვობა ერთად გაქვთ გატარებული, იქნებ ვარდისფერი სამყაროდან ერთად მოემართებით. ვინ იცის, ვინ შეარჩია უფალმა ჩვენს გადასარჩენად, იქნებ ნანგრევში მოყვე და ვიღაც უცნობი კაცის, ვიღაც უცნობი მაშველის ხელი მოგწვდეს, სიბნელესა და ჯოჯოხეთურ უჰაერობაში, სიკვდილს მინებებული რო თვალებდახუჭული ელოდები სულის სხეულთან გაყრას, ანაბელ. იქნებ სადმე, ავარიისას უპატრონოდ, უგონოდ მყოფს დაგადგეს ვინმე, ღვთისნიერი ან ზღვის ტალღებთან დამარცხებულს, ძალაგამოცლილს, ფსკერისკენ დაშვებულს, ჩაგავლებს ვიღაც ღონივრად თმებში... ან მშიერ-ტიტველს, სახრჩობელის ყულფი რო გიტრიალებს თვალწინ, ვიღაც გამოგეცხადება და ოჯახის გამოსაკვებ ლუკმა-პურს გამოგიწვდის. თოვლივით დნობა იცის ბედნიერებამ, ანაბელ... ვიღაც იბადება ჩვენ გადასარჩენად... ვიღაც უსათუოდ გამოჩნდება. აი, როგორც ეს უცხო გოგო, ახლა რო მოვკარი თვალი თვითმფრინავში, სარკმელთან მოკალათებულს, ჩემ გვერდით.

ტაია თვლემდა, კარგა მაგრად შეეცურა სიზმრებში, მალ-მალე ყბა ჩამოუვარდებოდა და ამოიხროტინებდა, ხან უცნაურად შეიშმუშნებოდა. ამაზე მეტად არაფერი მიყვარს, მე მაქვს ჩემი ჰობი და ეს არის მძინარე ადამიანების დაკვირვება, მათ სახეზე ყველაზე უკეთ ჩანს ღმერთის და ანგელოზების ნაკვალევი. თვლემს ადამიანი და ისეთია, როგორიც სინამდვილეში. არანაირი ზედმეტი ღრეჯა და ყალბი ღიმილი, არანაირი მზაკვრობა და შურის ანარეკლი. ნამდვილ ადამიანებს ვაკვირდები, როცა ისინი მძინარეები არიან, როგორც ჩემი მეგობარი ტაია, როგორი თავისუფალია, როგორი... არავის წინაშე ვალდებული, არავის წინაშე დამორცხვებული. ასე ვაკვირდები და ვტკბები. როგორც კი თვალს გამოახელს, ისევ ისეთი გახდება, უმალ დაუბრუნდება თავისი მიწიერი ვნებები. მერე ჩემ გვერდით მყოფ ქალბატონსაც ჩამოეძინა, შევხედე და თითქოს მანამდე არც შემიმჩნევია, მეგონა ანგელოზი მეჯდა გვერდით, თეთრი, თეთრი... ვერ აღვწერ და მორჩა. თავი სარკმლისათვის მიედო, საიდანაც საღამოსპირზე საძოვარმოვლილი ცხვრის ფარასავით დაყრილი ღრუბლები მოჩანდა. არ ვიცი, რამდენი ხანი გაგრძელდა ასე, თვალმოუშორებლად დავცქეროდი სარკმელთან მიმჯდარ მძინარე მზეთუნახავს. თითქოს ჩემს დაჟინებულ მზერაზე სიზმრები აერია, უცბად გამოახილა თვალები და ისეთი სილამაზე გადმოაფრქვია, უარესად დავიბენი.

სავარძელში გასწორდა, ხელჩანთა გახსნა, კალამი და დიდი, მოცისფრო ბლოკნოტი ამოიღო და წერას შეუდგა. წერდა მარცხენა ხელით და ლამაზად გამოყვანილი ლათინური ასოებით.

...ოვე... თვალი ჩავკარი, იმდენი ინგლისური კი ვიცი, რო რამდენიმე წინადადება გამერჩია.

„სიზმარში გნახე, თვითმფრინავის რხევაზე გამომეღვიძა. ვიღაც უცხო კაცი დამშტერებოდა, როგორც ჯალათი. სადღაც, რომელიღაც სიზმარში მინახავს ეს კაცი, მისი მზერა არასოდეს დამავიწყდება, ისე გრძნეულივით მომჩერებოდა, თითქოს ზეპირად იცის ჩვენი სიყვარულის ამბავი. მე ახლა ღრუბლებზე მაღლა ვარ და ციდან ათას კოცნას გიგზავნი. მეგონა, რო ყველაფერი დავკარგე, რაკი შთაგონება წავიდა და ვეღარაფერს ვწერდი. არაფერია ამაზე უფრო საშინელი, ასე მეგონა, შენამდე მოსასვლელი გზა გადამეჭრა. მე ახლა ისეთი ბედნიერი ვარ, ისეთი... და უნდა ვიგუნდაო ამ ბედნიერებით, იმიტომ, რო ბედნიერებამ თოვლივით დნობა იცის და მოსწრება უნდა...“

ერთი-ორჯერ გამომხედა ამ ქალმა, შემომღიმა, თვალი ჩამიკრა და ავძაგძაგდი, როგორც სიზმარში კვეთებულის ლოცვისას დამემართა. ასე მეგონა, თვითმფრინავი ჩამოვარდებოდა და ამდენი ადამიანის ცოდვა ჩემს კისერზე იქნებოდა.

— ღმერთო, ტაია! — წამოვხტი, გამცილებელი, დახატული ქალი ჩემკენ გამოემართა.

— ცუდად ხომ არ ხართ, ბატონო? — მკითხა.

ვკანკალებდი, სკამის საზურგეს ვეჭიდებოდი.

— პირიქით, პირიქით, — გამცილებელს გიჟივით შევცინე, — ბედნიერი ვარ, ამაზე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ.

გაეღიმა და აღარაფერი მკითხა.

ტაია შევაჯანჯღარე, დაფეთებული მიყურებდა.

— კალამი და ფურცელი მინდა.

— ჰა?

— კალამი, ფურცელი.

ვერ გამოერკვა, ეგონა, რო ისევ სიზმარში იყო. სწრაფად მივწვდი და გადმოვხსენი საბარგული, ჩემი ჩანთა მოვძებნე, ხელის კანკალით ჩამოვიღე, გავხსენი და ლურჯი ბლოკნოტი ამოვიღე, ფანქართან ერთად, მერე ისევ ისე მივკეტე საბარგული. მივუჯექი „თეთრ ანგელოზს“ გვერდით, გადმოვშალე „მაგიდა“ და გავუტიე.

მზეთუნახავი მალ-მალე გადმომხედავდა და ჩაეღიმებოდა. თვალებში კი ეწერა: „ორი გიჟი, ორი გადარეული, ორი შეპყრობილი“.

მოდიოდა და მოდიოდა ციდან კოცნები.

დებიუტი

მარიამ ტაკაშვილი

ნამდვილი ამბავი უფრო მარტივად

ოთახში ჩამობნელდა. ფანჯრიდან შემოღწეულ საღამოზე ერთმანეთზე დალაგებული ფიცრები და ოთხკუთხედებად დაჭრილი ხის მორები ჩანდა. მძიმე და მტვრით გაჟღენთილ ჰაერში ნაწილაკები იფანტებოდა. არც ისე პატარა საწყობი იყო. აქედან ქალაქის რამდენიმე მშენებლობა მარაგდებოდა და მფლობელი ჯორჯიც კმაყოფილი იყო.

ჯორჯი ქალაქის ძველი მაცხოვრებელი გახლდათ. აქ დაამთავრა სკოლა და შეისწავლა საბუღალტრო საქმე. თუმცა, ბოლო დროს, კომპანიაში საქმეები არც ისე კარგად მიდიოდა და გადაწყვიტა, თავისი საქმიანობა წამოეწყო, რათა ხარჯები კისერზე არ დასწოლოდა.

გადაწყვეტილება საკმაოდ პრაქტიკული მსჯელობით მიიღო. ქალაქის შემოგარენი ფართოვდებოდა, რამდენიმე დიდი კორპუსის მშენებლობა უკვე მიმდინარეობდა, დიდი სატვირთოც ჰყავდა, რომლითაც ახლო დაბიდან, ტყის მახლობლად რომ იყო გაშენებული, მასალებს ჩამოიტანდა და მშენებლობას მიაწვდიდა. ადრე, ამ სარდაფში, საცეკვაო დარბაზის გახსნას გეგმავდა, თუმცა, ეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა იყო და ფინანსების გადანაწილება დაფიქრებას მოითხოვდა. თანაც, უკვე ძნელად წარმოედგინა, მეუღლესთან ერთად ტვისტზე აცეკვებული ჯორჯი, რომელიც მეგობრებს საცეკვაოდ აქეზებს.

საქმე ადვილად აეწყო. დაბაში მონახა ხის მჭრელი, რომელიც ტყესაც კარგად იცნობდა და მუშაობისთვისაც მზად იყო. თავიდან უსიამოვნო კაცად მოეჩვენა ჯორჯს. ტრაქტირში შეხვდა. თეთრი წვერი და გრძელი წამწამ-წარბები მთელ სახეს უფარავდა. დიდად სასიამოვნო პირ-სახე არც ჰქონია, ნაოჭებს სახის კანი შუბლთან მრავალ ხაზებად გადაეხეთქა და უკვე წლები იყო, ვეღარ სწორდებოდა. მაღალი აღნაგობა და დიდი ტორები რომ არა, თავის ასაკთან შედარებით, ბევრად მოხუც, დაუძლურებულ კაცად დაინახავდით.

დენიელი ძველ სახლში ცხოვრობდა, რომელიც სოფლის პეიზაჟში განუყოფელ შტრიხად ჩამჯდარიყო. ჩამოშლილი კედლის ნაწილი, დაჟანგული კიბე, გასასხლავი ატმის ხე და ეზოს მაგიდა. სამსახურს ბევრი ფიქრის გარეშე დასთანხმდა. ყოველ დილით ტყეში წასასვლელ ხელსაწყოებს ამზადებდა და ნაჭრის ჩანთის გვერდით აწყობდა. ცივ წყალს რკინის ჭიქით სვამდა, სუსხს სიგარეტის ბოლს ურევდა და ეზოს კარს ისე კვეთდა.

სახლიდან ტყემდე გზას შეუმჩნევლად გადიოდა. სიღრმეში შესული წინა დღის მოჭრილ მორებს გასცდებოდა და დღევანდელ სამუშაოს გარემოზე თვალის გადავლებით გეგმავდა. დინჯად მუშაობდა, დაკვირვებით არჩევდა ძველ, მაგრამ მოსაჭრელად გამოსადეგ ხეებს. თანმიმდევრულად ურტყამდა ცულს და ანაცვლებდა ხერხს. ერთად დაწყობილი მორების ბოლოებიდან წვიმის წვეთები გადმოდიოდა. მწვანე-ყავისფერ ხავსს ტყის სუნი ასდიოდა, ნესტის, მიწის და კიდევ ჰაერის.

ხის მჭრელის ამბავი მოკლედ მოვყვეთ და ვთქვათ, რომ სახლში მისული ტვინის უჯრედებში გამჯდარ დემონებს ებრძოდა. ლურჯი ცასავით მოელვარე, ოკეანესავით მიმზიდველ, მაგრამ შემზარავ დემონებს, რომლებთანაც წლები იყო დამეგობრებულიყო და ვერ ეთმობოდა. დიახ, ვერ ეთმობოდა ფიქრები არარად ყოფნის, სამყაროს სიმარტივის შესახებ. დემონი, რომელიც დილიდანვე ახსენებდა ყველაფრის არარაობის შესახებ არ ტოვებდა, დენიელი კი არ ებრძოდა, კომფორტულად მოკალათებულიყო სავარძელში, დღეების გალევას ელოდა და გათენებას, ხე რომ მოეჭრა, სიცოცხლე შეემცირებინა, გაემარტივებინა მზის ამოსვლა და ავდრის ჩამოწოლა. უფრო შევამოკლოთ ამბავი და დენიელის დემონებზე მოვყვეთ. ზოგი ხილული იყო, ოთახებში მომლოდინე, საწოლის თავთან დაყუდებული, რომელიც ჩვენი მეტყევის გონებას და გრძნობას ყოველ ღამე ეუფლებოდა, ახსენებდა მმართველის არსებობას და ჩაძინებას ურთულებდა. ქაოსური დღეების შემდეგაც დენიელი თვალების დახუჭვამდე აუცილებლად დაინახავდა წლების მეგობარს, დიახ, უკვე მეგობარს, ჩრდილს თუ აჩრდილს, რომელიც ეჩურჩულებოდა, ნაზად და ყოვლისმომცველად. გინახავთ დილის სიო, ხის ფოთლებს რომ ხვდება, ასეთი გარდაუვალი იყო ჩვენი გმირის დამორჩილება ჩურჩულთან.

ეს დემონი ღრმა ბავშვობიდან ჰყავდა. პირველად როდის გამოჩნდა, აღარ ახსოვდა, არც შეგუების ან შეკრთობის ამბავი ახსენდებოდა. ყმაწვილობისას, სადღაც მიიმალა აწოწილი, ნაცრისფერი ლანდი და ჩვენს გმირსაც მიავიწყდა. ისე კი, ერთია, ბავშვობაში, დაწოლა ეჯავრებოდა, უფრო ზუსტად, ოთახის გარეთ, პატარა, მეორე ოთახში გამავალ დერეფანში შუქის ჩაქრობა. თითქოს, განაჩენი გამოჰქონდა დედას ყოველ ღამე. სთხოვდა ხოლმე, დამიტოვეო, მაგრამ, დედამ და შვილმაც იცოდა, მამა წინააღმდეგი იყო და უნდა ჩაექროთ.თვალებს ხუჭავდა, მაგრად, იჭყლეტდა და მერე წრიულ რგოლებს ეთამაშებოდა, აკვირდებოდა, როდის გაიცრიცებოდა კუთხეში ყველაზე დიდი, მოლურჯო-მოიასამნისფრო რგოლი და ისევ ახლიდან იჭყლეტდა თვალებს. ამასობაში, დრო გადიოდა და, იქნებ, უჩუმრადაც ჩასძინებოდა, მაგრამ ყოველ ღამე საკუთარ თავს იმედებს უცრუებდა, ვერ ასწრებდა დემონს, რომელიც ხან უჩუმრად გაუღიმებდა, ხან კი სიტყვასაც ეტყოდა ხოლმე — „როგორ დაიჯერე, რო არ ვარსებობ, ან სადმე წავედი“. საბანს ცხვირამდე იწევდა, ზურგზე წოლით ჯარისკაცივით საკუთარ თავს უკანა ფლანგს უმაგრებდა, საბანს კარგად შემოიკეცავდა ხოლმე და გაირინდებოდა. ზაფხულის სიცხე თავისას აკეთებდა და ბოლოს, შეუმჩნევლად, დემონის თვალთვალში, ეძინებოდა. ეს ბავშვობის და უკვე დიდკაცობის ამბავი ისე გახუნებოდა, შარაზე ხუმრობითაც კი მოჰყვებოდა.

სარკეში იხედება და ცდილობს, ჩურჩულისგან თავისუფალი დენიელი დაინახოს. გაიხსენოს სახის ნაკვთები, თავისუფალი ჰაერის სიმძიმისგან, არსებობისგან გადაღლილი. აკვირდება არეკლილ თვალებს, რომლებსაც თავიდან ძლივს უბედავს შეხედვას, შემდეგ კი ირონიული მზერით ეთამაშება. როგორი იქნებოდა ეს ანარეკლი, ჩვენი შეშის მჭრელი თავისუფლად რომ სუნთქავდეს, მოჩვენებებისგან, საკუთარი თავისგან თავისუფალი?

ყოველ დილით უწევს ათრიოს ხორცის ნაგლეჯები, რომლებიც დაფლეთილი ჰკიდია ზედ და ახსენებს, როგორ ამძიმებს სუნით და აზრით გარემოს.

ადამიანებს, რომლებიც მომავლით ცხოვრობენ, არ უნდათ წარსულში ცქერა, უნდათ ახალი, ნამდვილი და საჭირო დღეები, ტკივილის შემსუბუქება ღარიბებისთვის.

დაბნეული დენიელი გაშმაგებით ცდილობს ხის მორები ლამაზად მოჭრას. ყოველ დღე კარგად შეასრულოს დაკისრებული, ერთი ბეწო მოვალეობა. გაახმოს მწვანე ფოთლები, უყუროს ცვარს ხის მორებზე, თოკები მოაკრას ხავსს.

რთულია, გახდე დენიელი. გაშორდე ყველას, ვინც სახეში გიყურებს. დაელოდო კარგს, ნათელს და ჩვეულებრივს, საჭიროს, როგორც ჰაერს ან წყალს. უნდა იყო დენიელივით.

არსებობდე და არ კვდებოდე. მთავარია, იყო. რეალობაში, რომელშიც ითხოვენ არსებობას და თან სილამაზეს, ტკივილის შემდეგ.

დენიელი ხვალ ადრე უნდა ადგეს, მზესთან ერთად შეეხოს ხეებს ტყის სიღრმეში. უხეში ხელებით მოჭრას მწვანე სიცოცხლე, თუმცა, საჭირო მასალა სხვა ცოცხლის ბედნიერებისთვის. ჭრის და თან ფიქრობს, დამთავრდეს თუ არა ხვალინდელი დღე. ტკივილი, რომელსაც ვერ ატანს ერთ ჭიქა ღვინოს, ვერც ორს და უკვე წლებია, მოჩვენებებთან ძილი ჩვეულებად მიუღია. განუყრელ მეგობრებად, რომლებსაც დღესაც მიესალმება, გამბედაობის მოკრებამდე.

ხის მჭრელის ამბავი სოფელში ბევრმა იცოდა, ბევრიც, უბრალოდ მარტოკაცად მიიჩნევდა და დიდად ყურადღებას არ აქცევდა, არც იმით ინტერესდებოდა, საიდან მოვიდნენ დენიელის დემონები პატარა სოფლის პატარა სახლში.

ამბავი დიდი ხნის წინ დაწყებულა. როდესაც ჩვენი ტრაგიკული გმირი მეგობრებთან ერთად გერმანიაში სამხედრო მისიით გაემგზავრა. საქმიდან გამომდინარე, ბევრი დეტალი ჩემთვის ცნობილი არ არის, მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველაზე დიდხანს დენიელი შეყოვნდა, მაღალი თანამდებობები მოირგო, წოდებები და სამხრეები სწრაფად ეცვლებოდა. მოულოდნელად, რაღაც იცვლება და, წლების შემდეგ, ქვეყანაში დაბრუნებული, უმეტეს დროს ოთახში ატარებს. თაროები წიგნებითაა სავსე, გოგოლის კრებულებიდან დაწყებული აზიმოვით დამთავრებული, ყველაფერია. ოღონდ ერთია, გადაშლისას ზოგი წიგნი სახეში ისე შემოგანათებს, გაბნევს და უკვე წაკითხულს გავიწყებს, ყავისკენ გახედვას გაჩქარებინებს.

ძველი ჟურნალებიც იქვე აწყვია. სიძველის სუნი მას შემდეგ გაქრა, რაც ლიზამ, დენიელის ცოლმა, რემონტი გააკეთა და წიგნების უმეტესობა, გაყვითლებული ფურცლებით და მოცვეთილი, კუთხეებში მოშლილი გვერდებით მარჯანიშვილზე, ბუკინისტებთან გაიტანა. წიგნებს თან გაჰყვა: „სახ.ჩემს დენიელს, საყვარელი მამიდისგან“, „ვიყიდე ახალი სახლობისთვის, მშრალ ხიდზე, 1997 წელი“ და სხვა, მსგავსი ფერგადასული, მონდომებულად, ლამაზი კალიგრაფიით გამოყვანილი სიტყვები.

შეთეთრებული კედლები მაინც ირეკლავდნენ პატარა დენიელს, რომელიც სიმაღლეში სწრაფად იზრდებოდა, ნელ-ნელა უფრო ჯიუტდებოდა და მეგობრებთან ერთად, თბილისის ქუჩებსაც უფრო ხშირად თელავდა. ამ სახლში გაიზარდა, დედისერთა იყო, ამიტომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ, არსენას ქუჩაზე მდებარე სახლი მემკვიდრეობით ერგო. ახალგაზრდა იყო, თუმცა, ფუსფუსს მიჩვეული, რადგან მოხუცი მშობლების შვილი იყო და კარგად გარჯა უხდებოდა. განსაკუთრებული ბავშვობა არ ჰქონია, არც ყმაწვილობა, ცოლი სიყვარულით შეირთო, შვილი არ უჩნდებოდათ, თუმცა, ამით სიმყუდროვე არ ირღვეოდა, არც ბრაზი ჩნდებოდა. დრო მშვიდად მიდიოდა, დილის ჩაის ფინჯნიდან საღამოს ალექსანდროვის ბაღში ან რუსთაველის გამზირზე სეირნობამდე.

ერთ დღესაც სამსახურში უფროსმა მოუხმო, დენიელმაც დინჯად მოირგო სამხედრო ფორმა და გამოცხადდა. კარიერული ზრდის განსაკუთრებულ შესაძლებლობაზე აცნობეს, თუმცა ქვეყნისგან და სახლიდან შორს — გერმანიაში. ამბავს სამი მეგობარი აადვილებდა, რომელიც ამავე მისიაზე უკვე სიხარულით დასთანხმებოდა. დენიელმაც, ცოლთან საუბრის შემდეგ, წასვლის თხოვნას ხელი მოაწერა და მოსაწესრიგებელი საბუთების სია სახლში გაიყოლა. გადაწყვეტილება მარტივი და პრაგმატული იყო, რომანტიზმისა და მისწრაფებების გარეშე. გამგზავრების დღე მალე დადგა. თვითმფრინავში მოღიმარი იხსენებდა ლიზას ლამაზ მკერდს, რომელიც ყვავილებიან, თეთრ კაბაში ლამაზად გამოჰკვეთოდა და ზედ შავი თმები დაჰყროდა.

ლიზა უნივერსიტეტში გაიცნო და ფიქრამდე სანამ მივიდოდა, უკვე უყვარდა. ყურადღების მისაქცევად საყვარელი მუსიკის გაზიარება მოუწია, რაც არც ისე ახარებდა ხოლმე. მოსწონდა, მიგნებული ჰარმონიული ნოტები მარტო თვითონ რომ იცოდა და გარშემო სხვისი გაჯეტებიდან აჟღერებულს ვერ გაიგონებდა. ლიზას ყურადღება ეინაუდის „უნა მატინათი“ მიიპყრო. ამ ნოტების შემდეგ ყველაფერი მარტივად, ნოემბრის დილის ჰაერივით მსუბუქად, აეწყო. კარგად ახსოვდა მეუღლის ნივთების ყუთების თრევის სამაგიეროდ შეპირებული ვაშლის პეროგისა და დარიჩინის სუნი. პირველი ნამცხვარი იყო, რომელიც ლიზამ თავიანთი სახლის ყვავილებიან თეფშზე დაუდო. გავექცეთ კამათს კარიერაზე, დროის გადანაწილებასა და ეჭვიანობის მსუბუქ გამოხტომებზე. ლიზამ და დენიელმა მაინც ერთად ჩაყვინთეს წყალში, რომელიც ოკეანესავით ღრმა და მუქი იყო. ორივეს გონებიდან შორს იყო ოჯახური იდილიების ხალხისეული აღქმები. ლიზას მცირე კონტროლზეც კი ყელში ხელების წაჭერის შეგრძნება უჩნდებოდა, დენიელს კი უკეთესად ყოფნისთვის სხვისი დახრჩობა არ სჭირდებოდა. ერთადერთი, რაც ზოგჯერ სიმშვიდეს არღვევდა, დენიელის სიზმრები იყო, თუმცა, ერთი ჭიქა წყლით და მხარზე ნაცნობი ხელის შეხებით ყველაფერი გვარდებოდა.

გერმანიის ამინდები ნაცრისფრად შეღებილ კედლებს ჰგავდა. რაღაც შეიცვალა, დენიელი აღარ იყო ფავორიტი „უცხოელი“ და დაკითხვის შემდეგ პირდაპირ ქვეყანაში დაბრუნდა.

დაკითხვა ჩვეულებრივი ფორმალობა იყო, როგორც გერმანიის უსაფრთხოების სამსახურმა უთხრა დილის 9 საათზე ოფისში გამოცხადებისთანავე. მეგობრების ამბავი მოიკითხა, მაგრამ აქაც ოფიციალური პასუხი მიიღო — საქმის განხილვის დასრულებისთანავე შეხვდებოდა. ლიზა კარგად იყო, მომავალი საუბარი საქართველოს არ ეხებოდა. რაღაც დროის შემდეგ დენიელი სამშობლოში ბრუნდება, ხვდება მონატრებულ ცოლს და ნაცნობ ოთახებში შედის. მეგობრები არ მოუკითხავს, მოგვიანებით, თვითონ ესტუმრნენ. ლუკა, ლაშა და დავითი ღვინით ხელში გამოცხადდნენ.

დენიელი თითქოს ისეთივე დახვდათ, უფრო მეტი ჭაღარით თმასა და წვერში და კიდევ რაღაც ახლით. მარტივია საუბარი ყოფილი სამხედროების დამძიმებულ ხასიათსა და ახალშეძენილ ჩვევებზე. სიხისტესთან ერთად, დენიელის მანერებში, სიბოროტეზე რთული და სევდაზე მარტივი გამოკრთოდა ხოლმე. ჭიქის გადადგმაც რაღაცნაირი იყო.

მეგობრები ცდილობდნენ, საყვედური არ ეთქვათ და გერმანიის ამბები არ გამოეკითხათ. თუმცა 12 წლის თავზე სალაპარაკო თემის გამონახვაც უჭირდათ და გულსაც უღრღნიდათ კითხვა, სად იყო დენიელი, რატომ დარჩა, რატომ დატოვა ლიზა?!

ბოლოს ლაშამ ყველას მაგივრად იკითხა ჩუმ წლებზე. დენიელმა მტრულად გადახედა საყვარელ მეუღლეს, შემდეგ კი ყლუპი სასმლის გარეშე თქვა, რომ უბრალოდ სამსახურში მუშაობდა, საინტერესო არაფერი იყო.

ლიზას, ერთადერთ მეგობარს, ჩამოსვლისას ჩურჩულით მოუყვა, როგორ ჰკითხავდნენ 12 წლის განმავლობაში, როგორ ესმოდა სიჩუმის ხმა, ემატებოდა ხმაური ყურებში და ქაოსი გონებაში, პასუხები არ იცოდა. ცდილობდა, ძალიან ძლიერად ცდილობდა, დასმული კითხვებისთვის სწორი პასუხები მოეძებნა, რათა წასულიყვნენ და სიმშვიდე დაბრუნებულიყო. თუმცა ვერ ახერხებდა...

ლაშას კითხვამ დენიელი ააფორიაქა. დაიწყო ფიქრი, რატომ ეკითხებოდნენ, რა აინტერესებდათ?! ამისთვის ხომ არ მოვიდნენ?! მაინც არაფერს გათქვამდა! არც ერთ სიტყვას დაკითხვების 12 წლის შესახ-

ებ. რას ნიშნავდა ლაშას მზერა, რომელმაც ოთახი მოათვალიერა?!

დენიელი შეიშმუშნა და საუბრის შემოკლებას ეცადა. მეგობრების ბავშვები მოიკითხა. ალაპარაკდა, რა კარგად ახსოვდა სოფელი, ერთად გატარებული ზაფხულის ცხელი დღეები, მზის სხივები, კისერზე შემაწუხებლად რომ აწვებოდათ და მდინარეზე გაქცევას უჩქარებდათ ხოლმე. დილის სიცივე და სუფთა წყალი, ალუჩა, რომელიც მოსაკრეფად მჟავე იყო და სხვანი...

სტუმრები მალე წავიდნენ. თანდათან უფრო იშვიათად მოდიოდნენ, დენიელის ხმა კი ყოველ ჯერზე უფრო კატეგორიულად ჟღერდა. არ მოეწონა მეგობრის გაკვირვებული სახე, როდესაც ჰკითხა, რატომ სტუმრობდა, რატომ ეკითხებოდა გერმანიაზე, ძველი მეგობრობა ხომ არ დავიწყებოდა?!

ლიზას ხშირად უმეორებდა, რომ გასულ წლებზე არაფერი ახსოვდა, ვერ იხსენებდა სახეებს, რომლებიც წლების განმავლობაში კითხვებს უსვამდნენ, დადიოდნენ მის გარშემო, აწვდიდნენ სიგარეტს უცხო სუნით... ის სიგარეტი ბიჭებსაც ხომ არ გამოატანეს?!

მნიშვნელობა არ ჰქონდა, დიდი ხანი იყო, მოწევას გადასჩვეოდა, რადგან დამორჩილების ეს სუსტი წერტილი მაინც გაექრო. თუმცა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, აღარ აპირებდა, სამხედრო ცხოვრებას დაჰბრუნებოდა, დიდად სამსახურის ძებნითაც არ იწუხებდა თავს. უყურებდა გარემონტებულ კედლებს და ახალ წიგნებს წარწერების გარეშე. სოფელში უნდა წასულიყო, უცხო სოფელში.

სიცარიელე თანდათან ემატებოდა, შეუმჩნევლად თმობდა ნაწილებს, ისე აქრობდა, როგორც ჰაერის მცირე ჩასუნთქვებს.

უბრალოდ, და მაინც, რატომ დასთანხმდა სამივე მეგობარი გერმანიის ცივ ამინდებში სამსახურს? მხოლოდ დენიელი იყო ბევრ უცხოელს შორის, რომელსაც თან მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე მეგობრები ახლდნენ. მიუხედავად ბევრი წლის გასვლისა, საქართველოში მაინც მიაკითხეს და მოინახულეს.

დენიელი ეჭვებს დიდი ლუკმებით კვებავდა, თან სვიტრის მოხეულ მკლავს ათამაშებდა ხოლმე. ძალიან უჭირდა, ზოგჯერ თანახმა იყო, ეღიარებინა გონების თამაშები, დანებებულიყო და იქნებ შემდეგ დაესვენა. უნდა დაფიქრებულიყო, ლიზა კი ხელს უშლიდა ფიქრში, ახლა ჩაის დრო არ იყო, არც საუბრის, რომელიც ისევ არაფერს მოუტანდათ.

ლაშა ყოველთვის ცნობისმოყვარე იყო, ბევრს ლაპარაკობდა, ბევრ კითხვას სვამდა, ალბათ, ყურადღების გასაფანტად, ლუკა და დავითი მშვიდად და წყნარად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს. თვალთვალის მიზანიც ხომ ეს არის, ობიექტი არ ააღელვო, რათა ბუნებრივ ქცევას არ გადაუხვიოს და, საბოლოოდ, გამოამჟღავნო!

ახლა, ამ წამს, უნდა მოეფიქრებინა გამოსავალი. ტანსაცმლის ჩალაგება ლიზასთვის არ უთხოვია. ცელოფნის პარკები გამოტენა და მანქანის უკანა ნაწილში მიყარა. დაგროვილი ჟურნალებიდან რამდენიმე აიღო და მანქანის მინებზე დაიწყო გაკვრა. მხოლოდ ხედვისთვის დაიტოვა სივრცე. ამ დროის განმავლობაში, ერთხელაც არ შეუხედავს ლიზასთვის, რომელიც წიგნების კარადასთან მაგიდას მიჰყუდებოდა, ხელები წინ ჩამოეშვა და ცარიელი თვალებით უყურებდა თანამეცხედრეს, ცდილობდა, არ ეგრძნო ტკივილი, რომელიც ტალღებად უტევდა და მალე წალეკავდა. იცოდა, ხმის ამოღება არ შეიძლებოდა. მხოლოდ უნდა დანებებულიყო, ახლა დრო იყო, ყოფილიყო მამაცი და, ამავდროულად, ლაჩარი ცოლი.

ჩემსავით, მიშკინის გატეხილი ვაზა ხომ არ გახსენდებათ?!

დენიელმა ბევრი იფიქრა, გაეყოლებინა თუ არა საათი, რომელიც უკვე მაჯაზე შეზრდოდა. რომელიღაც ნაწილმა გაიმარჯვა და საათთან ერთად მანქანის საჭეს მიუჯდა. სანამ გასაღებს გადაატრიალებდა და მანქანას დაქოქავდა, არ იცოდა, სად მიდიოდა, ეს კიდევ უფრო ამშვიდებდა, მთავარი იყო, ლიზას თვალსაც მიჰფარებოდა, რადგან სწორედ ცოლმა უმასპინძლა მეგობრებს...

გაზეთები ფანჯრებს ბოლომდე ვერ ფარავდა, ამიტომ გზაზე გასულ დენიელს ნიავმა დაუბერა. თხელი საფეთქლები გაუგრილა და სვიტერის მკლავებიდან შესულმა სუსხმა ტანში გააჟრჟოლა. ჰაერის ერთი გაელვება საკმარისი აღმოჩნდა მტანჯველ ფიქრებს შორის ცოტა ამოესუნთქა. გარემომ ფერი იცვალა, ზემოდან ქვემოთამდე მანამდე ქაოსით მოცული გარემო უცებ დაწყნარდა, შეამჩნია, როგორ უკანკალებდა ფეხები და დამშვიდებას ეცადა. სამხედრო წესები გამოყოლილი ჰქონდა, ამიტომ მხრებში გასწორდა და კისერიც შეიმაღლა, მოემზადა. მთიულეთისკენ მიმავალ გზას დაადგა, პატარა სოფლები გორებზე შეფენილიყო, თითქოს ზურგში დაზღვეულები იყვნენ. ცოტა ხანში ღრუბლებმა გზა ჩამოაბნელა და წვიმაც დაიწყო, რომელმაც მანქანის მინებზე გაკრული გაზეთები სულ ჩამორეცხა. დენიელი ეცადა, სვიტერის გახეული მკლავისთვის ეყურებინა. მთავარი იყო, ფეხისგულები ეგრძნო, ამიტომ მანქანის იატაკს მაგრად აწვებოდა. ნელ-ნელა სუნთქვა გაუთანაბრდა.

სოფელში ჩამოსვლა ადვილი არ იყო, თუმცა, სახლის მოძებნა და იქ ცხოვრება მარტივი აღმოჩნდა. მთავარი იყო, არავინ ჩამოსულიყო... ყოველდღიურმა სიმარტოვემ ჩვენი გმირი ხის მჭრელად აქცია, რომელიც კვირაში ერთხელ ადგილობრივ კაფეში სადილობდა ხოლმე. დიდად არც უხვი სიტყვით გამოირჩეოდა და ვერც უხეშობას დასწამებდი. დღეები გაცრეცილი ქაღალდის შრაშუნივით მიდიოდა, უღიმღამოდ და თან უსიამოვნოდ.

მხოლოდ ერთი რამ იყო, რაც გულს უღრღნიდა, ყოველდღე ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა, არაფრად ჩაეგდო, მაგრამ ხან ხის მოჭრისას, ხან ჩაის დასხმისას, ხან კი მზის ჩასვლისას საიდანღაც ღრღნიდა.

როგორც ვთქვით, თავიდან ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია. მაგრამ მარტოკას, რომელსაც ათასში ერთხელ თუ გამოელაპარაკებოდა ვინმე, ისიც მორების ფორმასა და რაოდენობაზე, რაღაცნაირი დიალოგები დასჩემდა საკუთარ თავთან.

მას შემდეგ, რაც გარემოს შეამოწმებდა — ეზოს ფრთხილად შემოუვლიდა და მეტნაკლებად შეებრძოლებოდა ეჭვებს, რომ დღეს კარზე დაუკაკუნებდნენ, ბოლო დამკვეთი ზედმეტად კეთილგანწყობილად უღიმოდა, ლიზა უცნაურად დაიკარგა, მეგობრებისა კი საერთოდ არაფერი ისმოდა, იწყებოდა იმ შემაწუხებელ, თავხედ ნაწილთან პაექრობა, რომელიც არა და არ იღლებოდა.

— „აქ ვარ“, — ერთ დღესაც ჩვეულზე ხმამაღლა გაიგონა დენიელმა, — „აქ ვარ, სიბნელიდან მცირე შუქი ბჟუტავს და დღეებს მიხანგრძლივებს. გარშემო ქვიშა, ნაგავი და ვირთხებია, რომლებიც ნელ-ნელა მჭამენ, მაპატარავებენ.

შენ დამთრგუნე, დარტყმებს მაყენებდი, მე ხმაამოუღებლად ვითმენდი, ვპატარავდებოდი, საბოლოოდ, აქ შევიყუჟე და გამოსვლა აღარ მინდა. ჭუჭყი დამძიმდა, ზედ მაწვება, შენ კი ქუჩებში სიარულს განაგრძობ. დაგავიწყდა, როცა გაგიელვებს ხოლმე სიბნელეში, სიღრმეში რაღაცის არსებობა, შეხედვასაც ვერ ბედავ, თავს დამფრთხალი იცავ და ამ პანიკის სიმძიმესაც მე ვიტან.

ისე მიფრთხი, როგორც სამყაროში ყველაზე საზარელს, შემაძრწუნებელ სიმართლეს, შენში რომ ცხოვრობს. შემომხედე და დაინახე გაშიშვლებული შენი თავი! მაგრამ ფიქრობ, ამას ვერ გაუძლებ, მტვრად იქცევი და ჩამოიშლები. რაც უფრო მიახლოვდები, უფრო მეტად ხდები უსუსური, უძლური ბავშვი, რომელსაც უნდა, თავის მაგივრად სხვამ იცხოვროს. მე უამრავ მოგონებას ვინახავ, შენ რომ ასე არ გინდა მათი გახსენება, ამიტომ პერსონაჟებს აუფერულებ, ამბის მნიშვნელობას ადაბლებ და ისევ უკან — სიბნელეში — ისვრი.

შემომხედე! დამინახე დაზიანებული, დამახინჯებული, სხეულზე დაფლეთილი კანი მკიდია, სახე აღარაფერს მიმიგავს, თვალები არ მაქვს, რომ დავინახო და ყურები, რომ გავიგონო. მხოლოდ ჩუმად ბუტბუტი შემიძლია, რითიც შენს ცხოვრებაში ვჩნდები და მოსვენებას არ გაძლევ. არ ჩერდება ჩუმად ნათქვამი სიტყვები, მშვიდად გიცდი, როდის შემომხედავ.

ჩემი ლაპარაკი მოგბეზრდა თუ გონებას გირევს?!

მოდი, გაბრაზდი და დასველებული, მძიმე ქვიშა, მიყრილი ნაგავი, შიშველი ხელებით გაშმაგებით გადაყარე, არ გაჩერდე, გამათავისუფლე, ამიყვანე ამ აყროლებული ნავსაყუდლიდან. თვალები გამისწორე, სიკვდილის ნუ გეშინია, ძალიან მარტივია ყველაფრის გადაყრა, ერთი სული გაქვს, გათავისუფლდე, მაგრამ ჩემი ფორმაც გაინტერესებს, არა?! ნაგავს თუ მომაშორებ და წამომაყენებ, უფორმო, თითქმის უსხეულო არსებას დაინახავ, გამჭვირვალეს, გათხელებულს, თითქმის სიცარიელეს. იქნებ ამიტომაც ვერ მპასუხობ? გეშინია, სიცარიელე არ დაგხვდეს, დასაყრდენი ვერსად იპოვო, ახალშობილივით, არაფრიდან მოგიწიოს დაწყება და თან იცოდე ამ ბნელი ადგილის არსებობა. გეშინია, ყველაფერი ყალბი არ აღმოჩნდეს, ცაზე მთვარე და საკუთარ ჭაში ჩასვლა.

ჭა ბნელია, სახიფათო ბილიკებით, ირგვლივ სიცივით, სიჩუმით და მოგონებებით სავსე. პირველი ოთახი შენს დაბადებამდე არსებობს, უცნაურია, მაგრამ რამაც შეგცვალა, მუცელშივე შეგაშინა და დაგაპატარავა, მხრებში მოხრილი დაიბადე, უსუსურად გადაწყვიტე გადარჩენა და შემდეგ დღეებსაც უსუსურად ითვლიდი. ოთახები ფერადია, ოღონდ ეს ფერები არ გამშვიდებს, გულს გიფორიაქებს და ფიქრს გაიძულებს. რამდენი კარი დაგრჩა? მოგონებები, რომლებსაც ვერ არჩევ, მაგრამ მაინც ჯიუტად მიდიხარ ქვემოთ, უფრო ბნელისკენ. აქაც მე დაგხვდები! წარმომიდგენია, შენი იმედგაცრუებული სახე და ხელებს წინასწარ ვიფშვნეტ.

დღეისთვის გეყო, მომაშორე სველი მიწა, ნაგავი და უფრო მეტს მოგიყვები.“

პატარა ოთახში სინათლე ძლივს აღწევდა, ციოდა, ღუმელი კი, დიდი ხანია, ჩამქრალიყო. დენიელი ძირს იწვა, ხელები მუცელზე მიეკრა და მტევნები ყელზე შემოეჭდო, ზედ ცრემლები ნიაღვრებად დასდიოდა, ცდილობდა, მუცლიდან ხმა ამოეშვა და ამოესუნთქა, მაგრამ იხრჩობოდა, არ შეეძლო. იცოდა, რომ გადარჩებოდა, წინა ღამესაც გადარჩა და ხვალინდელ ღამესაც გალევდა.

იმ დღეს დენიელის სახლიდან მგლის ყმუილი ისმოდა, შემზარავი და უიმედო.

მარიამ წიკლაური

მიდის და მიღვთიურობს...

არსად შემხვედრია სიტყვა „ღვთიურობის“ ასეთი ფორმით წარმოება, სიტყვაქმნადობის უბრწყინვალესი ნიმუში, ირონიის უდახვეწილესი ფორმით გამოხატული! „მიღვთიურობდა“-ო , ამბობს მწერალი ერთ კაცზე, ირონიით ამბობს. სულ რომ არაფერი ამ ერთი სიტყვის გამო გამაოცებდა ეს წიგნი, რომელსაც ეძღვნება ჩემი მოკრძალებული წერილი. ეს სიტყვა, ერთ ქუთაისელზე ნათქვამი, თავად ქუთაისის საკადრიც და სარგოც, ღირს იმად რომ ვთქვა — ეს წიგნი სიტყვის ოსტატის დაწერილია!

რა წიგნიო, იკითხავთ. რა და, „ბულვარი“ — ელგუჯა თავბერიძის „ბულვარი“.

ელგუჯა თავბერიძის მრავალფეროვან და მრავალმხრივ ლიტერატურულ საქმიანობას და ნაწერებს აქვს თავისი ნიშანი და თამასა. ის კარგი მწერალია და თან განსაკუთრებული მწერალიც, რადგან ასე ინება ბედმა თუ ნებამ, გამხდარიყო დედამიწის ერთი განსაკუთრებული ქალაქის — ქუთაისის — მნიშვნელოვანი მეისტორიე. წერის, მისი ეთნოფსიქიკის, მისი იღბლისა და უიღბლობისა, მისი ცდისა, ცხოვრებისუნარიანობისა! დიახ, ეს წიგნი ბულვარზე სინამდვილეში წიგნია საქართველოზე! წიგნია ქართველებზე! ისტორიულ ქართველზე! ტიპურ ქართულ საზოგადოებაზე!

ავტორს დიდი რუდუნებით შეუსწავლია ქალაქის ბულვარის ისტორია, თავი მოუყრია მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანების ნააზრევებისთვის, ნაწერებისთვის, ქრონიკებისთვის, მოგონებებისთვის და ისტორიულ ჭრილში დანახული ერთი, მეცხრამეტე საუკუნის მაგალითზე, გამოუყენებია ეს მასალა იმის გადმოსაცემად, რა ფსიქოტიპი არსებობს ჩვენს საზოგადოებაში მოქალაქისა, რა ავ-კარგი გვჭირს, როგორც საზოგადოებას, ხალხს, პიროვნებას! არც რომ ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვანიც, ამ წიგნში მოხმობილი ისტორიული ადამიანები არ ვახსენოთ თავიანთი საინტერესო ნაწერებით ქუთაისზე და მაშინდელ პრობლემებზე, ამ წიგნში ასე მნიშვნელოვნად რომ არიან წარმოდგენილნი, მხოლოდ აკაკის ჩანაწერები ბულვარზე იქნებოდა გვირგვინი ამ წიგნისა, მთავარი ახსნა იმისა, რა სჭირს ქართველს და საქართველოს. როგორია მანკიერი მხარე ჩვენი მოქალაქისა, ქალაქისა, საზოგადოებისა, რას ცდილობს, როგორ ახერხებს არსებობას იმ მოცემულობაში, რაშიც აღმოჩნდა. როგორ ერგება სიტუაციებს, როგორ და რით ახერხებს სარგებელი უნახოს ცხოვრებას. როგორია მტერთან და მოყვარესთან, ბატონთან და პატრონთან, საიდანაც ლუკმას და გამორჩენას ელის.



წიგნის ეს ნაწილი, რომელსაც შეიძლება „მწყერობა“ დავარქვათ, არის წიგნის კულმინაცია — ყველაზე მეტად რომ აჩვენებს ჩვენს არა მხოლოდ მაშინდელ, არამედ დღევანდელ, აქტუალურ და როგორც ჩანს მარადიულ პრობლემას! ესაა ნიმუში მიუკერძოებელი, სამართლიანი სილაქისა. იმ სამართალისა, რომელიც „ხესა ხმელსა შეიქმს ნედლად“, მაგრამ ვინაა ამის გამგონე? დღესაც იგივე „მწყერობას“ ვესწრებით... არადა, აკაკიზე მეტს ვის უნდა ეთქვა ეს მწარე სიმართლე?

პროფესიით ისტორიკოსს, მკვლევარს და ჩინებულ მწერალს, ბუნებრივია, არ გაუჭირდებოდა მრავალპლანიანი ტილოს დახატვა, თუნდაც ფორმით არც ისე დიდ ნაწარმოებში, მაგრამ სრულად კი აუსახავს ამ გალერეაში ის ხასიათები და ადამიანთა ტიპაჟები, ისტორიული თუ წარმოსახვითი პიროვნებები, ერთიან გალერეას რომ ქმნიან და ძალიან სახასიათო ამბებს გვიყვებიან, მწერლის კალმითა და სიტყვით გამოხმობილები და ხორცშესხმულები. ამ ლიტერატურულ მოზაიკას ფორმით მცირე, ერთი ქალაქის ერთი ბულვარის მაგალითზე აქვს უცნაური ოპტიკური უნარი, რომ გვიჩვენოს მთელი საქართველოს და ქართული საზოგადოების სახე, როგორც დიდმა სარკემ. მთავარია მასში ხშირად ჩავიხედოთ და ჩვენს თავს რეალურად დაგვანახებს, თუ საერთოდ გაგვაჩნია ეს უნარი, საკუთარი საქციელის შეფასებისა. ამას მხოლოდ მწერლის სიტყვა, როგორც ჩანს, არ ყოფნის, ამას სჭირდება უმთავრესი თვისება ადამიანისა — სინიდისი, პასუხისმგებლობა ქვეყნისა და საზოგადოების მიმართ!

ლიტერატურა რომ სარკეა, ეს ისედაც ვიცით, მაგრამ ეს პატარა წიგნი კარგა გვარიანი მასშტაბის წიგნად მივიჩნიე მე, ერთმა მკითხველმა, და, რომ იტყვიან, შევშინდი, ეს რა სჭირს ჩვენს ხასიათს ასეთი? ვითომ არასდროს დასრულდება? მარადიული დროა? ვითომ სულ ასეთები ვიქნებით? მარადიული ერთი დღეა ჩვენს თავს? თუმცა მანკიერის გვერდით ბევრი კარგი ამბავიც ტრიალებს, ადამიანებსაც აქვთ სიკეთე და მხნეობა, სიყვარული და იმედები... სხვანაირად აქამდე რით მოვიდოდით? ღვთის თვალში რით ვიქნებოდით სათნოები?

ბულვარი და ბაღი აქ სამოთხის მეტაფორადაც გამოდგება და ალუზიურად, წარმოუდგენელია, არ გაგახედოს უჟამო ჟამისკენ... წარმოუდგენელია, არ დაგაფიქროს პარალელებზეც: ბაღის შემქმნელის გვარ-სახელი რომ დაევიწყებინა ხალხს, რას აღარ ცდილობდა რუსი. ედემის ბაღი ნელ-ნელა უნდა გამხდარიყო არა ქალაქის კვრივი, არამედ ფუქსავატური ყოფის და გამორჩენის, ბევრი, ბევრი სხვა მანკიერების ბუდე! ნამდვილი ედემიდან იმიტაციურ ედემამდე გარდასახვის სურათსაც ნათლად დაინახავ აქ. მამის წიაღის მამინაცვლის წიაღად გადაქცევის კონტექსტსაც ამოიკითხავ. ბაყაყების ყიყინი რომ აყრუებს ყურთასმენას, ესეც სიმბოლურია... ხანძარიც სიმბოლური, ბოლოს მოსული თოვლიც, აშორდიების ხსენებაც, ყველაფერი სიმბოლურია, თან ყველაფერი რეალური... და კარგი მხარით წარმოჩენილი — ბაღია, ბულვარია, ქალაქისთვის დიდი სიკეთის მომტანი, მაცოცხლებელი, მაგრილებელი, საუკუნოვანი ხეებით... განა ეს ცუდია?! განა ასე არ უნდა იყოს?! ქალაქის ღირსშესანიშნაობაა, ბოლოსდაბოლოს, რა გინდა, რაღა ცუდს ხედავ ამ ყველაფერში? მაგრამ ამ წიგნს აქვს სწორედ ეს ფარული ქვეტექსტი, ეს შრე, რომელიც გაცილებით ხელშესახები და ნიშნეულია, ვიდრე ბაღის მაგრილებელი ჩერო დასიცხულთათვის.

მთელი ჩვენი ახალი ისტორიის ავბედითობა აღუწერია მწერალს და ამაშია მისი ოსტატობაც, რაზე როგორ და რა მასალით გვიყვება. რას იყენებს ფაქტურად. როგორ ხატავს წარსულს ისე, რომ მომავლის საფრთხეებზე მიგვანიშნოს...

იქნებ ვაჭარბებ, მაგრამ მე ასე აღვიქვი ეს ტექსტი და მადლობას ვუხდი მწერალს, ისტორიის ერთი კონკრეტული ფურცელი რომ ისე აღწერა, მასშტაბური და დროში განფენილი პრობლემები დაგვანახა, შეგვაფხიზლა, დაგვაფიქრა, მიგვითითა...

მივღვთიურობთ ჩვენც ამაყად, ჩვენი ძაღლებით, ჩერქეზკებით, ჭორებით, რჩეული გარიბალდის ქუდმორგებულიც, ისევ ცარიელი ქისებით, ისევ სხვის სადილს მიჩერებულები, ახლა უკვე ოცდამეერთე საუკუნის ბულვარში თუ ქალაქში თუ სულაც სამყაროში და ისევ ზერელედ, გულსგარეთ, დროებაზე მორგებულები... როდემდე, სადამდე... არადა მართლა ისეთი მიწა გვაქვს, ფანქარს ჩაარჭობ და ერთ წელიწადში ფანქრის ტყე იშრიალებსო...

სიტყვას რომ ამბობს მწერალი, ის რატომ არ შრიალებს ნეტა ჩვენში ტყეებად... სინდისიერ სიტყვას...

ჰა, აბა, წარმოვიდგინოთ ასეთი ბულვარი — შრიალებენ სინიდისის ხეები და მართლა მიღვთიურობს საქართველო... მიდის და მიღვთიურობს...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004